ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

ალავი

ჟურნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამცხე-
ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

№2 (19) - 2018

რედაქტორი – **მერაბ ბერიძე**

მოადგილე – **მაკა ბერიძე**

სარედაქციო საბჭო:

ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
ციური ლაფაჩი
მალხაზ ლომსაძე
ლერი ნოზაძე
ნატო ყრუაშვილი
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, *თბილისი*
რეზო შეროზია, *ზუგდიდი*
ზაირა კელოშვილი, *ათენი*
ნუგეშა გაგნიძე, *ქუთაისი*

მხატვარი: **თამარ თამარაძე**

ნომერი მოამზადეს: **ლალი ბერიძემ**
მაია ქუქჩიშვილმა

მდივანი: **ზაირა გელაძე**
მენეჯერი: **ნონა საანიშვილი**

საგამომცემლო ჯგუფი: **ლია ზედგინიძე**
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018
ISSN 2346-836X

ვასილ ბერიძე

გენერლობაზე მეოცნებე

დაიბადა სოფელ ხაჯალიაში, იქვე დაამთავრა სკოლა, სოფელში პატივს სცემდნენ როგორც წესიერ ადამიანს, მუშაობდა მწყემსად მთელი თავისი ცხოვრება. უკვე სადაცაა 44 წელს გაცდება, ასე, დილით, უთენია გარეკავს სოფლის ძროხებს, შემდეგ უკლებლივ აბრუნებს უკან. იშვიათად, მაგრამ ხანდახან თუ დაკარგავდა სადმე პირუტყვს, ნერვსაც არ აიშლიდა, პატრონის საძებნელი ხდებოდა. დაწანწალებდნენ, ეძებდნენ მთაში, ბარში, ჭაობში, ხევში თუ პალიასტომის ტბის გარშემო. მთელი ღამე გაჰკიოდნენ - ჭრელაااااა! ნიკორااااა!... ხშირად უკან დაბრუნებულებს საქონელი შესასვლელი კარის წინ ხვდებოდათ. გასამრჯელოს ერთ პირუტყვში ერთი თვის განმავლობაში 10 ლარს უხდიდნენ, ზოგი შვიდს, ზოგიც ნაკლებს, ზოგიერთი, ფულის არ ქონის გამო, ღვინით უმასპინძლდებოდა ხოლმე. ხანდახან „ოტკასაც“ გამოკრავდა ხელს, ზოგიც თვითონ გამოდიოდა სამწყემსად. საგზლის სატარებლად ერთი თოკით შეკრული ტომარა დაჰქონდა, რომელიც ზოგ ადგილას უხეში ხმარებისგან გახეული, ნემსით იყო ამოკერილი. ტომარაში იდო საწვიმარი ლაბადა, ყველი, პური, წყალი. სეზონის მიხედვით, რაც კი მის ბოსტანში მოდიოდა: კიტრი, „პომინდორი“, სტაფილო, პრასი... შემოდგომით ხილს დაამატებდა ხოლმე რაციონს. პატარა დანა, ერთი თასი და ორიც ლიტრანახევრიანი ბოთლი. როდესაც ეკითხებოდნენ, ეგ ბოთლები რად გინდაო, პასუხობდა - შემოგევლე, წყალსაც ბევრსა ვსვამ და ერთი რუ ვიცი ჯანმრთელობისათვის კარგია და ზოიასათვის მომაქვს სამკურნალოდ, თირკმელებს უხდებაო. რეალურად კი საჭმლით რომ დაინაყრებდა თავს, ჩამოცლიდა ლიტრანახევრიან ბოთლ წითელ ადესას, ღვინისაგან გაბუჟებული წამოწვებოდა და კარგად გამოიძინებდა. საღამოსკენ გაიღვიძებდა, საგულდაგულოდ მოავლებდა სამკურნალო წყლით და ერთ-ერთი მეზობლის ძროხას მოწველიდა. სამი ლიტრა რძე მიჰქონდა ხოლმე სახლში, იმითაც ხან ყველი ამოყავდათ, ხან ხაჭოს აკეთებდნენ. მოკლედ, ძლივს გაჰქონდათ თავი თვითონ და თავის ოჯახს. უქონლობის გამო ცოლი გვიან მოიყვანა. კარგი ქალი შეხვდა ზოია, ოთხი ბავშვიც გაუჩინა, სამი ბიჭი და ნაბოლარა გოგო,

ნანული, ოჯახსაც კარგად უვლის, თანდილაც მოსუქებული ჰყავს, შვილებიც ჯანმრთელად, არც სოფლის მძიმე სამუშაოს ერიდებოდა და არც ვაჭრობას თაკილობდა, ბოსტანსა და ყანაში მოყვანილი ჭირნახული გზაზე გამოჰქონდა და ყიდდა. ზოიამ იცოდა, რომ მისი მეუღლე ყველაფერს აკეთებდა, რაც კი შეეძლო და იმისაც სჯეროდა, რომ თანდილას ერთხელაც იქნება და გაუმართლებდა! გაუმართლებდა მასაც და მის შვილებსაც, რომ ფიცრული სახლიდან გამოვიდოდნენ და ადამიანურად შეძლებდნენ ცხოვრებას.

თანდილამ რამდენჯერმე სცადა პროფესიის შეძენა. ჯერ იყო და 1992 წელს ახლად შექმნილ ქართულ ჯარში, გვარდიაში ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ჩაეწერა. უნდოდა ოფიცერი გამხდარიყო და ჩუმად, დანგრეული რუსულით ჩაიბურდღუნებდა ხოლმე, «плох тот солдат, который не мечтает стать генералом!» და ბედნიერებისგან გაიბღინძებოდა. მისი ჯარში მოღვაწეობა სრული ქაოსი, ბრძოლა და რისკი იყო. ომის არეალი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებს მოიცავდა. ერთი პერიოდი სოხუმში გუმისთაზე ჰქონდა პოზიციები მის ასეულს. გადაღმა მტერი, გადმოღმა თვითონ იჯდა სანგარში. ფიზიკური სიდიდის გამო ჩააბარეს ტყვიამფრქვევი, კარგად ისწავლა სროლა, პოზიციის შერჩევა და ნელა-ნელა შიშიც დაძლია.

ერთ დილას, მასთან მისი თანამებრძოლი ტანმორჩილი, მაგრამ ჯანიანი, შავგვრემანი, კეხიანი ცხვირით, შავი თვალებით, ახალციხელი თამაზი მივიდა და უთხრა:

- დაზვერვის ოცეული იქმნება, მე ოცმეთაურად მიშვებენ და მინდა შენც წამოხვიდე ჩემთან, ძლიერი, ერთგული, შემსრულებელი, წესიერი კაცი ხარ და ერთად ვიყოთ. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და დაიძრნენ შტაბისკენ საჭირო მასალებისა და შეიარაღების წამოსაღებად. მალევე მივიდნენ აგუძერაში. შტაბის ეზოსა და შენობაში ჯარისკაცები ჭიანჭველებივით ირევიან. ზოგი იქით გარბის, ზოგი აქეთ მოდის, ვიღაც ცემა-ტყეპით მოყავს მოსახლეობას, ზოგს ტყვიაწამალი მიაქვს, ერთი დაბადების დღეს იხდის, ნაწილი სვამს, ცეკვავს, მღერის, დოლი-გარმონი... სრული აჯაფსანდალი... ბიჭები შენობაში შევიდნენ.

- სად მიდიხართ! გააჩერა ავტომატით ხელში კაბინეტის შესასვლელ კართან რბილ სკამზე ჩამომჯდარმა ოფიცერმა. ისე თქვა ეს სიტყვები პირიდან სიგარეტი არ გამოულია.

- შტაბის უფროსთან! - უთხრა თამაზმა.

- არ სცალია, დანაყოფების სამოქმედო გეგმას განიხილავს!, - თქვა და სიგარეტის კვამლი ცხვირის ნესტოებიდან გამოუშვა. არადა კაბინეტიდან ალა პუგაჩოვას სიმღერები ისმის - „ Чтоб не пил, не курил и цветы всегда дарил...“

- რა სახის გეგმას განიხილავს? გაეცინა თამაზს.

- შეტევითი ხასიათის!

- მაშ შეტევითი არა?! აფეთქდა თანდილა და თავისი ტყვიამფრქვევით თავზე დაადგა თანაშემწეს. თამაზმა კარს ფეხი კრა და შევარდა კაბინეტში. დაინახა შტაბის უფროსი, მისი პირველი მოადგილე, ზურგის უფროსი და სამი ლამაზმანი კალთაში; მაგიდაზე რუქა (სოხუმის დაცვის გეგმა), ზედ შემწვარი ქათამი, ძეხვი დაჭრილი, „პლიტკა“ - შოკოლადები, არაყი, ოთხი ბოთლი შამპანური და საფერფლე გადავსებული სიგარეტის ნამწვით. შეწუხებულმა უფროსმა სიგარეტ „კოსმოსს“ ღრმა ნაპასი დაარტყა, ზურგის უფროსს მაგნიტოფონზე მიანიშნა, იმანაც სასწრაფოდ გამორთო. მერე ქალებს შეხედა და გარეთ დამელოდეთო, თქვა, ისინიც სასწრაფოდ გაეცალნენ. გაოგნებულმა გადახედა პირველ მოადგილეს.

- ვინ ხართ და რა გინდათ?! იკითხა პირველმა მოადგილემ.

- დაზვერვის ოცეულის სერჟანტი ოქრომელიძე. ასმეთაურმა გამომგზავნა ეკიპირებისა და იარაღის წამოსაღებად.

- რა დაზვერვის ოცეული? იკითხა შტაბის უფროსმა,

- ააა! გუშინ თბილისიდან დირექტივა მოვიდა ბატალიონებში დაზვერვის ოცეულების ჩამოყალიბების შესახებ - თქვა პირველმა მოადგილემ.

-კარგი სერჟანტო, გადახედა მოადგილეს შტაბის უფროსმა, ჩაეცინა და გააგრძელა: - ინფორმაცია მაქვს, რომ დღე-დღეზე აფხაზები შეტევას აპირებენ და ერთი ოფიცერი გვჭირდება ტყვედ, ამის დასადასტურებლად, ეს იქნება თქვენი პირველი დავალება.

- გასაგებია? ბლიად! ისეთი მკაცრი ტონით თქვა, რომ მოადგილიან -ჯარისკაცებიანად წელში გამართულებმა ერთხმად შესძახეს:

- გასაგებია!

მიუბრუნდა ზურგის უფროსს: - პეტროვიჩ, ბლიად! ყველაფერი მიეცი, რაც კი სჭირდებათ და ვაი თქვენ ტყავს, ხვალ დილით დავალება შესრულებული თუ არ დამხვდა! - პერერივსაც რომ არ შეგარგებენ, გაგიგია კაცო?! - გასძახე ქალებს შემოვიდნენ, ყავა მოადუღონ! და მაგნიტოფონზე მიანიშნა პეტროვიჩს. ბიჭები წამოვიდნენ

დატვირთულები იარაღითა და ტყვია-წამლით, თან გზაში ფიქრობ-დნენ რა გაეკეთებინათ, მეორე დილით ტყვე უნდა მიეყვანათ, სიტყვა უნდა შეესრულებინათ!

უკვე „მზვერავები“ დაბრუნდნენ ბატალიონში. თამაზმა შემოიკრიბა ბიჭები (მებრძოლები) გარშემო და თქვა:

- მოკლედ, გეგმა მარტივია; გადავალთ მდინარე გუმისთას მეორე ნაპირზე, აფხაზების პოზიციაზე აგვყავს ტყვე და ვბრუნდებით უკან! ბიჭებს ჩაეცინათ - რა მარტივია, ხომ არ გვეთხოვა თვითონ გადმოეცურათ, ფეხები რომ არ დაგვესველებინა? ღიმილით იკითხა ქუთაისელმა ტატომ?

- არა ბიჭებო, ამ საქმეს შევასრულებთ სამნი, მე და თანდილა მივხედავთ ტყვეს, სოხუმელი სოსო ჩვენს უკან დაბრუნებას დაფარავს; მერე ერთად გადმოვალთ სამშვიდობოზე, მაგრამ მთავარი აქ თქვენ უნდა ჩაატაროთ, საკლავი გვჭირდება, ან ხორცი ნახეთ სადმე, დოლი, დუდუკი, გარმონი, რომ ხმაურიანი იყოს ყველაფერი, სიმღერები და ასე შემდეგ, ღვინოც ვნახოთ. ოღონდ არ უნდა დათვრეთ, გადმოსვლის დროს შეიძლება სროლა მოგიწიოთ! მაგ ნაბიჭვრებს თავი არ უნდა ამოაწევინოთ, ჩვენი სიცოცხლე თქვენს ხელშია, როგორც კი ჩამოღამდება უნდა გადავიდეთ.

- თამაზ, ეს სიგიჟეა. გამთენიისას გადავცუროთ, არ ჯობია? ყველას ეძინება!

- საქმეც მაგაშია. ჩვენ, არ გადავცურავთ, გადავალთ, ყველას ელვიძება და მართალი ხარ, ეს სიგიჟეა! ჩემი თუ არ გჯერათ, ნუ გამომყვებით, არ გამოვა ესე საქმე. თუ გჯერათ, წამოდით და ზუსტად, რასაც ვიტყვი, ისე უნდა მოიქცეთ, თორემ ვერ გამოვალთ ცოცხლები და სიტყვასაც ვერ შევასრულებთ!

როგორც კი დაღამდა, გაეშურნენ დავალებაზე. ეშერის ჩანგრეული ხიდის ქვეშ გადიოდა დიდი დიამეტრის რკინის მილი, რომელზეც ფეხით გადასვლა შესაძლებელი იყო. ამ გადასასვლელით სარგებლობდნენ, როგორც ქართველების, ასევე აფხაზების დაზვერვის ჯგუფები. ბიჭებს გაუმართლათ, მთვარე არსად ჩანდა, კარგი სიბნელე იყო. მარტივად გადალახეს მილი. დანაღმულ ბილიკებზეც არ შეშლიათ ფეხი. ნაპირიდან ას მეტრში რუსების, კაზაკებისა და ჩრდილო კავკასიელთა სანგრები იყო გათხრილი. აქა-იქ აფხაზებიც გამოერეოდნენ ხოლმე. საცეცხლე წერტილები კარგად ჩანდა. პირდაპირ სანგრების წინ მიფოფხდნენ, ჩაწვნენ პატარა თხრილში და გაისუსნენ. მდინარის გადაღმა, საპირისპირო მხარეს კი, ქართველთა სანგრებში ნელა-ნელა ადუღდა ხმაური. ჯერ შავლეგო იმღერეს, მერე დოლზე

დაუკრეს, გაშალეს აკარდიონი, კლარნეტიც აყვა. მწვადის სუნმა მიწაში ჩამძვრალ თანდილას თავი წამოაყოფინა და თამაზს გადაუჩურჩულა: თუ არ შეგვინახეს ცოცხლები ვერ გადამირჩებიან!

- გაჩუმდი ბიჭო! არ შეგვნიშნონ!

ამ დროს, პირდაპირ მათ თავზე, სანგრიდან წამოხტა ახალგაზრდა რუსი ბიჭი და დაიწყო ყვირილი:

- Сукиии!... Подавитесь своими гармошками!... Блядиии!... Веселитесь, да? Завтра посмотрим как будете плясать!

უცბად ძლიერმა ხელმა მოჰკიდა ფეხში, დაითრია და წამში სანგრის ბინძურ იატაკზე დაებერტყა:

- Ты, блять, чьё кричишь, тебе что, жизнь надоела что ли? Если ещё раз над окопом увижу, сам пристрелю! Ты понял, блядь? პირი დააღო გამოუცდელმა ჯარისკაცმა, რაღაცის თქმა უნდოდა,

- Закрой своё хлебало! Что, не можешь до трёх часов ночи дождаться, чтобы, блять, в отаку пойти, а? Возьми тушёнку и хавай, блядь!

ამ სანახაობის შემხედვარე სანგარში მყოფ ჯარისკაცებს აუტყდათ სიცილი.

- Что, блять, ржёте то! Первой волной пойдёте русские и казаки, потом чеченцы и адыгейцы, в последнем эшелоне абхазы будут! будьте наготове! Понятно всем вам? Блядь!

გაყინული მზერით კაპიტანმა ყველას თვალი თვალში გაუყარა. ისევ იმ ახალგაზრდამ გააგრძელა:

- Товарищ капитан, а почему абхазы позади нас пойдут?

ამ დროს ხნოვანმა ჩეჩენმა გაყინული „ტუშონკის“ დიდი ლუკმა გადაყლაპა და სიცილით უპასუხა:

- Потому что, Лёха, кто впереди обосрётся, они будут подтереть его! ატყდა ისევ სიცილი. რკინის კაპიტანსაც გაეცინა, თავი ვერ შეიკავა!, ისევ ლიოხამ განაგრძო:

- А почему мы не стреляем в них? Веселяться, жрут, гуляют...!

კანაფის ღრმა ნაპასი დაარტყა ჩეჩენმა ჰასანამ, დაგროვილი ჰაერი ნელა-ნელა ხველა-ხველით გამოუშვა და მიაწოდა ლიოხას,

- На, покури, расслабься, и если это тебе не хватить, дозу дадим. Потому что, Лёха, они кавказцы и у них у всех блядь, оружие; напьются, нажрутся, перестреляют друг друга, и тебе меньше работы достанется. Понятно, сынок? И ещё, приказ такой: пока не стрелять! -გაგრძელდა სიცილი.

იქვე შეტრიალდა კაპიტანი და ხონჯრის გახსნა დაიწყო, შარდის ბუშტმა შეაწუხა. ჰასანამ საჭმელი დადო ძირს და უთხრა:

- Слушай, начальник, ты умный парень, кадровый офицер Советской Армии, тебе тут не Россия, тут Кавказ. А мы кавказцы где кушаем, там не ссём. Отойди подальше отсюда, блядь!...

კაპიტანი მიხვდა თავის შეცდომას, გავიდა ცოტა მოშორებით. სანგრის ნაწილი შესული იყო ცოტა წინ, საცეცხლე წერტილთან კონუსის ფორმა ჰქონდა და არ ჩანდა. ზუსტად იქ დახვდა მას თანდილა და შემოარტყა ხელი რაც ძალა და ღონე ჰქონდა. გათიშული ოფიცერი ფრთხილად გადაათრიეს სანგრიდან, გაკოჭეს და გადაიტანეს ქართველების პოზიციაზე. - გივი ექიმს დაუძახეთ!

გივი ექიმი მოვიდა მალევე;

- რამდენჯერ უნდა გითხრათ, ჯერ არა ვარ ექიმი, სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი ვარ, მაცადეთ ბრძოლა!

გივი ექიმმა პულსი შეუმოწმა, თვალის ქუთუთო წამოუწია, შეხედა აგონიაში მყოფ ტყვეს და თქვა: - მამაზეციერი თუ უშველის მის სულს, თორემ მე ვერაფერს გავხდები.. - რა დაარტყი ამისთანა, თანდილა!.. - შტაბში, სასწრაფოდ!!! დაიძახა თამაზმა. მწვადის ლავაშში ჩადება მაინც მოასწრო თანდილამ და იღლიაში ამოიდო, ნაღვლიანი თვალებით გადახედა ღვინოს, ეცნენ კოლხოზნიკს და გააქციეს მომაკვდავი ტყვე შტაბში. დანიშნულების ადგილზე შტაბის უფროსის მოადგილე შეხვდა. რაც მოხდა, მოუყვნენ და ისიც უთხრეს, რომ ამაღამ სამი საათისათვის თავდასხმა იყო დაგეგმილი;

- ამ შავმა კაცმა საიდან იცი რუსული, ამდენი რომ გაგიგია? - იკითხა მოადგილემ.

- შავი კი ვარ, მარა ახალციხის რუსული სკოლა მაქ დამთავრებული!

- კარგი, ხოო, დამეკარგე აქედან! თავისუფალი ხარ!

მეთაურმა მაგიდაზე დადებული რუქიდან ცარიელი ბოთლები და ნარჩენები ერთი ხელის მოსმით გადაყარა, ჩახედა დათხუპნულ ნახაზებს, - მაშ საათნახევარში გვიტევენ არაა! ჩაელიმა, თვალები აენთო და ხმამაღლა დაიღრიალა - სვიაზისტი დროზე, ბლიااااد!

სოხუმის თავზე აგვისტოს ცხელი დილა გათენდა. ჭურვებისაგან დაღარულ დედამიწას სხეული, მორცხვი ქალივით ჩადრად, მტვრით შეემოსა ნატკენი ადგილები და ციდან დაშვებულ მზის ნათელ სხივებს არ უშვებდა სამზერად.

შეტევაზე გადმოსულ მტერს მომზადებული დახვდა ქართული ჯარი, სრულებით განადგურდა დაქირავებული რუსების, კაზაკებისა და ჩრდილო კავკასიელების რაზმები.

იმ დღეს არტილერისტებმა არ დაიშურეს ჭურვები მომხვდურთათვის. არც დამხმარე ჯარმა დააკლო რამე. თანდილა გამალებით ისროდა თავისი ტყვიამფრქვევიდან. გადახურებულ ლულას აცვლევინებდა სასწრაფოდ - ვერ გამექცევით ვერც ერთი!.. დაგძირავთ ყველას!.. თქვენს სისხლს დავლევ!.. თქვენი დედა მო.....! იმ დღეს მდინარე გუმისთამ შეტევაზე გადასული ასეულობით მებრძოლი შთანთქა. ჩეჩენმა ჰასანამ ზურგით ათრია ლიოხა. რის ვაი-ვაგლახით გადმოცურეს გუმისთა. ბოლო ძალ-ღონით ამობობღდნენ ნაპირზე. ჰასანა ჩაწვა აფეთქებული ჭურვისგან ამოგლეჯილ მომცრო ორმოში, ზურგზე ხელი სტაცა, მოქაჩა და ჩაათრია ძალამილეული ლიოხა. ავტომატს მჭიდი შეუცვალა და ქართული პოზიციებისკენ დაიწყო სროლა. უკან გამოქცეულ ჯარს ფარავდა. მან კვლავ შეცვალა მჭიდი და ისვრის. – „Лёха! - გადახედა ლიოხას. შიშისგან აკანკალებული ქვიშიან ნიადაგს ხელით თხრიდა და ცდილობდა შიგნით ჩაძრომას. გარშემო ყველაფერი ფეთქდებოდა და იწვოდა. ტყვიას ჰაერი გაეპო და სისხლს ეძებდა:

- Лёха, что ты делаешь, блядь! Почему не стреляешь?

- Не знаю, автомат потерял где-то, не помню...

- Тогда снимай рожки, бросай сюда, быстро!- დაუყვირა, - Ребята плывут обратно, надо помочь!

- Счас, счас, -დაიძახა და თან უცბად გამოუცდელი ლიოხა წამოდგა ჟილეტის შესახსნელად.

ჰასანაც წამოხტა და ეცა მას ძირს დასაგდებად. ამ დროს ბეჭში და ფეხში სიმწარე და სისველე იგრძნო - „Лёха, ты дурак, еб твою мать!“ და დაეცა ზედ.

ლიოხა მერე მიხვდა, თუ რა სისულელეც გააკეთა:

- Не бойся, не бойся, Хассан, не умирай, прошу тебя... дотощу я тебя. Довезу до госпиталя... у наших там, в госпитале, хорошие хирурги,- აკანკალებული ხმით ეუბნებოდა ჰასანას.

- Лёха, так просто меня не убить, всего лишь две или три пули попали в меня - და ცდილობს, რომ გაიღიმოს, - надо переждать, когда всё стихнет, надо добраться до наших окоп.

- Не бойся, Хассан, ты тут не умрёшь. Ты меня дважды спас от пули, а счас третий раз, пули выпущенные для меня попали в тебя. Я обязан тебе жизнью! სულ რაღაც ასი მეტრიღა იყო გასავლელი სანგრამდე.

- Хассан, ты держись за меня крепче. Что будет, то будет, - თქვა და ზურგზე მოიგდო ჰასანა.

წამოდგა საფარიდან და მთელი ძალითა და ღონით გაიქცა სანგრისკენ. ტყვიების წვიმაში, აფეთქებული ჭურვების ხმაში, მტვერში და ცეცხლში გაიარა ასი მეტრი და ჩაცვივდნენ სანგარში. ეს რამდენიმე წამი ძალიან გრძელი გამოდგა.

- Дошли, Хассан, живые мы, живые! Где медсестра? Где доктор? - ღრიალებს ლიოხა.

არც ექიმი ჩანდა სადმე და არც სანიტარი. ამ ყვირილს შეესწრო იქვე მყოფი სოხუმელი აფხაზი ზურა, - იშთუხ აბინტ იჭაჰა ახვრა, აბრიოპ იჰამო ზნძა (აიღე, გადაუხვიე, ეს არის სულ, რაც გვაქვს).

- Что?

- Возьми и перевяжи рану; это всё, что у нас есть. – ლიოხას გაოგნებული სახე, რომ დაინახა ზურამ ამოიღო ბინტი და თვითონვე გადაუხვია მკერდის და ფეხის ჭრილობები.

ჰასანა მძიმედ სუნთქავდა, სისხლს კარგავდა, მაგრამ გონი არ დაუკარგავს.

- Из нашего отряда никто, бля!...

- Никто? Только вы двое?

- Где доктор? - ყვირის ლიოხა.

- Какой доктор! - უთხრა ზურამ, - мы своих раненых везём или домой, или в Гагру в госпиталь. Если повезёт возмут русские в Эшеру, тут рядом. И себе перевяжи, у тебя ранена рука.

ლიოხამ ხელი გადაიხვია, ჭრილობის ტკივილს ვერც გრძნობდა, უნდოდა ჰასანას გადარჩენა.

- Слушай, друг, помоги довести до госпиталя, видели одного человека хотя бы.

- Нет, не могу. У меня тут задание, должен удерживать позицию, что бы не случилось. Видишь, сколько раненых?! Людей так и не осталось, защищать почти некому.

- Ладно Лёха, пойдём мы с тобой. Аллах не покинет нас; из ада вытащил, значит и до госпиталя довезёт.

რამდენიმე კილომეტრის შემდეგ გასაიდუმლოებული საბჭოური ეშერის მიწისქვეშა ბაზაც გამოჩნდა. შესასვლელთან უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. შორიახლოს არტილერია ისვრის, რამდენიმე გასროლის შემდეგ ცდილობენ პოზიციის შეცვლას, მაგრამ არ უმართლებთ, ვერ ასწრებენ გასვლას და არტილერისტების ნაწილი მანქანებიანად ქართველების საპასუხო ცეცხლის ქვეშ ხვდება და ფეთქდება. ეშერის ბაზის კარიბჭეს უამრავი ხალხი მიაწყდა, მოჰყავთ დაჭრილები, მომაკვდავები, გარდაცვლილები, ზოგიც ბრძოლას გამოექცა. ყვირიან, იმუქრებიან, შველას ითხოვენ, მაგრამ არ უშვებენ.

- Не пускают! - გამწარებული ამბობს ერთი.

- Как это не пускают?! А ну-ка, отойди! Раненого привёз! - ამბობს ლიოხა.

- С какой части?

- С какой такой части! Мы ополченцы!

- Нет, мы принимаем раненых только из регулярных частей.

- А нам куда идти! Бля, мать вашу..., мы ходили в отаку, на пули шли, ваши ебаные приказы выполняли... А вы тут прохлождались, бля, мы тут русские!...Казаки!...

ამ დროს შემოდის დიდი სისწრაფით ორი ავტომანქანა კამაზი, დაჭრილებით სავეს. სამხედრო ნაწილიდან გამოდის რაზმი, ავტომატების კონდახებით ყრიან ხალხს, კარიბჭიდან ათავისუფლებენ გზას, ავტომობილებს უშვებენ შიგნით და სწრაფად კეტავენ.

- Пустили на смерть! А теперь не свои! Да хотя бы раненых, бла, пустите! Еб...! გამწარებით ყვიროდა ლიოხა.

ნაწილის დაცვის რაზმს გამოეყო ქათქათა თეთრი, ქერა, ორმეტრიანი უფროსი ლეიტენანტი რომა, მივიდა „კაპეპესთან“ და ბოხი ხმით დასჭექა.

- Я бля! Всем бля! Один раз, бля! Русским языком, бля! Объясняю! Не положено, бля! Нет приказа, бля! Подойдёте ещё ближе, будем бля стрелять! ყველა შეათვალიერა ისე, რომ „მეამბოხეებს“ ეჭვიც არ გასჩენიათ იმისა, რომ რომელიმეს დაინდობდა და სიტყვას არ შეასრულებდა. რამდენიმე წამით ჩამოვარდა სიჩუმე მხოლოდ მომაკვდავების გმინვა და მძიმედ დაჭრილების ვაი-ვიში ისმოდა. შეტრიალდა რომა - Русские, бля, не русские, - ჩაიბურტყუნა, თავი გააქნია და გაიარა.

ამ დროს მოვიდა აფხაზების „კოლხოზნიკი“ - მძღოლმა - მშბზია აჭყუნცა! Ребята, быстро садитесь, до госпиталя довезём. მანქანაში ათ

კაცამდე ჩასვეს და სასწრაფოდ წავიდნენ. ჰასანა სულ უფრო ცუდად ხდებოდა, ცოტა ხანში მოვიდა მეორე მსუბუქი მანქანა, იქაც რამდენის ჩასმაც შესაძლებელი იყო, საბარგულშიც ჩასვეს და გაუშვეს, ასე პერიოდულად მოდიოდა მანქანები და მიჰყავდათ დაჭრილები სხვადასხვა საავადმყოფოში. ჰასანას რიგმაც მოუწია, ჩასხდნენ ნოლ ექვსში და გავიდნენ გაგრის მიმართულებით, სივიწროვეში ჰასანა სულ უფრო ცუდად ხდებოდა.

- Останови машину! - დაიყვირა ჰასანამ - останови! - მანქანა გააჩერეს, - Вытащи Лёха меня отсюда! Больше не могу!

- Ты чего, Хассан, через час будем на месте, врачи тебя золотают! Будешь бегать, гулять!

სისხლში მცურავი ჰასანა გაფითრებული სახით ეუბნება:

- Ну вытащи меня от сюда, пожалуйста, Лёх, на чистый воздух! Точна до госпиталя не дотяну!

ჰასანა გადმოიყვანეს მანქანიდან, იქვე დიდი ხის ქვეშ მიაწვინეს. - Ребята даите что небудь покурить? ერთმა დაჭრილმა მიაწოდა ხიხანში აწყობილი სიგარეტი.

- Я берёг для себя, хотел перед смертью покурить. Но видно тебе больше понадобится.

მიაწოდა - спасибо, братан! მანქანა დაქოქეს და წავიდნენ. ჰასანამ რამდენიმე ნაპასი დაარტყა ანაშას, მიაწოდა ლიოხას და უთხრა:

- Я с детства очень часто вижу один и тот же сон; лежу под большим деревом. Прекрасный вид на море. Поднимаю глаза, а там солнышко... лучи падают на листья, а тёплый ветер поднимает меня в воздух. მერე ჩაფიქრდა და კვლავ გააგრძელა - я должен попросить тебя кое о чём.

- Что скажешь, всё сделаю. Не могу сосчитать сколько раз сегодня ты меня спасал. Научил идти в бой. Потом отходить. Сперва переди меня шёл, а потом пулю из-за меня получил. Скажи, что надо, я всё сделаю! ჰასანას გაეღიმა - Следи за языком! Что скажешь, должен выполнить!

- Ну, говори!

ჰასანამ რის ვაი ვაგლახით მოიხსნა გასისხლიანებული წელიდან ხანჯალი, Этот кинжал мне от отца достался, а ему от своего и так далее. У кого этот кинжал, тот и глава семьи. Хочу чтоб ты отвёз его ко мне домой в Чечню, в деревню!

- И всё?

- Нет, ты должен поклясться на крови, ჰასანამ გააძრო ქარქაში ხანჯალს მოკიდა ხელი პირს და ვადით გაქაჩა უკან გადაიხსნა მარჯვენა ხელის გული.

- У тебя, Хассан, ещё осталась кровь? - ჰასანას ჩაეღიმა და ცბიერი თვალებით გადახედა ლიოხას.

- На, держи! - მიაწოდა ხანჯალი. ლიოხამაც გაიჭრა ხელი, შემდეგ ხელი ხელს ჩამოართვეს, ჰასანა არ უშვებდა ხელს და გააგრძელა

- Я на тебя смотрю уже давно. Ты чистый, честный, хороший парень. Ну, слишком светлый, на меня не очень похож, თან ეღიმება ძალა მილეულს. Ну, нос тоже не орлиный, ეღიმება.

- Что тебе надо Хассан, я же тебе сказал, всё сделаю!

- У меня дома жена и четверо дочерей. Никогда не было сына.

სახე მოეღუშა. გასერიოზულდა ისე, როგორც ბრძოლის დროს, თვალი თვალში გაუყარა, ხელი უფრო მოუჭირა და გააგრძელა ხმამაღლა: у тебя в жилах течёт моя кровь! Будь моим сыном! Будь Исмаилом! ლიოხა დაიბნა, ამას ნამდვილად არ ელოდებოდა, რა ექნა, აღარ იცოდა, მომაკვდავის მკაცრ მზერას გაეხვრიტა ახალგაზრდა ბიჭის თვალის გუგა და მის გონებაში იხედებოდა. მხოლოდ ერთი წამოიძახა

- Я же православный христианин?

- Самое главное, что у нас уже одна кровь. И из православного человека хороший мусульманин получается. Ты понял, сын?

წამოიწია ჰასანი, თვალი თვალში გაუყარა, ხელი კვლავ მოუჭირა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა.

- Понял, Хассан. Дойду я до деревни, отнесу кинжал домой, клянусь! ჰასანას დაძაბულობისაგან სისხლი დაიძრა ყველა ჭრილობებიდან ხმამაღალი საუბრის ძალა აღარ შესწევდა

- Мой дом – твой дом, моя семья – твоя семья, моя родня – твоя родня. მერე ნელა-ნელა მოდუნდა მიწვა უზარმაზარი ხის ძირას, მკაცრი სახე ისევ მოეშვა, გახედა ჯერ ზღვას და გაეღიმა, შემდეგ მაღლა ფოთლებში მოთამაშე მზის სხივები შეამჩნია, იგრძნო თბილი სიო, როგორ შემოეხვია სახეზე და შეძვრა მის სხეულში, შემდეგ რაღაც ძალამ აამსუბუქა ძალიან, აიტაცა ჰაერში და გააქანა კაშკაშა მზისკენ.

ლიოხამ იმ ხის ძირას სახელდახელოდ სამხედრო ნიჩბით გათხრილ საფლავში ჩაასვენა ჰასანა, რამდენიმე წუთით ჩუმად გაჩერდა და გზა გააგრძელა, მთელი თვე იხეტიალა, სანამ არღუნის ხეობაში შატოოში

არ ჩავიდა. სახლის კარიბჭესთან თავის გადაწყვეტილებაზე ჩაფიქრებულმა ერთი ღერი სიგარეტი კიდევ მოწია, მუშტით დააბრახუნა და დაიყვირა - სალამ ალეიქუმ! კარებიდან მოხუცი დანაოჭებული ჩეჩენი კაცი გამოვიდა - ალეიქუმ ასსალამ, მილ ვუ! იუმ ოშა ხიუნა! ლიოხამ ვერ გაიგო.

- Не понимаю.

- Кто такой, что тебе надо?

- Я Алёша Нет. Я Исмаил, сын Хассана. Я вернул кинжал домой.

ამ ამბის შემდეგ თანდილამ სამხედრო კარიერაზე უარი თქვა, - „რო შემომაკვდეს ჩემიანი ვინმე, თავს ვერ ვაპატიებო“, ამიტომ რიგითად დაამთავრა ჯარი და თავის დასამშვიდებლად ამბობდა ხოლმე - „Пустые погоны – чистая совесть“.

თანდილა ემიგრაციაში

სამსახურის დაწყება არაერთხელ სცადა თანდილამ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. 6-7 წლის წინ სახლში ესტუმრა თავისი ჯარის ძმაკაცი თამაზი, საღამოს კარგად იქეიფეს, ბევრიც დალიეს, ომის ამბები გაიხსენეს, თამაზმა თავისი გასაჭირი უამბო:

- ჯარიდან რომ წამოვედი, პოლიციაში ვმუშაობდი შევარდნაძის დროს, მერე ნაცები მოვიდნენ, სახლში წადიო, ვუთხარი ბავშვები ხართ გასწავლით-მეთქი, მითხრეს, შენი სწავლება რად გვინდა, წიგნებიდან ვისწავლითო, მეც ვუთხარი, მე რაც ვიცი, წიგნებიდან არ ისწავლება-მეთქი, მომისმინეს, პატარა ხანი მამუშავეს, მერე მაინც გამომიშვეს.

- ეხლა რას აკეთებ?

- რას ვაკეთებ და სეზონურად დავდივარ თურქეთში, ხან ჩაის, ხან თხილის საკრეფად, თბილისში პატარა დახლი მაქვს ელიავაზე გაქირავებული, მოკლედ თვიდან თვემდე გადამაქვს რა, ახლა თურქეთში მივდივარ ჩაის საკრეფად, ზუსტად შენნაირი კაცი მჭირდება, მე ჩაის მოვკრეფავ შენ კი დატვირთავ, დღეში 85-85 ლარამდე გამოგვივა, ამის სათქმელად მოვედი, ძმაო, თუ წამოხვალ?

- რასაა, რომ მეუბნები, წამოვალ, აპა, რას ვიზამ, როგორც ძველ დროს, რასაც მეტყვი, ზუსტად ისე მოვიქცევი, გაელიმა.

მიწურული მაისის წვიმიანი დილა იყო „მარშუტკით“ ბათუმში ჩავიდნენ. იქიდან, თურქეთის მიმართულებით გავიდნენ, სარფში საზღვარი გადაკვეთეს და რიზეში ჯამესთან ბირჟაზე ჩამოვიდნენ. მარტო არ იყვნენ, მათ გარდა იქ ორმოცამდე ქართველი კაცი დახვდათ. მალევე პიკაპი მოვიდა, მანქანიდან მომცრო ზომის ადამიანი გადმოვიდა. ნაწილს არ ესიამოვნა ამ კაცის გამოჩენა, ერთმა ჩაილაპარაკა „მომაკვლევინებს ეს დედა მ***ლი თავს!“ შეტრიალდა და დაჯდა. ამაყად იყურებოდა ტანმორჩილი ადამიანი, ვარდისფერი სარორჩკა, პატიოსანი ღიპი, ნაცრისფერი შარვალი, დიდი მალრბოროს ბალთით მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, მუქი ტალახისფერი ხელები, ოქროს ბეჭედი, მზისგან დაჭორფლილ და გაშავებულ სახეს უმშვენებს დიიდი ულვაშები. ქართველებისთვის გასაგებ მარტივ თურქულ ენაზე თქვა:

- İş var, ev var, yemek iki defa var, günde çay üç yüz kilo, para yüz on lira, çalışmak her gün sabah yediden akşam beşe kadar, sıcak, soğuk, yağmur, kar olsa fark etmez sikimden aşağı.

- რაო, ამ შეჩვენებულმა?

- რაო და საქმე არისო, სახლი არისო, საჭმელი დღეში ორჯერო, დღეში ჩაი სამასი კილო კაცზეო, ას ათი ლირაო ხელფასიო, უნდა იმუშაოთო, კიდეო, ყოველ დღეო, დილის შვიდიდან საღამოს ხუთამდეო, წვიმაო, ქარიო, სიცხეო, თოვლიო სულ ერთ ადგილზე მკიდიაო.

-კაი, „აბი“, მოვდივართ, ათი კაცი გამოცალკევდა, გააგრძელა წყნარად „ბიზნესმენმა“.

Ben ağabey değilim, bana başbakan diyorlar, tamam mı! მკაცრად დააბოლოვა,

- თამამ ბაშბაქან თამამ.

ამის მერე აარჩია ექვსი კაცი, მათ შორის თანდილა და თამაზიც მოჰყვა.

- რა თქვა ამ კაცმა, ვერ გევიგე მე? რა და, მე თქვენი ძმა არა ვარო და პრემიერ-მინისტრი დამიძახეთო.

- ეუფ, პრემიერ-მინისტრიღა აკლდა ჩემ უპატრონო თავს, ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ოთხი კაცი პიკაპში ჩაჯდა უკან, ორიც ჩანთებით ძარაზე მოთავსდა. მანქანამ პირდაპირ პლანტაციაში მიიყვანა, ორ ჰექტრამდე ჩაის ბუჩქები ციცაბო კალთებზე იყო შეფენილი, გზა ფერდობის თავზე გადიოდა, ჩაი გასაკრეჭი იყო და შემდეგ ტომრებით ასატანი გზამდე. ეს ნაკვეთი ექვს კაცს ჩააბარა უფროსმა და ვადა რვა დღე მისცა. იოლი საქმე არ არის ჩაის დაკრეფა, ვინც არ იცის ან, და პირველად უჭირავს

მაკრატელი ხელში, ძალიან რთულია, სწრაფად გაკრეჭვა არ შეიძლება, ხელი მალე დაგეღლება და ველარ იმუშავებ, მაკრატელს ზედმეტად დააწვები და კვლავ დაგეღლება და გაგისივდება ხელი, რამდენიმე დღე ვერ იმუშავებ მერე. ნელა გადაატარებ და ვერ გასხლავ ნორმალურად, ყველაფერს ცოდნა სჭირდება. თანდილა გააფრთხილეს, რომ ოცდაათ კილოზე მეტს ნუ წაიღებო, მაგრამ არ დაიჯერა „ამხელა კაცმა ტყუილად ვიარო ამხელა გზაო?“ მთელი დღე ამდენი ტვირთით ამ რვაას მეტრიან ციცაბო აღმართზე ადი-ჩამოდი, საკმაოდ რთული გამოდგა. მერვე თორბის ატანა ძალიან გაუჭირდა, ამიტომ ბოლომდე არ გაავსო, ეს ბაშბაქანმა დაინახა - „ნწუ“ თქვა და თავი მაღლა ასწია, რაც უარს ნიშნავდა და თხილის წკეპლით ანიშნა, დაემატებინა. ზორბა კაცმა იხტიბარი არ გაიტეხა, შეავსო და შეუყვა აღმართს. სიარულს წინა დღის ნაწვიმარიც ართულებდა, თიხა-მიწა ზევიდან შემხმარი კი იყო, მაგრამ ზოგიერთ ადგილზე, სადაც მზე ვერ სწვდებოდა, ცურავდა ფეხი. მოკლედ პრემიერ-მინისტრმა ბიჭებს არც სიგარეტი მოაწევინა, არც წყალი დაალევინა, ერთხელ ჭამის დროს შეასვენა, მერე სწრაფად წამოყარა და ხუთ საათამდე ამუშავა, საღამოს სატვირთო მანქანით მიიყვანა სახლში.

სამოთახიან ბინაში კიდევ ოცდახუთი კაცი დახვდათ, ძირითადად ქართველები. თალიკომ ზოიას გამოტანებული მოხარშული დედალი და ხაჭაპურები ამოიღო, მაგიდაზე დადო, ჭამის თავი არ ჰქონდა, მაგრამ ძალით შეჭამა საჭმელი, „ხვალ ძალა რომ მქონდესო“, დანარჩენი დაარიგა. ერთ ოთახში ათ კაცს ეძინა, იატაკზე ლეიბები ჰქონდათ გაგებული, წესად ჰქონდათ ქართველებს, დაუბანელი არავინ დაიძინებდა, სხვა რომ არ შეეწუხებინა, ხვრინვა და ფშინვაც საკმარისი პრობლემა იყო. გამომდინარე აქედან, ტუალეტი და საშხაპე სულ დაკავებული იყო. სამზარეულოში გამოელაპარაკა ახალგაზრდა ბიჭი ლევანი, რომელიც უკვე ხუთი წელია სეზონურად დადის ჩაის საკრეფად:

- თუ ოჯახში მოხვდი, კარგადაც გაჭმევენ და პატივისცემაც იციან, ზოგი არ გენდობა, თავზე გადგას. ერთი ქალი იყო, ორნი ვმუშაობდით, ჩამოვჯექი დასასვენებლად, შემჭამა ყვირილით, ადექი იმუშავეო, თორემ ფულს არ მოგცემო, მეც ვუთხარი, თუ ასე გაააგრძელებ, არც ვიმუშავებ, საღამოს შენთან სახლშიც მოვალ და ფულსაც გამოგართმევ-მეთქი, გაკვირვებული მიყურებდა,

- რას მიყურებ, ქალო, შენ საღამოს მოდი და ამ წივილ-კივილის მაგივრად წონით ჩაიბარე ჩვენი ნამუშევარი-მეთქი, მართლაც წავიდა და საღამოს მოვიდა, ექვსასის მაგივრად შვიდასი კილო ჩაის

ფოთოლი დავახვედრეთ, ისიც კმაყოფილი დარჩა და ჩვენც. მერე მხოლოდ საღამოს მოდიოდა წონის გასაგებად, შემდეგ გვენდობოდა.

- ფული რომ არ მოეცათ, ყოფილა ეგრე? - იკითხა თანდილამ,

- მე არა, მაგრამ ბევრი გადაუგდიათ, ზოგიც ჩვენების ბრალი ყოფილა. ერთხელ ოთხი კაცი ვმუშაობდით შუადღემდე, შესვენებისას ჰუსეინამ საჭმელი მოგვიტანა, თითო პამიდორი და პატარა პური, ეს პამიდორი კედელზე გავსროლე და ვუთხარი: - შენ ძროხები ხომ არ გგონივართ! ხალხი ვართ! ვმუშაობთ და ჩვენი მისაღები უნდა მივიღო-მეთქი! ისიც ვუთხარი, მე ქართველი ვარ და არაფრის მეშინია-მეთქი - „ბენ გურჯულუმ ვე ბირშეი ქორქმამ“. - იყვირა, ბევრი იჩხუბა, ფულს არ მოგცემთო, გვითხრა. ვუთხარი: - შენ მართალი არ ხარ, წავიდეთ ხოჯასთან, დაველაპარაკოთ, იმისგან მოვისმინოთ სიმართლე! არ წამოვიდა. მივედით ჯამეში მოლასთან, მოვუყევით ჩვენი გასაჭირი, ამოიღო ოთხას ორმოცი ლირა და მოგვცა, თან გვითხრა, მაგ ამბავს მე მოვუვლიო, მართლაც, მეორე დილით გავედით სამუშაოზე. შუადღით ამოვიდა ჰუსეინა, ამოიტანა შემწვარი ქათამი, კიტრი, პამიდორი, არაჟანი, კოკა-კოლა და ჩორბაც. ჩვენც მის მიერ მოთხოვნილზე მეტს ვკრეფდით, ისიც კმაყოფილი იყო და ჩვენც. ნორმალურად გვექცეოდა, ფულსაც დროულად გვიხდიდა. ეს კი გვაჭმევს, მაგრამ ნამეტნავი უზდელია, თავი რაღაც ჰგონია.

- თვითონ რა, ხალხი არა ჰყავთ, ჩვენ რომ არ გვამუშაონ?

- კი, მარა ქურთები არიან ძირითადად და ისინი, დილის რვიდან ოთხამდე მუშაობენ, თან უგულოდ და თან არ მოსწონთ ეგენი თურქებს. ჩვენები კიდევ გლეხიდან დაწყებული, აგერ ბატონი გიორგი პროფესორია, ექიმიც გვყავს, ერთი მებაჟეც არის, მარა მალავს თავს, გადმოსვლისას ურიგოდ გადმოუშვეს, მასწავლებლები, რავი, ყველანი ვართ. ამ ლაპარაკში შხაპის დროც მოუწია თანდილას, რომ გამოვიდა, მკვდარივით ჩაეძინა ლეიბზე. დილის შვიდ საათზე უკვე ჩაის პლანტაციებში იყვნენ. ნელი წვიმით წვიმდა, ზღვიდან გამორეკილი ღრუბლები იწურებოდნენ რიზეს ვილაიეთში. საქმე ბევრი იყო, საწვიმარში გამოწყობილი ბაშბაქანი მკაცრად დაჰყურებდა დასაქმებულებს და ჩამოჯდომის უფლებას არავის აძლევდა. უყურებდა, როგორ სველდებოდნენ, როგორ მიჰქონდა მთის ციცაბო კალთებზე ორმოცდაათ კოლოგრამიანი ნედლეულით დატვირთული თორბა და ეცინებოდა უკან დასრიალებულ თანდილაზე, თანდილაც ჯიუტად მიუყვება ლიპლიპა თიხა მიწის პატარა ბილიკის აღმართს. ასვლა ერთი პრობლემა იყო, ჩამოსვლა-მეორე. რის ვაი ვაგლახით ჩამოვიდა, დღის ბოლომდე თავი არავის აუღია, გალუმპულებს, ნახევრად მშივრებს

თავისი საქმე დაემთავრებინა ყველას და სატვირთო მანქანასთან ასულიყვნენ.

- წამოგაღებინებ, - თამაზმა დახმარება შესთავაზა, - არა, თამაზ, ჩემი გასაკეთებელი საქმე მე უნდა გავაკეთო, ცოტას დევისვენებ და გზას გოუდგები.

- კარგი, ზევით დაგელოდები, უცებ სველ ზურგზე გეგონება ცეცხლი წაგეკიდაო, ისე ეტკინა, „ფუტკარმა მიკბინა ეტყობა“-იფიქრა და ხელი მოისვა, იმწამს კიდევ ერთხელ აეწვა ზურგი, უკან გაიხედა და ბაშბაქანს ხედავს წკეპლით ხელში,

- Çabuk ol, eşek oğlu eşek!

- შენ მე ძროხა ხომ არ გგონივარ! ის იყო უნდა დატაკებოდა, თამაზის მკაცრი ხმა გაიგო:

- არ გინდა! და თავი გააქნია, უსიტყვოდ დაემორჩილა, მოიგდო ორი თორბა ზურგზე. სადღაც დაიქუხა და წვიმა მეტი სიძლიერით წამოვიდა, თავჩაქინდრული შეუყვა ფერდობს. აღმართის ნახევრამდე ძლივს მივიდა. ორმოცდაათ კილოგრამიანი ტომარა ძალიან დაემძიმებინა ბოღმას და გაეხადა ხუთასი კილო, ამ შეურაწყოფის ატანა ურთულესი რამ იყო. მიათრევდა და ფიქრობდა ოჯახზე, რომელიც ელოდა მას, მისი იმედი ჰქონდათ, რომ დაბრუნდებოდა სახლში, გაამდიდრებდა მათ, ფულს მიუტანდა, ჩააცმევდა, დააპურებდა.

- არა, ავიტან, ავიტან, მაინც შევძლებ, ვიმუშავებ, დავუხრი თავს, მარტო მე ხომ არა ვარ ასე? ჩემნაირი უამრავია, ნახევარზე მეტი ამ დღეშია საქართველოში, არა უშავრა, შვილებო, გავუძლებ! თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებ!... ამ ფიქრებში იყო ჩაძირული, როდესაც დაუცურდა ტალახზე ფეხი, შებარბაცდა, კინაღამ წაიქცა, ძლივს გაჩერდა, ამოისუნთქა, გაეხარდა, რომ სადმე არ გადაიჩეხა, ამ დროს წელზე იგრძნო ისევ ისეთივე ტკივილი, როგორც ათი წუთის წინ.

- Çabuk! Dedim amına koyduğum, çabuk! Taşın!

თურმე უკან მიჰყვება და ჯოხს ურტყამს, ეგეც არ იკმარა და პანჩურიც ამოარტყა, ერთი, მერე მეორე, მესამე თან ვერ წვდებოდა სიმაღლეში და შეხტომით ურტყამდა, როგორც იქნა აღმართის ნახევარი აიარეს, გზა გასწორდა, ის იყო „პრემიერ-მინისტრი“ მოემზადა მორიგი პანჩურის ამოსარტყმელად, თანდილას ცრემლიანი თვალები წამში შეაშრა, გუგები დაუვიწროვდა და მკაცრი ხმით თქვა

- მაპატიეთ შვილებო! შემოტრიალდა, ტომრები შორს მოისროლა,

- Sen ne yapıyorsun, manyak mısın! annesini si….

აშბაქანმა შემოაგინა და დაექანა ჯოხით, მოქნეული ჯოხი თანდილამ გამოართვა და გადაუგდო, ახლა დანა გახსნა და ზედ წავიდა,

თანდილამ თურქის ხელი დაიჭირა, ძლიერად მოუჭირა მაჯაში და უთხრა

-კიდევ მე ვარ მანიაკი? შენი დედა მო...! ხომ გითხარი, მე ძროხა არ ვარ, ჯოხი რომ დამარტყა! არც დედაჩემს, არც მამაჩემს, ჩემზე ხელი არ აუწევია და შენ ვინ ხარ, ძაღლო, ეგეთი, ჯოხს რომ მირტყავ?! ულრიალა, მერე ერთი დარტყმით ხელი იდაყვში გადაუმტვრია, ბაშბა-ქანი გვიან მიხვდა, რა შარშიც ჩავარდა. მისი ყვირილი არავის ესმოდა, წვიმა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მერე თანდილამ მარჯვენა ფეხზე, ზუსტად იმ ფეხზე დახედა, რომლითაც პანჩური ამოარტყა შეშინებულმა „ბიზნესმენმა“ ხმისკანკალით უთხრა:

- Yapma kardeşim, sakin ol, yapma! Para verecem, აჰა ჯიბეში მაქ, აიღე,

- ქართულიც გცოდნია, შე დამპალო, რად მინდა შენი ფული, ან რამდენი უნდა გადამიხადო, რომ ეს შეურაწყოფა გულიდან ამოვიღო! ერთი დარტყმით მუხლში გადაუმტვრია ის ფეხი, შემდეგ მოჰკიდა ხელი და იქვე ორმოში მოისროლა, მოძებნა ტომრები, აიტანა და მან-ქანის ძარაზე შეყარა.

- სადაა ის გამოქლიავებული?

- სადაა და წადითო, მერე მოვალო!

- Sen ambara git, başbakan gelecek. - უთხრეს მძღოლს.

მძღოლმა დაქოქა მანქანა ბიჭები ჩამოსვა სახლთან, თვითონ კი ტვირთი ქარხანაში ჩასაბარებლად წაიღო. თამაზის გამობრძმედილ თვალს თანდილას დაძაბულობა არ გამოჰპარვია

- ბიჭო, არ მეტყვი, რა მოხდა?

- რა და, დავამტვრიე ხელ-ფეხი და იქვე დავაგდე,

- ხომ არ შემოგაკვდა?

- არა, ცოცხალია.

- რომ ამოვიდეს, ახლავე დაგვიჭერენ.

- არააა, ვერ ამოვა, მეცოდება საწყალი, ველარ მოვითმინე, შემო-მემტვრა.

- ჩემი ბრალია, არ უნდა დამეტოვებინე მარტო, შენი ამბავი ხომ ვიცოდი, არ უნდა დამეტოვებინე!

- საზღვარზე უნდა წავიდეთ, სასწრაფოდ გადასვლა მოვასწროთ,

- არააა! მე მომენდე, ოღონდ რასაც გეტყვი, ზუსტად ისე მოიქეცი! და გაეღიმა.

მივიდნენ რიზეს ერთ-ერთ საჩაიეში გამოვიდა ახალგაზრდა ქალი

- Çay içer misiniz?

- არა, ხაშმის საფერავი მინდა თეთრი.

- ხაშმის თეთრ საფერავს მხოლოდ სენაკში თუ იყიდით.
- ამანათი მაქვს საქართველოში გასაგზავნი ახლავე.
- რამდენი?
- ერთი.
- ნამცხვარიც მინდა ქართული.
- რამდენი ნაჭერი?
- ერთი.
- ახლავე, ქალი გავიდა.
- რა ხაშმის საფერავი და ამანათები აგიტყდა თამაზ, სულ გადეირიე კაცო? მე გასაქცევად მაქ საქმე და შენ კიდო რაის ჩაი და ტორტი მოგინდა ახლა, ვერ გევიგე მეე? ქალმა კონვერტი გამოიტანა და თამაზს გადასცა.
- ერთი ნაჭერი, როგორც ბრძანეთ, ბატონო პოლკოვნიკო, ამანათი ალბათ ეს ბატონია, ნახევარ საათში მოძრაობას დავიწყებთ, უკან ოთახში შებრძანდით და დაგველოდეთ.
- ამ კონვერტში ათასი ლარია, გამომართვი, ნახევარ საათში გახვალთ და საქართველოში იქნები.
- აბა გამომიშვესო?
- კი გამომიშვეს, მაგრამ ნახევარ წელიწადში უკან დამაბრუნეს, ხომ გითხარი, რაც მე ვიცი წიგნებში არ წერია მეთქი და გაეღიმა. ბაშბაქანაზე ნუ იდარდებ, მე მივხედავ, აქ მომხდარის შესახებ კრინტი არსად დაძრა. კარგად, ძმობილო, არ იცვლები თანდილა არაااااა! თანდილა რამდენიმე საათში ბათუმში ბაზართან ჩამოსვეს, გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით, სიზმარში ეგონა თავი. ცოლ-შვილისთვის ტანსაცმელი იყიდა, გვიან ღამით სახლშიც მივიდა. დაღლილ-დაქანცული ჩაეხუტა ზოიას, ბავშვებს მოეფერა და თქვა:
- ცოტა ნაკლები ხელფასით სამსახურს აქაც ვიშოვი, უცხო ქვეყნებში რომ არ ვირბინო მონად, თან ტრაკში წიხლსაც არავინ ამომარტყამს, ოოხხ ამათიიი! და კბილები გააღრჭიალა.

ასე დამთავრდა თანდილას ემიგრანტობის ამბავი, ამის შემდეგ შორისკენ არც კი გაუხედავს.

საკუთარი ძროხები

ერთ დილას მივიდა თანდილას კარის მეზობელი გრიშა და უთხრა:

- ხომ იცი, მამაჩემი მელიტონი სიცოცხლის ბოლომდე უვლიდა ამ ძროხებს, რომ დავკლა, მენანება. გავყიდო და არა მცალია, თბილისში ვარ წასული, სამსახურიც მაქვს, სახლიც და კარიც, ორი მაკე ძროხა და დეკეული დარჩა საწყალს, მე კიდევ ათას ოთხასი ლარი მჭირდება, გასვენების დარჩენილი ფული მაქვს გასასტუმრებელი, აბა რას იტყვი, თანდილა? თანდილამ - მაცალეო, წავიდა სახლში, შეკრიბა თავისი დიდი ოჯახი და დაელალაპარაკა:

- ეს ჩვენი შანსია, ორი ძროხა და ერთი დეკეული არ უნდა გავუშვათ ხელიდან, რაღა სხვისი პირუტყვი ვმწყემსო, ჩვენსას მოვუვლი. ფულია საჭირო. პირველი ზოია გაიქცა და თავისი ნაგროვები ას ოცდა ოთხი ლარი გამოიტანა, მოხუცებმაც ითათბირეს და საკუთარი პენსიიდან საფლავის ქვისთვის გადადებული თანხა ხუთას ორმოცდაათი ლარი დადეს, ბაბუმ გადახედა შვილიშვილებს და გაეცინა:

- რო ამოხვალთ სასაფლაოზე, კაათ დეიმახსოვრეთ ჩვენი საფლავების ადგილი, არ დაგვკარგოთ იცოდეთ, რამე ჩოურჭეთ იქანე თქვე შობელძაღლებო, წითელ კვერცხებს აღდგომას რომ ამეიტანთ, ტყვილა რომ არ აგორაოთ აქეთ-იქეთ. თანდილამაც დაამატა ამ დღისთვის შეგროვებული სამასორმოცი ლარი, დაითვალეს და სამასოთხმოცდაექვსი ლარი რჩებოდათ სანახავი. ფული რომ ჭირდებოდათ, გრიშასგან სესხულობდნენ ხოლმე, ახლა კი სამეზობლოში ვერავინ ასესხა, ასევე უჭირდა ყველას. ოჯახს სხვა გზა აღარ დარჩენოდა ბანკიდან სესხების გარდა.

თანდილამ თავი დაიბანა, წვერი გაიპარსა, გაბურძგნული ბაკები შეაჭრა ზოიამ, საგანგებოდ შენახული საგარეო ტანსაცმელი ჩაიცვა. მთელმა ოჯახმა გააცილა თანდილა ლანჩხუთში. ზოიას თვალები უბრწყინავდა თავისი ქმრის შემხედვარეს სიხარულისგან, ბაბუ ჩაფიქრიანებულიყო დაკარგულ საფლავის ქვაზე ფიქრით, ბებია შვილიშვილებს დასდევდა და შვილთაშვილებზე ოცნებობდა, ამიტომ სულაც არ ანაღვლებდა ბაბუას დარდები. მეზობლებს არ გამოპარვიათ თანდილას ჩაცმულობა.

- რავა ვალეტი წკენტივით გამეიყურება, აი მათხოვარი, ერთი შეხედე შენ! - ნეტა საით მიდის? - აა, ბიძამისს, გაიოზს, ხომ არ გააძრო სული მიქელამ აა?! კითხვები მეზობლებს არ ელეოდათ.

თანდილა ჩავიდა ლანჩხუთში და პირველივე შემხვედრ ბანკში შევიდა, ყველანაირად ცდილობს, რომ არ დაიბნეს, თან გაერკვეს და არ შეამჩნიონ, რომ არ ესმის ეს ყველაფერი.

- სად მიბრძანდებით? ღიმილით ეკითხება ვერცხლისფერ ჰალსტუხში გამოწყობილი გოგონა.

- ბანკში, მოკლედ მოუჭრა თანდილამ.

- კი, მაგრამ კონკრეტულად? კვლავ ღიმილით ჰკითხეს მას.

- კონკრეტულად ბანკში! გოგონა ხვდება, რომ ცოტა უცნაურ კლიენტურასთან აქვს საქმე და უკონკრეტებს კითხვას:

- კარგით, ბანკში რა გნებავთ?

- რა უნდა მინდოდეს, ფული! ხორცს თქვენ არ ყიდით, გულღვიძლი რომ ვიყიდო.

- კარგით, ფული შესატანი გაქვთ თუ გასატანი? ნერვიულობისაგან გაებზარა ხმა ოპერატორს.

- ჯერ გასატანი!

- მაშინ დაელოდეთ თქვენს რიგს სალაროში და მიიღეთ თანხის სასურველი რაოდენობა, მიაწოდა ბილეთი.

- ვიცი!

შეჯავშნული სალაროდან ხან ერთმა გამოიტანა ფული ხან მეორემ, რამდენიც ითხოვეს, მისცეს, ზოგმაც გადაიხადა. ნახევარი საათის შემდეგ მოუწია რიგმა თანდილას, თან ფიქრობს - რა იოლი ყოფილა, უნდა მიხვიდე და წამეიღო, რამთენიც გინდა სულო და გულო, ცოტა მეტს წამევიღებ, ქალაქიდან სახლში ხელცარიელი ხომ არ მიხვალ კაცი?

- რა გნებავთ?

- ფული.

- რამდენი?

- ხუთასი ლარი!

- თქვენი პირადობა მომაწოდეთ, მიაწოდა, - ერთი წუთით, თანდილას მოლოდინისაგან კინაღამ გული გაუხდა ცუდად. მოლარემ გადახედა მონაცემებს კომპიუტერულ ქსელში - თქვენ ჩვენს ბანკში ანგარიშიც არ გაქვთ გახსნილი, რა ფულს თხოულობთ?

- ფული რომ მქონდეს, აქ რა მინდა? უნდა ვისესხო თქვენგან!,

- კარგით ბატონო, მიბრძანდით საკრედიტო ოფიცერთან. თანდილას იქაც რიგი დახვდა. ყველას გულმოდგინედ უსმენდა, ყველა სიტყვას იჭერდა და საკუთარი აზრი გამოჰქონდა.

- მობრძანდით, ბატონო, რა გნებავთ?

- ფულის გატანა მინდა კრედიტით.

- რამდენი?

- ოთხასი ლარი მჭირდება, - უკვე დახვეწილად პასუხობს.

- რისთვის? თანდილას უნდოდა ეთქვა, ძროხები მყავს საყიდელიო, მაგრამ გადაიფიქრა.

- ბიზნესისთვის! შწორი სიტყვა შეარჩია, არ ჩაიჭრა და თვითკმაყოფილება დაეუფლა.

- რა სახის ბიზნესი გაქვთ?

უნდოდა ეთქვა მწყემსი ვარ, ნახირი დამყავსო, კვლავ გადაიფიქრა.

- საქონლის ბიზნესი მაქვს.

- კარგით.

დაღლილმა საკრედიტო ოფიცერმა ცივი წყალი ჩამოასხა წყლის ტერმინალიდან და გადაკრა. დაიტანჯა ასე სათითაოდ, რომ აძროობს სიტყვებს.

- გავხსნი, რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მონაცემებს და იქ ვნახავ ყველაფერს, გაიფიქრა. - თქვენი ფირმის დასახელება მითხარით, თანდილამ დაძაბა გონება და მიხვდა, რომ მისი კანტორის სახელს ითხოვდნენ.

- „თანდილა ენდ იტერნეიშენალ ნახირ კომპანი“, კმაყოფილი მწყემსი ღიმილით უყურებდა ზევიდან, ვერ ჩამჭრაო. ოფიცერმა კვლავ ჩახედა რეესტრში, ვერაფერი ნახა ამის მაგვარი და გააგრძელა.

- ეგეთი ვერაფერი ვნახე და მოდი საინდენტიფიკაციო კოდი მითხარით. ეს კი თანდილას ბოლო წვეთი გამოდგა და ახმაურდა.

- რაის საირტენდიფიკაციო აგიტყდა აქანა, ვერ გევიგე მე? შენ საქმეზე გადადი თუ ძმა ხარ! ჯერ იყო და იმ ქალმა არ მომცა ფული, შუშაბანდებში რომ ზის, ახლა შენ მეკითხები რაცხა სისულელეებს, სამ ძროხას ვყიდულობ, ოთხასი ლარი მაკლდება მიტო ვარ შენთან აქანე, უჰჰ!. ხმამაღლა ნათქვამი ეწყინა საკრედიტო ოფიცერს.

- ბიზნესი შენ არა გაქვს, ქონება შენ არა გაქვს, სამსახური შენ არა გაქვს, რაზე მივაბა არ ვიცი არა! თანდილამ „სარო ჩკის“ ღილები შეიხსნა და აჩვენა კისერი.

- აი ამაზე მიაბი აგი, მაგარი ბაწრით და კაათ დაქაჩე, კვანძი არ გეიხსნას. ცხოვრებაში ერთი შანსი მომეცა, ახლა ორ მაკე ძროხას და ერთ ფურს ვყიდულობ, ათასი მაქვს, ოთხასი მრჩება, ცოტაც და ჩემი ბიზნესია, თუ რაცხა ჯანდაბაა მექნება, ცოლ-შვილი ტიტველი აღარ მეყოლება და შენთვისაც ახალ წელს კაი ნასუქ ინდოურს, დედალს

და საუკეთესო ყველს ჩამევიტან! უთხრა ანერვიულებულმა თანდილამ.

ცოტა ხანში ახალი წელი მოდიოდა ჩასუქებული ინდაური! ქათამი! ყველი! და საყიდელი მხოლოდ გოჭიღა ექნებოდა, ოფიცერი კარგად დაფიქრდა და მისაბმელიც ნახა.

ბანკმა თანდილას სახლ-კარი და სამივე ძროხა დაუყადაღა, ყოველთვიური მომსახურეობის, გატანის პროცენტის, თანხის დაზღვევის, ანგარიშის მომსახურეობის საკომისიო, დახარჯული ქაღალდის, ხელმოწერის დროს გასმული კალამის, ერთი გაღიმების, ნასუნთქი ჰაერისა და კბილის ქირის დაანგარიშებით, მაქსიმუმ მოგებაზე გათვლილი პროცენტით გასცა ოთხასი ლარი.

გახარებული თანდილა გაიქცა სოფელში გადაუხადა ფული მეზობელს და სამივე საქონელი შემოლალა ეზოში, მიგდებული ბოსელი დაასუფთავეს, ძროხები შერეკეს შიგნით, საგულდაგულოდ ხელით დაგლეჯილი ბალახი, დაუყარეს და ყველა ერთად დიდიან-პატარიანად კიდევ დიდხანს უყურებდნენ, თუ როგორ ცოხნიდნენ უკვე საკუთარი ძროხები ბალახს.

მზემ მესხეთიდან გამოანათა, გურიაზე გადმოაფინა თავისი სხივები და მისწვდა ზღვას, ზუსტად ამ დროს თანდილა გავიდა სახლიდან თავისი დაჩეჩქვილი ტომარა - ზურგჩანთით და ცელით ხელში, ერთი კვირით დაიკარგა. მის მაგივრად მამამისი თევდორე მორიგეობდა, მოხუცებულ კაცს უმძიმდა, მუხლი აღარ უჭრიდა, მაგრამ დიდი შემართება ჰქონდა, მისი დიდი ოჯახი უნდა გაძლიერებულიყო, მას სჯეროდა - სწამდა თავისი შვილის, რძლის და შვილიშვილების.

მეშვიდე დღეს საღამოს თანდილა მოლასლასდა სახლში, მხოლოდ ერთი ლუკმა პური მოგლიჯა და დიდი კათხა ღვინო სულმოუთქმელად გამოცალა, დაეცა საწოლზე და მკვდარივით ჩაეძინა, ოჯახში ვერავინ ბედავდა მის გაღვიძებას, მხოლოდ ზოია მიუჯდებოდა თავთან და გამტვერილ თმებზე ეფერებოდა. მეორე დღის საღამომდე ეძინა. თანდილამ თვალი რომ გაახილა, გიჟივით წამოვარდა და ცას გახედა - ხომ არ უწვიმია?! - არა, უთხრა ზოიამ, - ღამისას სათიბში მივდივართ, გაემზადეთ, ფოცხები და ფიწლები ნახეთ, საგზალი მოამზადეთ! თვითონ ისევ გაუჩინარდა და თავის მამიდაშვილთან კახასთან ერთად ვეებერთელა სამხიდიანი მანქანით ღამის სამ საუზე მოვიდა.

- ჩასხედით ბავშვები ჩემთან კაბინკაში, კაი მუსიკები მაქ, მოგასმენინებთ, - აი, ეს თქვენ, ბიძია, ეიღეთ, საგულდაგულოდ ნაყიდი შოკოლადები ჩამოურიგა ნახევრად მძინარე ბავშვებს, - თქვენ კი

გვრიტებო, ეეე კუზაო და არაფერი მიქაროთ, იცოდე, თან ეცინება - ისეთი ტემპი გაქვთ აღებული, შეიძლება ნამატით ჩამეხვიდეთ მაქედან.

- შენ რულს მიხედე, სადმე არ გადაგვყარო, იცოდე, ეღიმება თანდილას.

- მთელი სიმდიდრე მომაქვს აქანე.

- შენი სიმდიდრის რო ვიცი თანდილა, ცოტა თბილად ჩეიცვი, ამეიცვი რამე, არ გეიცივო, იცოდე, კვდება სიცილით. აი, ასე მხიარულად, გურულად იჩაქჩაქეს გურიის მთებში. გვიან მოუწია სათიბად გასვლა თანდილას. სოფელ ხაჯალიას კარგი სათიბები აქვს პალიასტომის მხარეს, თაღარას საძოვრების გვერდით, ტყის პირას ჭალებში, მაგრამ ახლა მთაში მიდიან, ყველა ნორმალური ჭალა გათიბული იყო. ყველაზე მიუვალ ადგილებში დარჩენილი ბალახი გაეთიბა თანდილას. საშიში ციცაბო ფერდობებიდან თვითონ ჩამოეტანა, ვაკეზე დაებულულებინა. ნაკლებად სახიფათო ცოლისა და ბავშვებისთვის დაეტოვებინა. კახა გზის მშენებლობის ფირმაში მუშაობდა მძღოლად, მანქანაც ფირმისა ყავდა, სარემონტოდ წამოყვანილ მანქანას, თავისი საძმაკაცო სახელოსნოში, სამი დღის საკეთებელი საქმე ორ დღეში დაუსრულეს, ერთი დღე კი თანდილას მიეხმარა, არაფერი ფუჭდება ამით, აბა ძმა რისი ძმაა, თუ გასაჭირში არ გაუმართა ხელი, ამიტომაც მანქანისა და საწვავის ხარჯები საღამოს სუფრაზე კარგი ღვინისა და ჩასუქებული დედლების ხარჯზე გაინაშთებოდა.

თანდილა აწვდიდა ბავშვების მიერ დაბულულებულ თივას სამხიდიანი მანქანის ძარაზე მდგომ ზოიას, რომელიც მიწოდებულ თივას ასწორებდა და ტკეპნიდა. გამთენიას დაწყებული საქმე დაღამებამდე დაასრულეს და გვიან ღამით დაბრუნდნენ სახლში. ბავშვებიდან მხოლოდ უფროსი ვაჟი გოგლა იდგა ფეხზე. ახლა ამ თივისაგან ზვინი უნდა დაედგათ. ქანცგაწყვეტილებს მეზობლები შეეშველნენ, ერთ საათში ზვინი ფეხზე დააყენეს. მზად იყო ლეილა ბებიას მომზადებული ვახშამიც, კეცზე შემწვარი ნაცრიანი მჭადი, ჭყინტი ყველი, მჟავე, პრასი, ლობიო, ცივად მოხარშული დედალი, ხაჭაპურები. თევდორემ ქვევრიდან ამოღებული ცივი ღვინო გამოიტანა, ოჯახმა ყველაფერი გაიღო, რაც კი შეძლო. კახამ გატეხა მჭადი, მიაყოლა ამოზელილი ლობიო, ბარკალი გამოისვა პირში, ერთი ყანწით დალოცა ოჯახი და ფუძის ანგელოზები, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა სახლში. ზოიას ჩაეძინა ბავშვებთან, მხოლოდ თანდილას არ ეკარებოდა ძილი, არც საჭმლის ჭამის თავი ჰქონდა, ის უბრალოდ იჯდა

სუფრის თავში და ბედნიერი უყურებდა, იმას, თუ როგორ ილოცებოდნენ მის ოჯახში ისინი, რომლებსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა ჩაფ ღვინოზე.

პირველი ორი თვე ძალიან გაუჭირდა ოჯახს, პენსიონერმა დედამამამ გაუსტუმრეს ბანკის ვალები, ოჯახი მშიერი მაინც არ დარჩა, სიმინდმა და საზამთროდ ნაყიდმა პურის ფქვილმა იმარჯვა, ქათმებიც ჰყავდათ და ინდაურებიც, მანდარინი კარტოფილში გადაცვალეს, ასე რომ, უფულობა ძალიან არ იგრძნობოდა ზეთის, შაქრისა და ტანსაცმლის ყიდვა უწევდათ, დალოცვილი ქართული მიწა მშრომელ კაცს ყველაფერს აძლევს. ცოტა ხანში ძროხებმაც მოიგეს სამს ორი ფური კიდევ შეემატა თანდილას ჩანაფიქრი სრულდებოდა. ძროხებმა რძე მისცეს, რძისგან ყველი ამოიყვანა ზოიამ, მეზობელ ფრიდონს ორ პატარა გოჭში ხუთი თავი ყველი და ერთიც ინდაური გაუცვალა, ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი წურუქა ტყუილად აღარ იღვრებოდა. გოჭებიც იზრდებოდნენ და სუქდებოდნენ. შაახალწლოდ საკრედიტო ოფიცერს შეპირებული დედალი და ინდაური თავისი ყველით ჩაუტანა, ისიც გაიქცა და ბონუსით მიღებული ფულით ერთი კარგი გოჭი იყიდა, ბედნიერი შეხვდა განათებულ ლანჩხუთში ახალ წელს.



საკუთარი სახლი და კახური ღვინო

გავიდა ხანი, თანდილამ უკვე საკუთარი ნახირი გაიყვანა საძოვრებზე, ნალია საკუთარი ხელით წამოჭიმა, ძალღონეს არ იშურებდა საქმისათვის, ფულიც გაუჩნდა. ყოველ შემოსულ თეთრს თავის საქმეს ახმარდა. ერთ საღამოს დაღლილი დაბრუნდა ჩვენი გმირი თავის ფიცრულ სახლში. ხელებზე წყალი გადაივლო და დაჯდა მაგიდასთან საჭმელად, გაბრაზებულმა ზოიამ საჭმელი დაუყარა ცხვირწინ, თანდილამ უხეშად მიაძახა:

- რაია ქალო, რა გჭირს!? გაცეცხლებულმა გურულმა ქალმა შეუტია! ...

- ამდენი წელი გევიდა, საქონელიც გყავს, ფულიც გაგიჩნდა, წელზე ფეხს ვიდგამთ მთელი ოჯახი, ვშრომობთ და ვწვალობთ დღე თუ ღამე, შენ კიდო რას შვრები!? ბავშვები ისევ ტიტვლები დარბიან, ჩასაცმელი არა აქვთ, სახლი რას გვიგავს, მოვკვდით ამ მიწურში ცხოვრებით, უბორნია არ გვაქვს, ბანაობით აგერ ტაშტში ვბანაობთ, კუხნა და ტელევიზორი არა, ჩვენ თუ არ გეცოდებით, შენი მშობლები მაინც შეიცოდე, არაფერზე ხმას რომ არ იღებენ, რამდენი წელი დარჩათ სიცოცხლე?..., ისეთ დღეში ჩააგდო თანდილა, გაოგნებულმა ჩუმად ჩაიბურდღუნა:

- რაია ქალო, ამისთანა რა დავაშავე, გევიდეთ ლანჩხუთში და გიყიდით ყველაფერს, რაც გინდათ, ჰოო? და შეცბუნებულმა გაიღიმა. ასეთი ზოია არ ენახა არასდროს.

- შენ სახლს მიხედე, სახლს! შეშინებულმა თანდილამ მეორე დღესვე მოიყვანა ხელოსნები. ამ სახლის გარემონტებას ახლის აშენება უფრო იაფი დაგიჯდებაო, უთხრეს ოსტატებმა. თანდილამ იფიქრა და გადაწყვიტა გრიშას სახლის ყიდვა, მოელაპარაკა კიდეც, მაგრამ ამხელა ფული ხელზე არ ჰქონდა, ამიტომაც ლანჩხუთში ნაცნობ ბანკში ჩაირბინა და:

- ოოო, ბატონო თანდილა, როგორ ბრძანდებით? მობრძანდით, დაბრძანდით.

- მადლობა, ძამა, მადლობა, შენ რავა ხარ?

- მადლობა, კარგად, რამ შეგაწუხათ?

- ფული მინდა.

- ძალიან კარგიი.

- 144571261 სხაპასხუპით ჩამოუთვალა თანდილამ.

- ეს რა არის? გაუკვირდა ოფიცერს.

- რაია და საირტერდინპიკაციო კოდია „თანდილა ენდ ინტერ-ნეიშენალ ნახირ კომპანისა“, კინაღამ ენა მოიტეხა თანდილამ და კმაყოფილებისაგან გაიბღინძა.

- ააა, უკაცრავად, უკაცრავად.

- მოკლედ, ძამა, ჩემი მეზობლის სახლის ყიდვა მინდა, ჩემსას ბოსლად გადავაკეთებ, ხოლო სახლი და ოფისი იქ მექნება, ერთბაშად ამდენი ფული არა მაქ, ცოტა შენი დახმარება დამჭირდება, ჩემი ცოლის ამოყვანილი ყველი კარგად იყიდება, კლიენტები ბევრი მყავს, ლანჩხუთში და ფოთშიც ჩამაქ, ძროხა მარტო ოცდა ხუთი მყავს, ღორებიც მყავს, ინდოურებიც, ქათმებიც, კურდღლის ბიზნესის დაწ-ყებისაც ვფიქრობ აპა? - შენ ეს საქმე უნდა გამიკეთო, ძამა, კაი გოჭი და ინდოური ჩემზე იქნება. საკრედიტო ოფიცერმა ფრთხილად გაიხედ გამოიხედა: - ჩასუქებული დედალა და კარგი თავი ყველი არ დაგავინყდეს.

- მჭადის ფქვილსა და შებოლილ იხვსაც გამოვაყოლებ, შენ თუ მაღალი პროცენტებით არ დამახრჩობ.

- ეეს უკვე საქმიანი საუბარია ბატონო თანდილა.

- ახალ წლამდე, ძამა.

თანდილამ იყიდა გრიშას ორსართულიანი სახლი, თავისი სახლის ნაწილი დაშალა, ნაწილი გაამაგრა, დაამატა და კარგ ბოსლად გადა-აკეთა. რძის ელექტროაპარატიც იყიდა, ზოიას გულიც მოიგო და სწრაფადაც კეთდებოდა საქმე, წელიწადში ორჯერ ვეტერინარი მი-ჰყავდა, ამოწმებინებდა, აცრევინებდა პირუტყვს. შესაბამისად აც-რილი და მოვლილი ძროხის რძის ხარისხიც მეტი იყო და ფასიც. მე-ზობლებს, რომელთა საქონელსაც მწყემსავდა, ახლა თავისთან ამუ-შავებდა, ფულსაც უხდიდა და საქმეც კარგად მისდიოდა, ოჯახში შრომით რომ გადაიღლებოდა, მოიკიდებდა თავის გაცვეთილ ტომარა-ზურგჩანთას, კიტრს, პომიდორს, ჭყინტს ყველს, მჭადს და ლიტრანახევარ ღვინოს ჩაალაგებინებდა ზოიას, - ჰო ღვინოზე გამახ-სენდა; შარშან თურმე ცოლშვილი თბილისობაზე ჩაუყვანია, ზოიამ და ბავშვებმა იმხიარულეს, თვითონაც გაერთო, მაგრამ ერთ ად-გილზე დაინახა ლამაზად თივით, გოგრებით და ყურძნით შეფუთული სატვირთო მანქანა, „ნაღდი კახური ღვინო“ აწერია.

- ნაღდია? იკითხა თანდილამ.

- მაა! ჩემი ხელითა მააქვ დაკრეფილი და დაწურული, ულვაშებში ჩააეღიმა და შრომისაგან გაუხეშებული დამსკდარი ვეებერთელა ხელის მტევნები გადაუშალა. მიწას შეჭიდებული კაცის ხელები იმ წამსვე ამოიცნო თანდილამ, მაგრამ არ ენდო.

- დაასხი! კახელმა წელში გამოყვანილი ჭიქის ნახევარი დაუსხა.

- ეეეეეე! ნუ გენანება, კახელო, ისედაც პატარა ჭიქაა, მეშინია არ გადამეყლაპოს, დაასხი ბოლომდე!

- ამ დალოცვილ სითხეში ჩემი და ჩემი ოჯახის შრომა და ჯაფა დევს, ღმერთმა შეგარგოს! შეუვსო.

- ჩვენ შრომას გოუმარჯოს, გადაკრა, კახურმა ღვინომ სრული თავისი სიმკაცრით და ტანინით ჯერ პირის ღრუ მოიარა, ყელში გადავიდა, დაექანა კუჭისკენ და ორგანიზმში გაიშალა, იქაც დატრიალდა არომატი, გაძლიერდა გრადუსებით დაიძრა უკან და მთელი ძალით დაატყდა თანდილას ტვინს, უცბად ამხელა კაცი ამსუბუქდა, გარშემო ყველაფერი განათდა და ფერები მკაფიო გახდა, ხალხის ჩოჩქოლიც საამურად მოესმა, თანდილას სიამოვნებისაგან გაელიმა.

- რაია აგი? გაკვირვებულმა იკითხა.

- ეს ჯოო! ჩემი ოჯახის ღვინოა, რქაწითელი. დალოცვილია მამაჩემისგან, რთველს ისე არ ვიწყებთ, ოჯახის უხუცესმა ლოცვა რო არ წაიკითხოს, დაწურვის დროს მამაო ჩვენოს მთელი ოჯახი ერთად ვამბობთ. ხოლო მარანში მხოლოდ კაცები ჩავდივართ და ვუვლით, ქალებს არ ვაკარებთ. ეს დალოცვილი მკაცრი და არომატული დგება. თანდილამ ასი ლიტრი კახური ღვინო იყიდა, რაც თბილისობაზე ჩამოსვლით ოჯახს ასიამოვნა, ღვინის ბოცების თრევითა და მატარებლით ჩაქჩაქით ძმრად ამოადინა.

თანდილა, ჭლაყო და ბიზნესი

მოკლედ, როგორც გითხარით, თანდილა დასასვენებლად ნახირში გადიოდა ხოლმე, ახლაც პირუტყვი თაღარას საძოვარზე გარეკა, თვითონ კი სამეველეს სამყოფელთან დიდი ცაცხვის ქვეშ წამოგორდა და ის იყო სიამოვნებით დაიწყო ღვინის ნელა - ნელა წრუპვა, თავზე წამოადგა მისი თანასოფლელი ბერტყიას ბიჭი ჭლაყო:

- გამარჯვება შენი.

- ოჰ, გაგიმარჯოს, ჭლაყო, ესღა მაკლდაო, ხმამაღლა გაიფიქრა, ჭლაყომ კი გაიგო, მაგრამ გაატარა.

- რავა ხარ, თუ იტყვი?

- რავა უნდა ვიყო ამ გაგანია სიცხეში.

- მარტო სვამ? - მაინც არ ანებებს თავს.

- არა, ბოშო, თბილისიდან მყავს სტუმრები ჩამოსული და იმათთან ერთად ვქეიფობ ბუნებაში ძროხებიანა.

- მერე და სად არიან?

- სად არიან და რო დეინახეს ჭლაყო მოდისო, დევიშალეთო, თქვეს და გეიპარნენ. რა გინდა კაცო შენ, მითხარი. აა, შენ ჭიქა, გადაკარი და დამანებე თავი, სამსახურში პოსტზე ვარ, ხო ხედავ!

- ბევრი სმა არ შეიძლება, შეილება პრავა წაგართვან ბიძიკო.

- დალიე, ბოშო, ნუ მეშაირები, გაუწოდა ჭიქა.

- შენთან დასალევად არ მოვსულვარ. გამოართვა ჭიქა და იმ წამსვე ჩამოცალა, გატეხა მჭადი, მიაყოლა ყველი, ჩამოასხა ერთი ჭიქა კიდევ და გააგრძელა; - საქმე მაქვს, ბიჭო, სერიოზული. ჩემი ბიძაშვილი, თედო, ხომ იცი? იგი მარშუტკას ყიდის, ხოდა მისი ძმაკაცი როხვა, ბელტიყლაპიას რო ეძახიან, ხაზს ყიდის ბათუმი-თბილისის, კარტში წოუგია დიდი ფული, კვირის ბოლოს ჩასატანი აქვს, იფიქრე ახლა ორი დღე, გამოგივლი შემოგევლე და მითხარი პასუხი. ძროხები გყავს, აგერ მთელი ნახირი დაგიდის, არაფერი გაკლია, წყალა ღვინოს აღარა სვამ, მარა ფული თუ გინდა, აგერ შენ საქმე, წაველი ახლა მეე. დალია თავისივე დასხმული ჭიქა ღვინო, კაიაო, თავიც რამდენჯერმე დაიქნია და გაუყვა გზას.

თანდილა სერიოზულად დაფიქრდა, მოიყუდა ბოთლში დარჩენილი ღვინო და სულ ჩამოცალა, დაფრთიანებული წავიდა ფიქრებში. მანქანა მისი ბავშვობის ოცნება იყო, ახლა კი შანსი ჰქონდა მარშუტკის მარტო ყიდვისა კი არა, არამედ ბიზნესის აწყობის! გონებაში უყურებდა, თუ როგორ ყიდულობდა მარშუტკას, მერე როგორ ატარებდა

გაღიმებული და ბედნიერი, მგზავრები უამრავი, რომ არ ეტევა მანქანაში, ჩასვლისას იხდიან ფულს, ზოგი ას ლარიანს ჩუქნის - „თანდილა, რა კაცი ყოფილხარ შენ შემოგევლეო“, მერე ბევრი ფული, ფული და კიდევ უფრო მეტი ფული, გაზაფხულზე ახალი მარშუტკა, შემოდგომით კიდევ ორი, მერე ახალი ფირმის დაარსება, ლანჩხუთში თავისი ოფისი შუშაბანდებიანი შენობის თავზე მუქი წითელი სარეკლამო აბრა წარწერით „თანდილა ენდ ინტერნეიშენალ ნახირ აუტო კომპანი“! მდივანი გოგონა მოკლეკაბიანი, არა გრძელკაბიანი, ზოია იეჭვიანებს, მაგისი თავი არა მაქვს. ფიქრებიდან, რომ გამობრუნდა, გაიხედ გამოიხედა და კარგად ჩამობნელებულიყო, სასწრაფოდ წამოხტა, გამოყარა ძროხები და სახლშიც გვიან მოვიდა.

დილით ადრე ადგა, თავი დაიბანა, გამოეწყო და გაიქცა ლანჩხუთში თავის საკრედიტო ოფიცერთან. ბანკში შევიდა თუ არა, ოფფიცერმა შორიდანვე იცნო თანდილა. მის მაგიდასთან მჯდომს მკაცრად მიმართა, თქვენი საქმე ხვალისთვის განიხილება და 10 საათზე გელოდებით! შორიდანვე გაღიმებულმა შესძახა:

- ბატონო თანდილა, მობრძანდით! რიგში მდგომი უკმაყოფილო ხალხი ახმაურდა - ამდენი ხანია გელოდებით, ურიგოდ რატომ უშვებთ ვიღაცასო!

- წინასწარ იყო ჩაწერილი ბატონი თანდილა! ოფიცერმა გააჩუმა ხალხი და VIP კლიენტი ურიგოდ მიიღო.

- რამ შეგაწუხათ?

- ახალი ბიზნესი მინდა წამევიწყო. მარშუტკა თავისი ხაზით მინდა ვიყიდო ბათუმი-თბილისი, საქმე სარფიანია, ხო იცი, ფული მჭირდება, ძამა!

- ოოო! ჩუმად დაიწყო, - ბიზნეს გეგმაა საჭირო, მთელი საბუთების დასტა შესათანხმებელია უფროსობასთან. მაგას გოჭით ვერ უშველით ბატონო თანდილა.

- ბიზნეს გეგმაა თუ დასტა, შენ მიმიხედე, ძამა, კაა მოზვერი მყავს ერთი, მოგეწონება.

- აჰა�ა, კარგი და პატიოსანი. მოზვერი ახლავე და კაი ბურვაკი საახალწლოდ! უფროსობასაც მივხედავ და პროცენტებსაც რამეს ვუშველი. ჩამოარტყეს ხელი-ხელს.

კვირის ბოლოს თანდილას ეზოში ეყენა წითელი „მერსედეს ბენცი“ 14 სავარძლიანი გადაკეთებული 18 ადგილიანად. ბავშვები დაძვრებოდნენ წინ და უკან, უხაროდათ, მამამ მანქანა იყიდაო, საჭესთან დაჯდომაზე იჩხუბეს. თანდილამ ხმაურით ჩამოყარა ბავშვები მარშუტკიდან

- არ გააფუჭოთ, თქვე შობელძაღლებო! კმაყოფილებით უმზერდა ზემოთ თუ ქვემოთ. ოჯახმა უსაყვედურა თანდილას, ჩვენ რატომ არ გვითხარიო, ზოიაც გაიბუსხა. ამაყად გადახედა თავის ცოლშვილს „თქვენ რა იცით ბიზნესის კეთებისო“, „ახალი საქმე დევიწყეო“ თავმომწონედ ჩაიბურტყუნა. წამოწვა მანქანის სავარძელზე, ხელები თავქვეშ ამოიდო და გაფრინდა ისევ ფიქრებში ლანჩხუთის შუშაბანდებიანი ოფისი, სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი, მდივანი გოგონა შემოდის ღიმილით, შემოაქვს სინზე დადებული განსხვავებული ჭიქით ღვინო, თანდილაც როგორ იყუდებს მოწყურებული, როგორ სვამს და ამ დროს ვიღაცამ შეანჭყარია და ეს შავი ღვინო ზედ ყვითელ კოსტუმზე გადაასხა. დაბრუნდა დედამიწაზე და აიხედა ზევით.

- შოფერი არ გინდა, ბოშო? შოფერიი?

- რა შოფერი, ჭლაყო?

- აბა, ვინ ატარებს აი, მანქანას? „პრავა“ შენ არა გაქვს, მანქანის ტარება შენ არ იცი, თვითონ კიდო ვერ ივლის, ამდენი ჭკუა მაგას არ აქვს, მე კიდო ძამა „პრავაცა“ მაქვს და გამოცდილებაც. თედოს დავყვებოდი, ხან ფულს ვაგროვებდი, ხან რულზე ვიჯექი, ხან ზეთი იყო გამოსაცვლელი, ხან ფილტრი, ხან ტიაგა, ხან დოზანა და ხან ბედენა. მოკლედ ჩემზე სუფთა კრისტალ კაცს შენ ვერსად ნახავ, ნახევარი-ნახევარზე თანახმა ვიქნები, საწვავი ჩემზე იქნება, ზეთი ფილტრი, ნაწილების გამოცვლა, აბა, რას ფიქრობ, - გაუწოდა ხელი.

თანდილას ისე ეჩქარებოდა ახალი საქმის დაწყება, ოფისის გახსნა, დიიიიდი ფულის შოვნა, რომ გადაწყვიტა, ავტომობილი ჭლაყოსთვის ჩაებარებინა და მანქანაც გაატანა. საღამოს დაღლილ-დაქანცული თევდორე ნახირიდან დაბრუნდა, ზოიამ თბილი ლობიო, ახლად შემჟავებული მოვარდისფრო კომბოსტო, მჭადი და ცოტა ღვინო გამოუტანა. მოშიებულმა მოხუცმა ხელები გადაიბანა სახეზე შეისხა წყალი, ლურსმანზე ჩამოკიდებული პირსახოცით შეიმშრალა პირი და სიამაყით გადახედა თავის სახლ-კარს, მაგრამ ეზოში მანქანა ვერ დაინახა. ყველაფერს მიხვდა, ხასიათიც და სახეც შეეცვალა გადახედა ზოიას:

- დოუძახე შენ ქმარს, მოვიდეს. უთხრა წყნარად, თვითონ დაჯდა და გასინჯა საჭმელი, რომელსაც გემოც, სურნელიც და ფერიც დაკარგოდა, ერთი ჭიქა ღვინო წყალივით დალია, ღვინომ გაყინული გული გაულღო და გახევებული ნერვები დაუწყნარა. მოვიდა თანდილაც.

- რა იყო ალექსეევიჩ.

- რა იყო და სადაა მანქანა?

- სადაა და ჭლაყოს გავატანე ნახევარი-ნახევარზე შევუთანხმდი კაცს.

- კაცს ჭლაყოს არ დოუძახებენ გეიგე? მამამისს რა ქვია თუ იცი?

- ბერტყია.

- არა ნამდვილი სახელი?

- აბა, რა ვიცი მე, მთელი სოფელი ბერტყიას ეძახის.

- არ იცი! ის თუ იცი, რომ აფირისტობისათვის და ტყუილის გამო ხშირად სცემდნენ და მაგის გამო შეერქვა ბერტყია, ბიძიკო, აპა?

- კაა ახლა, იმასაც თუ მეტყვი ბაბუამისს რას ეძახდნენ? ჩაეცინა თანდილას.

- შენე იცინე და ყირამალას ეძახდნენ მაგას, სახლში შემოსაშვები არ იყო ის შეჩვენებული, ენას დააჭარტალებდა აქეთ-იქეთ, ბევრს ოურია საქმე და ოჯახი, ყველაფერს ყირაზე აყენებდა, არც ეგ ვარგოდა და არც მაგის მოდგმისა არ ივარგებს! უგვარონი არიან შვილო, დამიჯერე შენე მე! არ წააგებ!

- რახან წინები არ უვარგა, შვილიც არ ივარგებს, არა? უკვე სხვა საუკუნეა, ბაბუ, გეიღვიძე! აგერ ტელევიზორია, მობილურია, კომპიუტერნეტს ეძახიან თუ რაცხაა, ათას რამეს ნახავ შით, ივარგებს აი, კაცი, ნახავ შენ!

- საუკუნე სხვაა, მარა კაცობა ერთია, მაშინაც! და ახლაც! მე მითქვია შენთვის, შვილო, შენ უფრო კაათ იცი, მოვუვლი პირუტყვს, სანამ მრთელი ჯანი მეყოფა და მერე ღმერთია პატრონი.

- კაი, გეყოფა ეხლა ალექსეევიჩ, ზოია! შემოგვიმატე ღვინო და კვერცხიც შეგვიწვი მალე! მალე!

მამა-შვილმა იმ ღამეს კარგად მოულხინა, ბევრიც დალიეს, დილით სისხამს ადგა თანდილა, მოიკიდა თავისი დახეული ტომარა და გარეკა ნახირი...

ჭლაყომ ორი კვირა პატიოსნად მოუტანა ფული, შემდეგ ერთი დღე ჩააგდო კვირაში, შემდეგ ორი, „არავინ არ იყოო“, ხან ზეთი იყო გამოსაცვლელი, ხან ფილტრი, ხან საბურავები, ხან რა და ხან რა, მოკლედ კვირაში ორი დღის ფული მოჰქონდა ნორმალურად და ასე გრძელდებოდა ნახევარ წელიწადს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბანკის ვალების დასაფარავად რამდენიმე ფურის გაყიდვაც მოუწიათ.

გაბრაზებული თანდილა ჩავიდა ჭლაყოსთან თბილისში და გაყვა რეისში გადასამოწმებლად. დაჯდა მძღოლის გვერდით სავარძელში, მალევე შეამჩნია, რომ ჭლაყო ყველას არ უჩერებდა „უი, ვერ დევინახე“, „არ ჩანდა ეგ უპატრონო“, „ვერ გევიგე“, არც ზესტაფონში და

არც ქუთაისში არ შეიარა, თანდილამ მეორე რეისზე მკაცრად გააფრთხილა „გაუჩერებ ყველას! და ქალაქებშიც შეხვალო!“. სხვა გზა არ დაუტოვა მძღოლს, მას ყველგან უნდა შეევლო და ყველასთვის გაეჩერებინა დღის ბოლოს მანქანა მიაყვანინა თავისი სახლის ეზოში და ფულიც დაითვალა, ალექსეევიჩი მართალი აღმოჩდა, ჭლაყო თანხის ნახევარს კი არა მესამედსაც არ აძლევდა. თანდილამ მოკიდა ხელი კისერში, მიიყვანა სახლის ჭიის კარამდე.

- შენ, შენ მატყუარა! და აფირისტი ხარ! შენ კაცი არა ხარ ჭლაყო!, ამ მანქანაზე ვეღარ დაჯდები წეიღე შენი წილი და მომწყდი თავიდან, მიუყარა ფული, ჭლაყომ ფული წამოკრიფა, შემოიხედა უკან შემოაძახა.

-კიდო შევხვდებით, თანდილაააა, კიიიდოოოო! და სტვენა სტვენით გააგრძელა გზა.

„პრავა“

მეორე დილას გამწარებული თანდილა გაიქცა ლანჩხუთის პოლიციაში კარი შეაღო და მორიგეს, ახალგაზრდა გამოწკეპილ პოლიციელს ჰკითხა:

- „პრავას“ სად ევიღებ შემოგევლე?

- აქ ნამდვილად ვერ მიიღებთ. ჯერ ინტერნეტში საკითხები უნდა მოძებნოთ და მოამზადოთ, მერე კომპიუტერთან დაგსვამენ, თეორიაში გამოცდას ჩააბარებთ, შემდეგ პრაქტიკული ტარების კურსს გაივლით, იქაც გამოცდას ჩააბარებთ და მართვის მოწმობაც გექნებათ.

- რამე მოკლე გზით რო წევიდეთ, არ გამოვა ძამა? პატივს გცემ. და გაიღიმა, რაც შეეძლო, თვალებიც აუკაშკაშდა, აენთო დადებითი პასუხის მოლოდინში. პოლიციელს ნერვიულობისაგან ხმა დაეკარგა, სახე წამოენთო, იფიქრა, მოგზავნილია ეს შეჩვენებულიო, ხრინწიანი ხმით უთხრა.

- პატივისცემაზე სამიდან შვიდ წლამდეა ციხე, ხოლო პატივისცემის შემოთავაზებისათვის შვიდიდან სამ წლამდე! ახლა გამასწარი აქედან, სანამ სტეფანიჩს არ გაუგია ეს საუბარი, თორე მამაზეციერიც ვეღარ გიშველის მერე! და გადახედა გვერდით შუშის კაბინეტში მაგიდასთან მთვლემარე მოსუქებულ პოლიციის უფროსის მოადგილეს. შეშინებულმა თანდილამ „ბოდიშიო“ თქვა - „გევიხუმ-

რეო“ კიდევ ერთხელ შეეცადა გაღიმებას, მაგრამ პოლიციელის გაყინული სახე რომ დაინახა, ეგრევე გაეცალა იქაურობას. მოწყენილი მდუმარედ მიუყვებოდა ჟორდანიას ქუჩას ლანჩხუთში, ქსეაკოვიჩის ბაზარს ჩაუარა გვერდი და შეხედა გამოკიდული აბრა ქანაობს „კომპიუტერული ტექნიკა“ იაფად, გარანტიით! - შეკეთება!... ტელეფონის ნომერი.

- გამარჯობა, მობრძანდით, რა გნებავთ?

-კომპიუტერი მინდა!

- რომელი?

- აი, პრავა რო ევიღო, ისეთი, გამოცდა მინდა ჩავაბარო.

- სახლისთვის თუ საოფისედ?

- მანქანაშითაც, რო ჩავდო.

- თქვენ ლეპტოპი გჭირდებათ. გადმოულაგა სხვა და სხვა მოდელი. თანდილა პირველად გატყდა და უთხრა:

- არ მესმის მე აი, კომპიუტერნეტი, თუ ძმა ხარ, შემარჩევინე რაიმე, რომელიმე ძვირიც რომ არ იყოს და არც ძველი.

- არ არის პრობლემა, ახლავე. თანდილას შეურჩიეს ლეპტოპი,

- ინტერნეტიც დაგჭირდებათ.

- ეგ რაღათ მინდა?

- გამოცდა რომ მოძებნოთ, თანდილას თავი აღარ ჰქონდა ახსნა-განმარტების მოსმენისა და:

- თუ დიდი არ იქნება, ევიღებ. მოკლედ, საღამოს მივიდა სახლში ლეპტოპით, დაუძახა თავის უფროს ბიჭს გოგლას და უთხრა, რომ „პრავის“ გამოცდები მოეძებნა. გოგლას არ გაჭირვებია, მამამისს აუხსნა, თუ როგორ და რა უნდა გაეკეთებინა.

- მამა, მარტო მაგი არ გეყოფა მართვის მოწმობის ასაღებად, კურსებზე უნდა ჩაეწერო. ერთი კი ჩაიბურდღუნა ისე, რომ ბავშვებს არ გაეგოთ:

- სკოლაში თავის დროზე არ მივლია, ახლა უნდა დამსვათ კლასში ამ სიბერისაა? თანდილამ, რამდენიმე კვირა დღე და ღამე გაასწორა, სასწავლებელშიც ჩაეწერა, ბევჯითად სწავლობდა, თან ცხვენოდა ამხელა კაცი ამ პატარა ბიჭებთან და გოგონებთან ერთად როგორია, მაგრამ კლავდა უსაზღვრო სურვილი თავისი ოცნების ასრულებისა. მას მარშუტკაც უნდა ეტარებინა! და ოფისიც უნდა გაეხსნა ლანჩხუთში! კომპიუტერშიც გაერკვია, თეორიული კურსიც წარმატებით გაიარა და პირველივე ცდაზე ჩააბარა, თავისი მამიდაშვილი კახაც დაიხმარა, მანქანის ანი და ბანი აუხსნა, თავის წითელ რაშს

არც თვითონ ეკარებოდა და არც სხვას აკარებდა - „პრავას“ რო ევიღებ, მაშინ დავჯდებიო, მეზობელი მურადას დანგრეული „ფორდ ტრანზიტით“ სწავლობდა, საწვავს უსხავდა ხოლმე. პრაქტიკული კურსიც კარგად გაიარა, პირველ ცდაზე ჩაიჭრა, ორი დღე ხმა არ ამოუღია და ოჯახშიც ხმას ვერავინ სცემდა, მაგრამ მეორე ცდაზე ჩააბარა, ბედნიერი დაბრუნდა სახლში და კარგი პურმარილიც გადაიხადა.

ასრულებული ოცნება

დილა სხვანაირად გათენდა, მზე უფრო კაშკაშა და თბილი იყო, ჰაერი უფრო სუფთა და სასიამოვნო არომატებით გაჯერებულიყო, სიხარულს მისი სხეული გაეჟღინთა, მისი ოცნება ასრულებული იყო. ადრე ადგა, მანქანა გაახურა, კახას სთხოვა - წამომყევი, პირველად მივდივარ გზაში, ბათუმში მინდა ჩევიდე, გზას მოვსინჯავ მაინც. ჩასხდნენ მანქანაში, თანდილა მეცხრე ცაზე დაფრინავდა, მართვის მოწმობაც ჰქონდა, მანქანაც ჰყავდა, საჭესთანაც იჯდა, ბათუმშიც მიდიოდა და ახლა უკვე საკუთარ ოფისზეც ფიქრობდა, ფრთხილად ატრიალებდა საჭეს უფრთხილდებოდა, ნელა მიდიოდა, მაგრამ უცბად დაღმართზე დააჭირა მუხრუჭის სატერფულს ფეხი და მანქანა არც კი შენელდა, მერე კიდევ და კიდევ სცადა, მაგრამ არაფერი, მირბის „მარშუტკა“ დაღმართზე. თანდილა ფიქრების ოფისიდან უცბად მწარე რეალობაში დაბრუნდა, მუხრუჭი არ იჭერდა, მაგრად დაფრთხა!

- ბიჭო, კახა „ტორმუზი“ არ იჭერს!

იმწამსვე გამოცდილმა მძღოლმა კახამ დაიძახა:

- „რუჩნიკი“ ამოწიე, ჩქარა! - და მეორეში გადართე! თანდილამ ბეჯითი მოსწავლესავით უცბათვე შეასრულა ნათქვამი.

- ახლა პირველში! მანქანაც ნელანელა გაჩერდა, შეშინებულები გადმოვიდნენ, კახამ სიგარეტს გაუკიდა, ნაფასი დაარტყა.

- გადავრჩით, მგონია, ხო იცი და შეიხედა მანქანის ქვეშ.

- გაუმართავი მანქანით, როგორ წამოხვედი ამხელა კაცი? უჰ! უსაყვედურა.

- მეგონა, ყოლიფერი წესრიგში იყო.

- „ტარმაზნოი შლანგია,“ ბიჭო, გაგლეჯილი, რკინაშია მოტეხილი, მაშინ გაახსენდა ჭლაყოს სიტყვები „- კიდევ შევხვდებით“, მერე მამამისის „- უგვარონი არიან, შვილო!“

- ოხ, ჭლაყო! ეს ნაბუშარი! მაგის გაფუჭებული იქნება, ეგ არაკაცი, როგორ გამწირა, ხო შეიძლება ბოვშვებიც მყოლოდა ან ჩვენ

რამე დაგვმართოდა, მაგის ნაბუშარი დედ... გავუსწორდები მაგ... ნელი სვლით ხელოსანთან სახელოსნოში მიიყვანეს, მუხრუჭის მილები გამოცვალეს, შეამოწმეს და ყველაფერს ხელი შეავლეს, მანქანა კარგად გაარემონტეს. ეს ყველაფერი ერთი ძროხა კიდევ დაუჯდა.

იმავე ღამით ჭლაყოს დაადგნენ სახლში, კარი მამამისმა ბერტყიამ გაულო, თავისი ჩვეული უხეში ხმით:

- რა იყო ამ შუაღამისას, რო დამადექით, დეიქცა ქვეყანა?

- ბერტყია, სად არი ჭლაყო! ისეთი ტონით უთხრა თანდილამ, რომ ბერტყია მიხვდა მისი ოჯახის საქმე ცუდად იყო. შეცვალა გამომეტყველება, გაიღიმა, დათბა...

- აბა, მაგისა რა ვიცი, ორი თვეა არ მოსულა სახლში, ტელეფონსაც არ პასუხობს. თანდილამ არ დაიჯერა ბერტყიას სიტყვები და წინ წაიწია, ხნიერი კაცი ჯერ წინ ჩაუდგა, მაგრამ მალევე უკან დაიხია, ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო და...

- მობრძანდით, დაბრძანდით, ახლავე ღვინოს მოვიტან, ლია, ქალო, გამეიტანე რამე, გაშალე სუფრა, სტუმრები გვყავს, პური ვჭამოთ.

თანდილამ მოათვალიერა სახლი, შემოტრიალდა და უთხრა ბერტყიას:

- ჭლაყოს უთხარი, სათოფეზე არ გამეკარო-თქვა! შემოტრიალდა და წამოვიდა.

გვიანი შემოდგომა იყო, როდესაც თანდილა ბათუმში ჩავიდა და რეისზე დადგა.

- ძამა, სადგომის გადამიხადე, გადაიხადა, - ავტოსადგურის, ძმა! გადაიხადა, - ერთი ლარი, ბრატ ჩვენ გვეკუთვნის, გადაიხადა. სადგურიდან სულ ხუთი მგზავრით გავიდა, ბათუმის გასასვლელში არავინ დახვდა, არც ქობულეთში, არც გრიგოლეთში, არც ლანჩხუთში, სამტრედიაში ერთი კაცი ამოვიდა, სამიც - ქუთაისში. ასე ცარიელი დადიოდა სამი კვირა თანდილა ბათუმიდან თბილისამდე და თბილისიდან ბათუმამდე, სანამდე არ გაარკვია, რომ რეისში გასვლამდე ათი წუთით ადრე მის „მარშუტზე“ გადიოდა სხვა „ხამუტჩიკი“ „მარშუტკა“ და გზაზე რაც კი კლიენტი უნდა შეხვედროდა თანდილას, მასთან ადიოდნენ მანქანაში და ასე ტოვებდა ულუკმაპუროდ, ისიც გაარკვია, რომ აქაც ჭლაყოს ოინებთან ჰქონდა საქმე. სიტუაციაც გაურკვია შოფრულად და მაგრადაც ცემა, მაგრამ შეჭმულ ფულს ვერაფერი ეშველებოდა, კაპიკიც ვერ გააგდებინა.

ჩემი და თანდილას ამბავი

ცივი, ქარიანი და სუსხიანი იანვრის კვირა დღე გამოდგა, გვიან მომიწია წამოსვლა, საღამოს 7 საათი იქნებოდა, აღმაშენებლის გამზირზე ჩამოვედით მე, მარი და სალო, ქარი გაყინულ თოვლის ნამქერს პირდაპირ სახეში გვაყრიდა, მაგრად გავითოშეთ, ხაშურის მანქანამ ჩიარა, აგერ ზუგდიდი, სამტრედია, ქუთაისი და ნანარტი წითელი ბათუმის „მარშუტკაც“ გამოჩნდა.

თანდილა თავის წითელ მარშუტკას მოაგელვებდა, კლიენტურა ბევრი არ ჰყავდა, მაგრამ გვერდით ერთი ახალგაზრდა ბიჭი ეჯდა და მას ელაპარაკებოდა, უყვებოდა თავის ცხოვრებას, თან დარდობს:

- არაა დღეს გზაში ხალხი, ძალიან ცივა, ასეთ ამინდში ძაღლს არ გამოაგდებს კაცი გარეთ, კაციშვილი არა ჩანს. მაგრამ ვიღაცა ზურგ-ჩანთიანი იქნევს ხელს...

- ვინაა აი უპატრონო? ასეთ ამინდში კაცს რა უნდა კარში? კითხე ერთი, საით მიდის? თანდილამ გვიან დამინახა და მანქანაც მო-შორებით გაჩერდა, მარის და სალოს დავემშვიდობე და გავიქეცი, ახ-ალგაზრდა ბიჭმა.

- საით მიდიხარ?

- გრიგოლეთი.

- დაჯექი, დავიფერთხე მიყინული თოვლი და დავჯექი პირდაპირ თანდილას და მისი მეზობლის შუაში უკანა სავარძელზე. სავარძელი კი არა შუა საუკუნეების სატანჯველ სკამს უფრო წააგავს, მსუბუქი დანაშაული რომ აქვს მისჯილი პატიმარს, სკამის დასაჯდომი დახრილია ქვემოთ და ამიტომ სულ სრიალებ, რომ ჩაგეძინოს, ფეხები ქვემოთ კარგად თუ არ დააჭირე, ჩამოვარდები, სულ ცოტა ცხვირი, ხელი ან ფეხი შეიძლება მოიტეხო. საზურგე ნახევრად დაკეცილია, ზიხარ „ვეაბრაზნად“ მოხრილი, წაკუზული, მეტობის ნიშანივით, ჩემს ბავშვობაში ქორწილის მანქანის კაპოტზე თოჯინას რომ დაამაგრებდ-ნენ ხოლმე. გასწორებული ფეხებით, რომ არ ჩაცურდე და ცხვირი რომ არ ჩამოარტყა. სკამის საჯდომი ნაწილი პატარაა, ღრუბელი გაცვეთილია და ზევით ამოსული სამაგრი რკინები ფეხებში გერჭობა, მოკლედ, „სრული კომფორტია“ კლიენტისთვის შექმნილი. გზაში ჩემ-სავით სახლიდან გამოგდებული საკმაოდ აღმოჩნდა და მანქანაც შეივსო, მიდის მთელი 90-ით ხაშურთან არ მისულმა დახედა სიჩქარის მაჩვენებელ დაფას, დაინახა მინუს 7 გრადუსს უჩვენებდა მონიტორ-ზე. გული გაუსკდა, სასწრაფოდ დააგდო სიჩქარე ორმოცამდე,

მივხვდი, რომ ახალ გამოუცდელ მძღოლთან მქონდა საქმე. თან სულ იმეორებს:

- მინუსია, მოყინულია, მოყინულია. მერე ხვდება, რომ გზა მოყინული მთლად არ არის და ოდნავ უმატებს სიჩქარეს.

- კიდევ კარგი ტრაილერი არ ჩანს, თორემ უკან სადევნი იქნებოდა, არადა გულში ფიქრობს, „ნეტა ერთი ტრაილერი შემხვდეს სადმე ამოვუდგები უკან და გავყვები ბათუმამდე“, მართლაც არც ერთ სატვირთო მანქანა არსად არ ჩანდა, დიდთოვლობის გამო ლარსის უღელტეხილი ჩაკეტილი იყო და მოცურების საშიშროების გამო მოძრაობა აეკრძალათ, ამიტომაც არ მოძრაობდნენ. „ავტო ბანიდან“ ქუთაისის გადასახვევთან არ გადაუხვია და შემოვლითი გზით წავიდა, გამიხარდა, ვიფიქრე - აი, კაცური კაცი, გრძელი გზით არ წავიდა მეთქი, მაგრამ უადგილო ადგილას უაზრო გადახვევის შემდეგ მივხვდი, რომ გადასახვევი შეეშალა, ან უბრალოდ გამორჩა, გადაუხვია ავტობანიდან ოცდაათი მეტრი გაიარა და გაჩერდა, ისე დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით გეგონება „მარშუტკით“ მთვარეზე ასულიყო და უცხო პლანეტელების გამოჩენას ელოდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთი, მერე თვალები მოიფშვნიტა, თავი მაგრად გააქნია ცუდი აზრები ჩამოიბერტყა და მანქანა უკანა სვლით დაძრა, ტრასამდე არ მისული ავტომობილი სასიგნალო ბოძს წამოსდო, შეეშინდა ვინმეს ხომ არ გადავუარეო, მერე წინ წავიდა და ისეთი ხმა იყო აშკარად რაღაცა გასძვრა მარშუტკას. თანდილამ წაშლილი სახით გადმოგვხედა ყველას, გეგონება ჩვენი ბრალი ყოფილიყო, არავის ხმა არ ამოგვიღია გასუსულები ვისხედით, ჩემს გვერდით გაიხსნა კარი, ვეებერთელა „შიტოკი“ შემოტენა მანქანაში და მკაცრად გაგვაფრთხილა:

- ფეხი არავის არ წაგიცდეთ არ დაადოთ გატყდება, ამის გაკეთება ძვირი ღირს, თქვენ კი არაფერი მოგივათ. კიდევ ერთხელ მკაცრად გადმოგვხედა და გავაგრძელეთ გზა, ჩემს გვერდით მჯდომმა კაცმა გაისწორა დაბუჟებული ფეხი და ცოტა მიკრა შიტოკს.

- რას შვრები! შევძახე, შეშინებულმა შემომხედა, მეზობელმა.

- რა იყო? რა დავაშავე?

- ფრთხილად! გაუფრთხილდი მაგ „შიტოკს”, რამე არ დაუშაო, არ დაგვლუპო, თუ ძმა ხარ! და გამეღიმა. კარგად ვიცინეთ, ცოტა გავმხიარულდით. თანდილა კიდევ ყვებოდა თავის ისტორიას, თუ როგორ გაყიდა ძროხები, როგორ იყიდა მარშუტკა და:

- გამევედი ხალხში! ვნახე ცხოვრება! ომახიანად ამბობდა და იყო ბედნიერი. სამტრედიას რომ გავცდით, გაუხვია გურიისკენ, გზაში

„ხარისხიანად დალატკული“ ასფალტი ყინვას და თოვლს მალევე ამოეყარა და დიდი ორმოები გაჩენილიყო, ხოდა ზუსტად იმ ორმოში მოვადინეთ ზღართანი მანქანიანად, თანდილამ არც აცია და არც აცხელა, მწარედ შეიგინა.

- ამ მთავრობის დედა... ცოტაც გაიარა და ისევ მსგავს ორმოში ჩავვარდით, ისევ.

- ამ მთავრობის დედა... ასე კიდევ რამდენჯერმე განმეორდა. ჩემს გვერდით მჯდარი კარგად ჩაცმული ქალბატონი (ძვირფასი სუნამო ოხრად ესხა, მთელი გზა თავბრუ მეხვეოდა მძაფრი სუნისგან) რამდენჯერმე შეკრთა, უფრო შეხტა გინების მომენტში, რატომღაც საქართველოს მთავრობის დედის როლი მოერგო და გეგონებოდა მთელი ამ გინების სიმძიმის მოგერიება მხოლოდ ამ ქალბატონს უხდებოდა, ალბათ მისი შვილი მუშაობდა სადმე გამგეობაში და უხარისხოდ შესრულებული საქმე მისი მიბარებული იყო, ან და დაგებული ეს დალატკული ასფალტი, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით, არ ვიცი, მაგრამ ამ ქალბატონის შემხედვარე მივხვდი, თუ რამდენად მძიმეა ნებისმიერი მთავრობის დედის ამპლუაში ყოფნა. ბოლოს შეწუხებულმა მანდილოსანმა ხმა ამოიღო, მკაცრად მიაძახა ძღოლს:

- ბატონო, რა დაგიშავა ამ მთავრობის დედამ?

- რა და, ქალბატონო, ამ გზას დედა აღარა ყავს და აბა ვის დედას ვაგინო, გამაგებინე! ისევ ბრახ, ჩავარდა მანქანა.

- ამ მთავრობის... ასე მხიარულად ვიმგზავრეთ. მალევე გზა გამოსწორდა, თანდილამ გინება შეწყვიტა და გააგრძელა თავისი თავგადასავალი. მე ჩამოვედი გრიგოლეთში, ჯიმია მელოდებოდა.

- რაია, სად ხართ ამდენი ხანი? ფეხით მოდიოდით კაცო, თუ მარშუტკას აწვებოდით, გაგონილა ამისთანა? თანდილამ თბილისიდან ბათუმამდე რვა საათზე მეტი მოანდომა, თვითონაც ძალიან დაიღალა, ხალხიც დატანჯა, მაგრამ ჩაიყვანა დანიშნულების ადგილამდე მშვიდობით.

ეს ამბავი ასე დასრულდებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა. გაზაფხულზე მაისის თვე იყო, მახსოვს ვდგავარ გრიგოლეთში და ველოდები მანქანას ერთი საათია. წითელი მარშუტკა გამოჩნდა, გამეცინა, არ გავაჩერებ მეთქი გავიფიქრე, მაგრამ შეიძლება ერთი საათი კიდევ დამჭირვებოდა ლოდინი. „რაც იქნება, იქნება, ღმერთია პატრონი, ვთქვი“ და ხელი დავიქნიე, მანქანა უცბად ჩემს წინ გაჩერდა, ავხედე მძღოლად ახალგაზრდა კაცი იჯდა.

- თბილისი.

- ამოდი, „გადავრჩი“, ვიფიქრე, მაგრამ ნაცნობი ხმა შემომესმა, გვერდით თანდილა დავინახე იგივე თემა სასაუბროდ თბილისამდე, ყვება იმ ყველაფერს, რაც ზემოთ მოგახსენეთ, განსხვავება იმაშია, რომ ახლა თანდილა ყიდის მანქანას ხაზიანად და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ფასი დაადოს. ორი კლიენტი გაქცევია, არ უნდა ესეც დაკარგოს ეუბნება:

- ხო ხედავ, ხალხი ბევრია, საქმე არის, მე მანქანას კი არა ძამა მთელ ბიზნესს ვყიდი.

- კი მარა, აი, ფარა, ძვირია ჭოო!

- რა ვქნა, რა გიყო, ცოტას კიდო დოვუკლებ, მეორე ბიზნესი მივარ-დება, მამაჩემი მარტო ვეღარ ოუდის ამდენ საქონელს, თან ჩინელები ჩამოსულან, მიწები უყიდიათ ძროხებიც ბევრი ყავთ და ამუშავებენ ათ ლარად სოფლელებს. ერთი ძროხა და ბაღის მოვლა რაა, სხვას მო-ჯამაგირედ რომ არ დოუდგე, არ მესმის. თავისი სახნავი მიგდებული აქვთ და სხვისას ორ შაურზე დასდევენ. უცხო ხალხი ჩამოდის და ყიდ-ულობს ჩვენს მიწებს, არ მესმის, ისინი თუ ყიდულობენ და ამუშავებენ, ესე იგი, ფასი აქვს, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ჩვენი შრომით შევინახოთ თავი? უკვე დროა, დოუბრუნდე ჩემს მიწაწყალს და მივხედო, სანამ კიდევ არი. გამწარებულმა გააგრძელა.

- არ არის აი ჩემი საქმე, რა მემანქანებოდა? რა რეისები ამიტყდა, სოფელს უნდა მივხედო! სანამ კიდო არი ჩვენი! - ეს ყველაფერი 25 ათასი დამიჯდა 24-ში მოგცემ. ხომ ხედავ, მანქანა კაია, ზეთს დროუ-ლად ვუცვლი „პაკრიშკები“ ახლები ვუყიდე, ყველაფერი კაი აქვს. აჭარელი ხედავდა, რომ შემოთავაზება სარფიანი იყო.

- 20-ს მოგცემ, - ეეე, დამცინი ბუჭო შეენ? - 23 და ზოიას ხაჭაპურებს დავაცხობინებ, წიწილა და კახური ღვინო.

- ამდენი ფარა, თანდილა, არა მაქვს, 22-ზე შევთანხმდეთ. არც შენი, არც ჩემი ოღონდ ზოიას ხაჭაპურები აუცილებელია ღვინოიანა, ხელი ხელს დაკრეს. სწრაფად გავცდით ლანჩხუთს, სამტრედიას, ავუქციეთ გზა ქუთაისს, ზესტაფონი, ხაშური, გორი, მცხეთა, ჩავე-დით თბილისში, იქ კი ჩემი ოჯახი მელოდა. მანამდე კი მთელი გზა კიდევ ერთხელ ვისმენდი, თუ, როგორ გაყიდა ძროხები, იყიდა მარ-შუტკა, გაერია თანდილა ხალხში და ცხოვრებაც ნახა.

P.S. იმოგზაურეთ საქართველოში „მარშუტკით“ ჩემთან ერთად!

ივდო ოტობარი

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲔᲕᲓᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ „ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲐᲛᲚᲘᲡ“ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ოთარ ჭილაძე მოდერნისტი მწერალია. „მარტის მამალი“ ერთ-ერთი მათგანია, სადაც ვხედავთ, თუ როგორ იცვლება ომის შემდგომი თაობის ცნობიერება, როგორ არსებობს ილიას მკვლელი, რომელსაც სიცოცხლეშივე ხრწნა აქვს დაწყებული, და საერთოდ, ილია, როგორც ერის მამა, კიდევ ერთხელ ცოცხლდება რომანში. „მარტის მამალში“ წარმოჩენილი ადამიანები რეალურად არსებობენ. მათ ყველას განსხვავებული ისტორია აქვს, თუმცა, უსუსურობა, თავიანთი ხვედრისგან გამოწვეული უაღრესად ადამიანური სევდა აერთიანებთ.

არიან ადამიანები, რომლებიც ინერტული ცხოვრებით ცოცხლობენ, საკუთარ ნიჟარაში ჩაკეტილან და ცხოვრებაც თითქოს გვერდს უვლის მათ. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ სიცოცხლე წარსულის და მომავლის არსებობის აღიარებაა და არა - უარყოფა. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ადამიანები ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ:

1. ისინი, ვინც სიბნელიდან მოდიან და სიბნელეშივე ქრებიან;

2. ისინი, ვინც სიბნელიდან მოსულები ისწრაფვიან სინათლისაკენ. ხოლო სინათლეს - ცოდნა ქმნის. როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, არავინ იცის, სადაა ცოდნის ხე, რომ ერთი კალათი მაინც მოკრიფოს ცხოვრების მანძილზე.

არსებობს ერთადერთი რამ, რასაც ყველა ადამიანი ხედავს საკუთარი თვალით: „რა უცებ ქრება სიცოცხლე და რა იოლად იკავებს სიკვდილი სიცოცხლის ადგილს“. მწერლის აზრით, უკვდავება არ არსებობს, ხოლო სიცოცხლე სიკვდილთან შეჩვევაა, მისთვის მზადებაა. არადა, სწორედ ამ სამზადისში წარმოჩნდება ადამიანის გამძლეობა და, საერთოდ, ღირდა თუ არა სულის ჩაბერვა იმ თიხისთვის, რომელსაც ან სული მოირგებს, ან თვითონვე მოერგება. მხოლოდ, ვინც მოირგებს, უკვდავი იქნება, თუკი პირიქით მოხდება, არსებობის დასტურს მომავალი თაობა ქვაზე ამოიკითხავს, ისიც შემთხვევით, ძვირფასი საფლავის ძიებისას. ადამიანმა ბევრი რამ უნდა აიტანოს, ვიდრე სწორი გზის გაგნებას და დანახვას შეძლებს, ხოლო ამ გზას სიყვარული წარმართავს. „რაც ეყვარება, სიყვარულის გამო ეყვარება

მხოლოდ და რაც შესძულდება, ისიც სიყვარულის გამო შესძულდე-ბა“. ეს რომ ასეა, გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებშიც იგრძნობა, როცა წერს: „დედამიწას სიყვარული ატრიალებს, დომენიკო.“ ხოლო ეს გრძნობა, ალბათ, ბავშვობიდანვე უნდა ისწავლოს ადამიანმა. ვი-ღაც შეიძლება შემეწინააღმდეგოს, რომ ომისდროინდელ თაობას არ ჰქონია ბავშვობა, მაგრამ როგორც ავტორი ამბობს: „არაფრით შეიძლება, თუნდაც გაუქმებული ბავშვობიდანაც არ გადარჩეს რამე, რამე მაინც.“ თუმცა, ადამიანს ყოველთვის ვიღაცის ან რაღაცის ეშინია, სანამ ეს რაღაც არ გაუფასურდება მის თვალში. მაგრამ რაც დღესაა გასაკეთებელი, ის ადამიანმა ხვალისთვის არ უნდა გადადოს, რადგან არავინ იცის, იქნება, თუ არა ხვალ. ერთადერთი რამ, რაც საკუთარი გვაქვს, სიცოცხლეა. თუმცა, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ისე ვერ ვცხოვრობთ, როგორც გვინდა. ის კი არა, ღმერთთან ვერ გვისაუბრია ხეირიანად, ზოგს შუამავლად მღვდელი სჭირდება, ზოგი ფიქრობს, რომ მის გარეშეც იოლად გავა ფონს და თავის სათქმელს ლოცვითა და სანთლით მიიტანს. არცერთ მხარეს არ გაემტყუნება, რადგანაც „ღმერთთან სალაპარაკოდ ყველას თავისი განსაკუთრებული, გასაიდუმლოებული ენა გააჩნია, სიცოცხლესავით მარტივი, პურივით აუცილებელი, სიკვდილივით უკიდურესი და სიყვარულივით გულუბრყვილო“ (ჭილაძე 1987: 82).

რაც მთავარია, ნაწარმოების გმირები გაუცხოებულები არიან გარემოსა და საკუთარი თავის მიმართაც. თუმცა, ცდილობენ, იპოვონ თავიანთი იდენტობა. სწორედ ამით არის გამოწვეული გიჟკოლას მიერ მამის საფლავის მუდმივი ძიება, რომ არაფერი ვთქვათ ნიკოზე, რომე-ლიც მამაზე მოგონებებით იმავეს ცდილობს. ნაწარმოებში გამოთ-ქმულია აზრი, რომ ადამიანი მხოლოდ გამგრძელებლად კი არა, გამხ-სენებლადაც მოდის. მამის დავიწყება კი ღმერთის დავიწყებასაც ნიშ-ნავს და ჩავთვლით, რომ „დავთესე თხილი-მოვიდა თხილი; რაც მამა იყო, ის-მისი შვილი“-შეგონება ჭეშმარიტია. აუცილებლად უნდა ვი-ცოდეთ, როგორია მამა, რათა მისი შეცდომები არ გავიმეოროთ, ანდა პირიქით, დავემსგავსოთ მას. მამაა ოჯახის სიმტკიცის სიმბოლო. გიჟკოლას თვითონ არ სურდა მამის დავიწყება. ცოლი უწყრებოდა, ეჭვიანობდა, ცოცხლებზე მეტად მკვდარი გაღელვებსო, მაგრამ მამა-მისი სიზმრებში ეცხადებოდა.

ბოლოს საფლავიც დაკარგა და ცდილობდა, სხვისი მიცვალებული დაემარხა, სინდისის დასაწყნარებლად. „ვიდრე ადამიანს სინდისი აწუ-ხებს, ყველაფერს ეშველება კიდევ, რადგან მთავარი ის კი არ არის, ღმერთმა ტალახისგან რომ შექმნა ის, არამედ მთავარია, სული რომ

ჩაჰბერა იმ ტალახს.“ უსინდისო ადამიანი მკვდარია და ვერც კი ხვდება ამას. სამაგიეროდ, სხვები ამჩნევენ და ნელ-ნელა ივიწყებენ. დავიწყებული ადამიანისთვის კი სულერთია, მკვდარი იქნება, თუ ცოცხალი. თუმცა სიკვდილი ჭიანჭველასავითაა. იმაზე მეტის წაღებას ცდილობს, ვიდრე შეუძლია და არცთუ ისე ხშირად მოპოვებულს კარგავს. მაგ დროს შეიძლება სიკვდილის გადავადება, მაგრამ ხშირად გაუგებარია: სიკვდილია სიცოცხლე, თუ პირიქით? ან რა არის სიცოცხლე? მწერალს ამ თემაზე ძალიან საინტერესო ახსნა აქვს. „სიცოცხლე აუხდენელი ოცნება და დაუნდობელი იმედი ყოფილა.“

ნაწარმოებში სიზმრის მნიშვნელობაზეცაა გამახვილებული ყურადღება. თუნდაც გიჟკოლას სიზმარზე, თუმცა, უფრო საგულისხმოა ნიკოს სიზმრები. ამ უკანასკნელის მდგომარეობა ნაწარმოებში რთულია, ვინაიდან ხშირად ჭირს გარჩევა, როდის არის ფხიზელი და როდისაა ბურანში. პერსონაჟის პოზიციიდან ეს ნასაყდრალთან მომხდარი ამბის სირთულის ხაზგასმაა, იმის, რისი მომსწრეც უნებურად გახდა. ნაწარმოებში გვაქვს სიზმრების რამდენიმე ეტაპი: სულთქმის ციხე, ორი ნიკოს შეხვედრა, წიწამურთან და ავტობუსში მომხდარი ამბავი. სულთქმის ციხის ეპიზოდი ნასაზრდოებია მითოლოგიური მოტივებით. არის თუ არა ის სიცოცხლის ღირსი, ამ კითხვაზე პასუხის გასაგებად ნიკო სულთქმის ციხეში ჩადის, სადაც აღმოჩნდება, რომ არც ის იცის, რა ითვლება დანაშაულად.

ნაწარმოებში ვხედავთ კარლ გუსტავ იუნგის თეორიის გამოძახილს სიზმრის შესახებ. ის მიიჩნევდა, რომ სიზმარი ცნობიერისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, რომელიც არაცნობიერისგან მომდინარეობს. ეს უკანასკნელი ცდილობს შეავსოს, შეახსენოს ცნობიერს ის, რაც მივიწყებულია. გარდა ამისა, იუნგი სიზმრებს კაცობრიობის წარსულთან აკავშირებდა, რომელიც როგორც კოლექტიური არაცნობიერი, წარმოდგენილია თითოეული ინდივიდის ფსიქიკაში და რელიგიურ-მითოლოგიური შინაარსის მატარებელია. იუნგი სიზმარს რამდენიმე ფუნქციას აკისრებს:

1. ავადმყოფის განკურნება;
2. შესაძლო მინიშნებები, ანუ წინასწარმეტყველური სიზმრები;
3. რეაქტიული სიზმარი, როდესაც არაცნობიერი იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ცნობიერს გამორჩა ან გაექცა.

რაც შეეხება ნიკოს მუდმივ ძილ-ღვიძილის მდგომარეობას და მის სიზმრებს, ისინი ემსახურებიან ავადმყოფის პრობლემის გადაჭრას

(საკუთარი დანიშნულების პოვნა). მართალია, ქრისტიანული რელიგიის დამოკიდებულება სიზმრის მიმართ სკეპტიკურია, მაგრამ ბიბლიაშიც არის სიზმრები, როგორც ჩვეულებრივი, ისე ღვთისგან მოვლენილი. ნიკოს სიზმარი კი ამ უკანასკნელთანაა თანხვედრაში.

რომანში ორი დრო ერთიანდება: რეალური და ფსიქოლოგიური. რეალური დრო დარღვეულია, დეგრადირებული, უიმედო. მას უპირისპირდება ნიკოს გონებაში არსებული ფსიქოლოგიური დრო, რათა აღდგეს დაკარგული კულტურულ-ეთნიკური ფასეულობები და რეალური დრო დაუბრუნდეს ერის ისტორიულ ხვედრს, ადამიანის დანიშნულებას. როგორ უნდა გაიზარდოს „გამოფხიზლებული“ ნიკო იმ ოჯახში, სადაც ნებისმიერი ცვლილება, სახლში თუ გარეთ, აფორიაქებთ?! აქ არ არის საუბარი მხოლოდ ნაწარმოების გმირზე, არამედ ნაჩვენებია თანაარსებობის პრობლემა ძველისა და ახლის, რომელიც არსებობს დასაბამიდან. საბოლოოდ, ახალი სიჯიუტით მკვიდრდება ძველის ადგილას. ნაწარმოებში ეს კარგად ჩანს თებერვლისა და მარტის შედარებითაც. თებერვალი, როგორც ძველი ვერ იტანს მარტს, როგორც მისი არსებობის კვალის მომშლელს. მაგრამ მარტი, როგორც გაზაფხულის სიმბოლო, ასრულებს მას.

მართალია, „მარტის მამალი“ ისტორიული რომანი არ არის, თუმცა ის გვერდს არ უვლის ისტორიულ რეალობას და საუბარია ილიას მკვლელობაზე. მაგრამ მკვლელის სახელი და გვარი არცერთხელ არ არის ნახსენები, ამის მიზეზი კი ისაა, რომ იგი უსულო ვინმეა, რომელიც თავისი უსუსურობის მიჩქმალვას მისივე მსხვერპლის სიდიადით ცდილობდა. უფრო მეტიც, უტიფრად ითხოვდა ჯილდოს და, რაც უფრო იზრდებოდა მოკლულის დიდება, მით მეტად მოსდიოდა ბრაზი, რადგან მისი ჯილდო იგვიანებდა. საბოლოოდ, „ჯილდოც“ მიიღო, მეძავიც კი აღარ ეკარებოდა, რადგან „გვამის სუნი ასდიოდა“. სიცოცხლეშივე დაიწყო ხრწნა. ამასთანავე ხშირად ახსენდებოდა ის ნათელი თვალები, რომლებმაც შემდგომში ერთი „ჭეშმარიტება“ ასწავლეს, რომელიც დისშვილს უანდერძა: „მსხვერპლს თვალებში არ შეხედო, მაშინვე დაახალეო.“

თითქოს ილია წინასწარ გრძნობდა თავის ბედს, როდესაც 1862 წელს წერდა: - „მრავალი წელიწადია, ჩემო დავრდომილო ქვეყანავ, რაც შენს შვილს ერთი ცოცხალი აზრი, ერთი პატიოსანი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. თუნდ, რომ თავი გამოედოს ვისმე და აზრი და გრძნობა აღედგინოს, შენივე შვილები მიწასთან გაასწორებდნენ“ (გურული 2014: 17).

თუმცა ეს არ ყოფილა ერთადერთი წინათგრძნობა. „მგზავრის წერილებში“ წარმოჩენილია რეალური პრობლემები. ეტლი გაიგივებულია რუსეთთან და მგზავრი, რომელსაც სხვა არჩევანი არ აქვს საქართველოსთან. საგულისხმოა, რომ ილია წიწამურამდე ეტლით მიდის. ოღონდ ეს ეტლი, რუსული გავლენითა და ღალატით, ბოლოს ელიასი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, ერის მამის მკვლელობის შემდეგ, საქართველოც ვერ მიდის შორს.

საიდან მოდის, ან რა იწვევს ადამიანურ სევდას, ან საერთოდ რა არის იგი? ამის ზუსტი განმარტება არ არსებობს. ყველას განსხვავებული აღქმა გააჩნია, მაგრამ ნაწარმოების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ეს სევდა სიყვარულის ნაკლებობითაა განპირობებული, ხოლო ის, ვისაც სიყვარული აკლია, სიკვდილის შიშისთვის არის განწირული. ასეთი ადამიანები მთელი ცხოვრება ცდილობენ გაექცნენ მას. ამ გაქცევაში ღირებულის შექმნას კი არა, საკუთარი თავის შეცნობას ვერ ახერხებენ და ბოლოს მძიმე ფაქტის წინაშე აღმოჩნდებიან, რომ სიკვდილი მექრთამე არ არის. ადამიანი თვითონ განაგებს თავის სიცოცხლეს და შესაბამისად მასზეა დამოკიდებული, თავისუფალი იქნება, თუ ტყვე. მორწმუნეებს სწამთ იმქვეყნიური ცხოვრებისა. გამოდის, სიკვდილსაც ჰქონია მომავალი, ხოლო ის, რასაც მომავალი აქვს, არ შეიძლება ცუდი იყოს, რაღაც მაინც ექნება კარგი. თუნდაც დაკარგულ ღმერთთან სიახლოვე. ამგვარად, სიცოცხლე სიკვდილშიც გრძელდება, თუკი გარდაცვლილს გამხსენებელი ჰყავს ვინმე. „ცოცხლისთვის სიკვდილი ძვირფასი მკვდრის განსახიერებაა და მეტი არაფერი.“

მწერლისთვის უკვდავება არ არსებობს. მისთვის ადამიანის სიცოცხლე შეიძლება იყოს ხანგრძლივი, ან ხანმოკლე, რასაც არ ვეთანხმები. უკვდავება არსებობს, ოღონდ ყველასთვის არა. უკვდავია ის ადამიანი, რომელიც მისთვის თავდაპირველად მიკუთვნებული დროის მანძილზე გზას იგნებს და დაადგენს მისი ამქვეყნად მოვლენის მისიას. გარდა ამისა, სინდისია უკვდავი, რადგანაც სულის არსებობა უკვე სინდისის არსებობას ნიშნავს და თუ ადამიანს თიხის სარკოფაგში სული აქვს, მაშასადამე სინდისიც ჰქონია.

ნაწარმოებში არაერთხელაა საუბარი ამირანზე, სხვადასხვა კონტექსტში. ერთგან ნიკოს პაპა უფლის შიშით ამბობს, ხულიგანი იყო და მაგიტომაც მიაკრა (ღმერთმა) პალოზეო. არადა, თავისთვის ფიქრობს, იქნებ ოდესმე მოლბეს ღმერთის გული, იქნებ ოდესმე დარწმუნდეს, რომ ამირანი და მისი შთამომავლობა თავისუფლების ღირსია. განა ადვილია უფალთან დაჭიდება? ან ისეთის შვილობა,

ვინც ეს გაბედა?! ამირანის მოკავშირედ ჭილაძე მის ცოლს მიიჩნევს, რომელსაც უფლისგან აქვს დაწესებული, ქვესკნელიდან ამოიყვანოს იგი და მარადისობის ჯაჭვი ძაღლივით ულოკოს.

რომანში ყურადღება ექცევა გზის თემატიკას. გზამ იცის, როგორია ადამიანი და, თუკი მშიშარად ჩათვალა, კიდევ უფრო რთულდება. უკანდასახევი გზები არ არსებობს, რადგან ადამიანს ბოლოს მაინც არ დახვდება ის, რაც დატოვა. არ დაუბრუნდება, რაც ერთხელ საკუთარი ნებითვე დათმო. ეს დაუწერელი კანონია, რომელიც დაწერილზე მეტადაც კი მოქმედებს ბედისწერის წყალობით. ნიკომ კი ასე თავისი ბავშვობა დათმო, უნებურად, მაგრამ მაინც. გზისთვის, ადამიანისგან განსხვავებით, არაფერია გაუთვალისწინებელი. ამიტომ კაცმაც უნდა შეძლოს, თავიდან აირიდოს სხვისი გავლენა, რადგან რისი გაკეთებაც თავად არ გინდა, სხვაზე დამოკიდებულების გამო არ უნდა გააკეთო. ნაწარმოებში იმედი ორი სახით წარმოგვიჩნდება, ისინი დაპირისპირებულნი არიან ურთიერთს. თუკი ერთგან ვკითხულობთ, რომ იმედი აუცილებელია, მეორეგან ვიგებთ, რომ ის ცრუპენტელაა. თუმცა, აქვე იკითხება ისიც, რომ არც მხოლოდ იმედით ცხოვრება ვარგა და არც იმედის გარეშე. იმედი თუ გაქვს, ე.ი. რწმენაც გაგაჩნია, ღმერთი ჯერაც შენში ყოფილა.

ამიტომაც, არ შეიძლება იმის მიღება, რასაც ბედი გიწყალობებს. რეალობაზე თვალის დახუჭვა და მარტოობა თავისუფლება არ არის, როგორც ნიკოს ეგონა, როცა ყაჩაღობა მოინდომა. მის თვალში, ბავშვური გულუბრყვილობით, ყაჩაღი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც მარტოობა უნდა. არადა, მარტოობა კარგი რომ იყოს, ვარსკვლავებიც არ იქნებოდნენ ცაზე ჯოგ-ჯოგად. ადამიანს თვალები გასახელად მიეცა და არა იმისთვის, რომ დახუჭოს და უძრაობას მიეცეს.

რომანში გასათვალისწინებელია ნატაძრალი და ის შემთხვევით არ არის ნახსენები. ქართველისთვის სამშობლო სალოცავი ადგილი იყო ოდითგან, ანუ ტაძარი. ომის შემდგომი საქართველო კი იმდენადაა გაბითურებული, უძრაობით შეპყრობილი, რომ აღარ შეიძლება მას ტაძარი ეწოდოს. ამიტომაც, ის ადგილია, რომელიც ოდესღაც ძვირფასი იყო. ეს ის ადგილია, სადაც ერთ ჭერქვეშ, ერთდროულად მოიპოვება წმინდა სანთელიც და ცოდვის სიმყრალეც. განმკითხავი არავინაა, ხოლო ილიასნაირები აღარ არიან, ან შეიძლება ნატაძრალში მოკლული კაცი იყო მისი მსგავსი, ან იქნებ ნიკოს დეიდის მიჯნური იყო, წნორელი სოსო.

აღსანიშნავია ნიკოს დეიდის სიყვარულიც. მან მხოლოდ გადმოცემით თუ იცოდა, რა იყო სიყვარული, იმავე მიზეზით ეჭვიანობდა კიდეც დაზე. ჰოდა, პირველივე შემთხვევა, როცა ვიღაცამ ყურადღება მიაქცია, შემთხვევითობით (საბედისწერო), თუ განგების ნებით სიყვარულად მიიჩნია, რამაც განაპირობა შემდგომი ტრაგედია, უკმაყოფილება ცხოვრების მიმართ. მისთვის სიყვარული წყვდიადი გახდა ისე, რომ არც უგრძვნია მისი სინათლე. ან იყო კი სიყვარული? თუ აკვიატება, პირველი და უკანასკნელი ყურადღების დაფასება, თუ იმის სურვილი, ვიღაცის ხსოვნა ჰქონოდა.

ნაადრევია ნიკოს დაკაცება, მაგრამ ის მარტის მამალივით ყოჩაღია. ზოგადად მამალიც ხომ გარკვეულწილად ბრძოლასთან და ოჯახის დაცვასთან ასოცირდება. მაგალითად, ოჯახის მამალი უცხოს (თუნდაც მეზობლის მამალს) ისე არ შემოუშვებს, არ აითვალწუნოს და ბრძოლა არ გაუმართოს. ასევეა ნიკოც. მისი დანიშნულება სამშობლოს ღირსების აღდგენაა, რომელიც ჯერ კიდევ მის დაბადებამდე დაიკარგა.

მთელი რომანი სიზმრებსა და გმირის შინაგანი განცდების ჩვენებაზეა აგებული. ამდენად, მკითხველი მას უფრო მძაფრად განიცდის. თითქოს ისიც ნიკოა, ნატაძრალი სამშობლოს შვილი.

და მაინც, ავტორი რატომ აკისრებს ამხელა პასუხისმგებლობას ბავშვს? იმიტომ, რომ იესო ამბობს: „თუ ბავშვებივით არ იქნებით, ცათა სასუფეველს ვერასდროს იხილავთო.“ სწორედ ეს „გავლენა“ აისახება ოთარ ჭილაძესთანაც, როცა ის წერს: „ქვეყანას თუ გადაარჩენს, მხოლოდ ბავშვი გადაარჩენს, ოღონდ ჭკვიანი და გამბედავი.“

რომანში გამოყენებულია სხვადასხვა სახის მხატვრული სახეები. მათ შორის: მეტაფორა, შედარება, რიტმი, ინტონაცია, დროის უწყვეტობა. მაგალითად, იმედი შედარებულია ჯარისკაცის მათარასთან, სიკვდილი გაუთავებელ ღამესთან. სანგარი, ან თუნდაც საწოლი სიკვდილის მეტაფორაა. მეტაფორული მნიშვნელობისაა თვითონ სათაურიც „მარტის მამალი“, რომელიც ნაადრევობაზე მიანიშნებს. რაც შეეხება რიტმს, ინტონაციას და დროის უწყვეტობას, ეს იქმნება ფრაზების საშუალებით. ერთი ფრაზა თავისთავად იწვევს მეორის მოლოდინს, არ ქმნის დასასრულის განცდას.

ამრიგად, ადამიანური სევდა ბედისწერასავით გარდაუვალია. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ამ სევდის გალამაზება, რადგან ისაა მისი მიზეზი. ნაწარმოების ყველა გმირს, გარკვეულწილად, აკლდა სიყვარული და სწორედ ამის გამო სძულდათ ყველა დანარჩენი, წარსულიც, აწმყოც, სიცოცხლეც, მათ მხოლოდ უკმაყოფილება შეეძლოთ. ომმა

უარყოფითი კვალი დაამჩნია ყველას. ილუზიები გაუჩინა, დღევანდელობას მოსწყვიტა ხალხი, ფასეულობები წაართვა.

ნიკო დედამ უბიდან შეუბუმბლავი ბარტყივით მოიცილა და მშობლიური ბუდიდან სხვაგან, პირობითად, თბილ ქვეყანაში, ანუ ბებია და ბაბუასთან, კახეთში გაგზავნა ისე, რომ არც უფიქრია, მისგან არწივი დადგებოდა თუ ყვავის ბახალა.

ის მანამ იყო ბავშვი, სანამ მამასთან კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი. მისი დაკაცება სწორედ იმ დღიდან დაიწყო, რაც დეიდა ჩამოვიდა ბათუმში. ქალაქში, სადაც ოდითგანვე უყვარდათ სხვა „მამლებს“ შემოსვლა. აქ ვერ გაიზრდებოდა ომის შემდგომ ამირანის შვილი. ამას დაკაცებული გმირი აუცილებლად მიხვდება.

ისტორია დროის მიხედვით იცვლება, დროს მოძრაობა ცვლის. უძრაობა აჩერებს ცვლილებებს. შესაბამისად, ნაავადმყოფარ საქართველოს აქვს დღის შუქზე გამოსვლის უფლება, რადგან სიბნელე ბევრად საშიშია, ვიდრე ის, რაც სინათლეს მოაქვს.

დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ნიკოა თავად მარტის მამალი. ის ნიკო, რომელიც ნაადრევად დაემშვიდობა ბავშვობას, ისე, რომ დაკაცებაც ვერ მოასწრო. ამაშიცაა მისი ცხოვრებისეულ ტრაგედია, ესეცაა მიზეზი მისი სულიერი გაორებისა. მამალი ბიბლიურად კაცობრიობის დიდ ტრაგედიასთანაც არის დაკავშირებული, როდესაც პეტრე მამლის ყივილზე 3-ჯერ უარყოფს უფალს. იქნებ, სწორედ ამ გავლენის დადებითად შეცვლა განუზრახავს ავტორს და იმის გახსენებაც, რომ არ შეიძლება მისი დავიწყება, მითუმეტეს, იმ დროს ნათქვამია: „ღმერთი მოკვდა“. ჩემი აზრით, სწორედ მკვდარი ღმერთის გაცოცხლებას, იგივე ნატაძრალი სამშობლოსა და დარღვეული კავშირების აღდგენას ისახავს მიზნად ავტორი, რადგან ადამიანი ბუნებამ არა მარტო რაღაცის გამგრძელებლად, არამედ გამხსენებლადაც გააჩინა.

პროფესორი ომარ გოგიაშვილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა ბატონი ომარის შესახებ, მისი სამეცნიერო, პოლიტიკური, პარტიული საქმიანობისა და ცხოვრების თაობაზე. გადავწყვიტეთ შესავლის მაგივრად დაგვეტოვებინა ინტერვიუს ის ნაწილი, რომელიც კითხვის დასმამდე ითქვა და მის მთავარ ნაშრომს ილია ჭავჭავაძის შესახებ ხუთტომეულის შექმნას ეხება.

... ერთ მეგობარს შევხვდი. ვუთხარი, ბიჭო, ჩაიხედე სარკეში, რას დამსგავსებიხარ-მეთქი. მითხრა, ოცდაექვსი წლის ვიყავი, რაიკომის პირველი მდივანი რომ გავხდი. იმ დროიდან მოყოლებული შვიდ საათზე ვდგებოდი, ჩემმა ყველა ძმაკაცმა იცოდა, ვინმეს დარეკვა თუ უნდოდა, რვის ნახევრიდან ცხრის ნახევრამდე უნდა მოესწრო, თორემ მერე ველარ დამიჭერდა. სამსახურიდან გამათავისუფლეს, ერთი თვეა, არავის დაურეკავს, არავის აღარ ვჭირდებიო. ამ კაცის მაგალითი რომ მქონდა, მეც მეშინოდა, ადამიანმა თუ ფუნქცია დაკარგე, თუ აღარაფერში აღარა ხარ საჭირო, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცა უბედურება მზადდება შენს თავზე. სამსახურში აღარ დავდივარ, მაგრამ ახლა ეს არის ჩემი საქმე, ჩემი სამსახური. ავდგებოდი, დღეში, დაახლოებით ათი გვერდი უნდა დამეწერა. ხან დავწერდი, ხან - ვერა. თუ რაიმე ხელს შემიშლიდა, გეგმას ვერ შევასრულებდი, ცუდ ხასიათზე ვიყავი, თითქოს რაღაცა მაკლდა. საქეიფოდაც რომ მივდიოდი, იქაც ბოლომდე ვერ ვერთობოდი. ასე ვცხოვრობდი, ასე გამოვიდა პირველი წიგნი. არ დაგიმალავთ, ისეთი კაცის სახელი მქონდა, რომელიც დროსტარებაზე იყო გადასული. ეს წიგნი რომ გამოვიდა, ძალიან შეეცვალათ ჩემ მიმართ დამოკიდებულება, მერე იყო პრემიებიც. ვაპირებდი ამ წიგნის გაგრძელებას, მინდოდა, დამეწერა ანალოგიური წიგნი - პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია ვაჟა-ფშაველაზე. რაღაცები უკვე წაკითხული მქონდა მაშინ. ვაჟა-ფშაველა ამ სფეროშიც გენიოსი იყო, მინდოდა ეს გამომეჩინა. ილია ჭავჭავაძეზე ბევრი წერდა, ზოგი დამახინჯებულად, მაგრამ მაინც ბევრია დაწერილი, იმას მაინც ამბობდნენ, რომ ბუმბერაზი მოაზროვნე იყო. ვაჟაზე კი ამ კუთხით არავის არაფერი დაუწერია. მინდოდა მე დამეწერა, მაგრამ ისე მოხდა, ვერ განვეწყვე. უფრო სწორედ, იმ განწყობდან ვერ გამოვედი, რომ ილიაზე უნდა მემუშავა.

იყო ორი ათას შვიდი - ორი ათას რვა წლები. გამოდიოდა ილიას ოცტომეული, ორი ათას შვიდ წელს განზრახული იყო სერიოზული, საიუბილეო ღონისძიებების ჩატარება, ისე მოხდა, რომ აირია შიდა-პოლიტიკური ვითარება, იუბილე ვეღარ ჩატარდა, ტომების გამოსვლა მაინც გრძელდებოდა. ძალიან ბევრი ხალხი მუშაობდა მაშინ ამ ტომებზე, ბოლოს ნოდარ ტაბიძე, ლევან ჭილაღაშვილი. მან ილიას დროს დაწერილი ბევრი ახალი ხელნაწერი აღმოაჩინა და ეს შეიტანეს ამ ოცტომეულში. ერთი სიტყვით, ილიას ტომებში ნახევარი მაინც არის ახალი. ამან გამიჩინა იდეა, რომ წერა უნდა გამეგრძელებინა. რატომღაც ვიფიქრე, რომ ექვსტომეული არ ივარგებდა, უნდა ყოფილიყო ხუთტომეული ან შვიდტომეული. ბოლოს გამოვეცი ხუთტომეული.

- თქვენ ჩემს კითხვას ნაწილობრივ უკვე უპასუხეთ. როგორც გავიგეთ, პირველივე მცდელობამ ილიასთან მიგიყვანათ. მინდოდა მეკითხა, რატომ დაინტერესდით ილია ჭავჭავაძით. ეს თქვენი დამოკიდებულებაა? ფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძით იწყება იდეოლოგიური, პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზროვნება ჩვენში?

- არა, ილიათი ჩვენი აზროვნება არ იწყება, მაგრამ ჩვენი, აზროვნების მწვერვალი არის ილია ჭავჭავაძე. ეს ეხება იმათაც, ვინც ილიამდე იყო და იმათაც, ვინც ილიას შემდეგ იქნება. ამ სფეროში არავისთან შედარება არ შეიძლება. მხოლოდ შინაარსის პრეტენზია ჰქონდა ილიას. ვაჟას აკითხებდა ხოლმე თავის ლექსებს. ის პირველი შემფასებელი იყო. ილია ამბობდა: მინდა ოფიციალურად გამოვაცხადო - როცა ვაჟას ლექსებს ვკითხულობ, სირცხვილით ვიწვი, რომ მეც ოდესღაც ლექსები მიწერიაო. ილიაობაზე, საგურამოში რო იმართებოდა ხოლმე, გამოიტანა თავისი ოქროს კალამი, გადასცა ვაჟას და უთხრა: ამ კალმით მარტო შენ უნდა წერდეო. მაგრამ როგორც მოაზროვნე, შეუდარებელი იყო. ოთხ უნივერსიტეტში ისწავლა არჩილ ჯორჯაძემ, ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში - პარიზში, ლონდონში, ვარშავაში, მაგრამ... მსოფლიო პროცესები წარიმართა ისე, როგორც ილიამ თქვა და არა ისე, როგორც ჯორჯაძემ ან აკაკი წერეთელმა...

- ჩვენ დავუბრუნდებით ილია ჭავჭავაძეს. მანამდე ერთ საკითხზე საუბარი დავასრულოთ. პოლიტიკური კულტურის შესახებ მინდა გკითხოთ. თქვენ ბრძანეთ, რომ გაქვთ პოლიტიკურ პარტიაში ყოფნის

გარკვეული გამოცდილება და ამავე დროს იცნობთ თეორიას, ბრძანდებით პროფესორი. რა ეტაპზეა დღეს ქართული პოლიტიკური კულტურა, რა ტენდენციებსა და პერსპექტივებს ხედავთ?

- პოლიტიკური კულტურის თეორია, საქართველოში ორმა კაცმა იცის, ორივე ჩვენი თანამშრომელია, რომლებმაც ამაზე დისერტაციები დაიცვეს. პოლიტიკური კულტურა არ არის ის კულტურა, რომელზეც ჩვენი პოლიტიკოსები მიგვანიშნებენ - დაბალი პოლიტიკური კულტურაა არა იმიტომ, რომ უცენზურო სიტყვა თქვა, ვთქვათ, შეიგინა. არ არის ეგ პოლიტიკური კულტურა, ეგ არის ზნეობრივი წესები და ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ეთიკა. პოლიტიკურ კულტურას სჭირდება სწავლა, მაგრამ მარტო თეორიული ცოდნაც არაფერს ნიშნავს. მაგალითად, მე ვარ პროფესორი, ვიცი ეს პოლიტიკური კულტურა და მისი მოთხოვნებით ვმოქმედებ. ეს არაფერს არ ნიშნავს. კონტების თეორიაში ეს საკითხი კარგად არის შესწავლილი, პოლიტოლოგ, სოციოლოგ **მარკ შედერსს** აქვს თეორია, რომლის მიხედვითაც გამოყოფილია პოლიტიკური კულტურის სამი ეტაპი. პირველი - ვულგარული პოლიტიკური კულტურა ჩვენ გავლილი გვაქვს, ჯერჯერობით არც მაღალი პოლიტიკური კულტურის ეტაპზე ვართ. ჩვენ შეგვეფერება საშუალო ეტაპი - მოჩვენებითი პოლიტიკური კულტურა, როდესაც ცდილობ, რომ რაღაცას დაემგვანო, მაგრამ ჯერ არა ხარ ის, რაც უნდა იყო. ჩვენ ყველაზე ძალიან შეგვეფერება მორჩილებითი პოლიტიკური კულტურა. ეს არის კულტურა, რომელიც ეძებს ლიდერს, ვინ გვიშველის, რა მოგვივა.. ჩვენ ავირჩიეთ ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტით ერთმანეთის აბსოლუტური ანტიპოდები შევარდნაძე, მერე საакაშვილი, ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პოლიტიკური კულტურა არის მორჩილებითი. აქედან გამოსვლა, ვთქვათ, პრეზიდენტმა რომ არ მიიღოს სამოცდაორ პროცენტზე მეტი, ეს უკვე კარგია. ამ პრეზიდენტს ეგეც რომ არ მიეღო, უკეთესი იქნებოდა. ძალიან სუსტი პრეზიდენტია, ისეთი, რომ პრეზიდენტად ვერ აღვიქვამ. ისევ თავისუფალ სექტორში, სამოქალაქო სექტორში დარჩა. ძალიან დიდი ხანი იმუშავა და იქიდან ახლაც ვერ გამოვიდა. ის რჩება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლად.

- როგორც უკვე აღნიშნეთ, ილია გამორჩეული ფენომენი და უდიდესი მოაზროვნეა. როგორ ფიქრობთ, ეპოქამ შექმნა ილია ჭავჭავაძე, თუ პირიქით, მისი პიროვნების სიძლიერემ განაპირობა გარკვეული მოვლენები? დღევანდელ საქართველოში შეიძლება ილია ჭავჭავაძე

მოგვევლინოს, ჩვენი ეპოქა შეძლებს დაბადოს მსგავსი მოაზროვნე, თუ მის გაჩენას ისტორიული კანონზომიერება განაპირობებს?

- ეგეც ძალიან დიდი პოლიტიკური საკითხია, სხვათა შორის ერთი თავი მივუძღვენი მაგ საკითხს - როგორ იბადება ასეთი დიდი პიროვნება. იბადება იმის გამო, რომ ამის მოთხოვნილება გაჩნდა, თუ იბადება იმიტომ, რომ დაიბადა ნიჭიერი კაცი და მერე თავის გარშემო თვითონ ქმნის ყველაფერს. ილია სხვათა შორის ბევრ ასპექტში იყო იდეალისტი, აბსოლუტური იდეალისტი, მაგრამ სწორედ ამ საკითხში, მისი კონცეფციები ჰგავს მატერიალისტურს (პოზიტივიზმის მომხრე იყო ამ შემთხვევაში, ეს გაბატონებული იყო იმ ყოფაში). ილია არ შეიძლებოდა ყოფილიყო რევულოციონერი. ეს საკითხები დაწვრილებით მაქვს განხილული, რაში ემხრობოდნენ ისინი ერთმანეთს და რაში იკვეთებოდა მათი აზრები. ძლიერი იმარჯვებს, ძლიერი რჩება ძლიერად, სუსტები იღუპებიან ისე, როგორც ეს ხდება ბიოლოგიაში სხვადასხვა ჯიშის დაპირისპირების შედეგად. სოციალურ თეორიებში და საერთოდ, ლიბერალიზმში ყველაზე დიდი ავტორიტეტი მისთვის იყო **ჯონ სტიუარტ მილი.**

თუ ვინმეს გავლენას განიცდიდა, თუ ვინმეს ბაძავდა, თუ ვინმეზე ამბობდა, რომ გენიოსია, გენიოსი მოხუცი, გენიოსი მოხუცი ჭაბუკური ენერგიით, თუ ვინმე ცაში აჰყავდა ქებით, ეს იყო ლაქსთონი. დავუბრუნდეთ შეკითხვას. ილიას მიაჩნდა, რომ რისი მოთხოვნილებაც არის, ის ჩნდება, მაგრამ საზოგადოება თუ მოუმზადებელი შეხვდა, როგორც ადრეგამოსული ყლორტი, დაიღუპება. მაგრამ თუ საზოგადოებაში ამის მოთხოვნილება არის, ის მეორედ, მესამედ მაინც გაჩნდება. ამას მერე უკავშირდება ის, თუ რამდენად მზად არის საზოგადოება, რომ ახალში დაინახოს ის, რაც მას სჭირდება. საზოგადოებაში ყოველთვის ძლიერია კონსერვატიული ნაწილი. ის, რაც გამოცდილია, რამაც თავი გამოიჩინა როგორც პოზიტიურმა, ამის შეცვლა საჭირო არ არის, მაგრამ გენიოსები იმიტომ სჭირდება საზოგადოებას, რომ გენიოსმა დაინახოს, ეს სიახლე სიკეთის მომტანია თუ ბოროტების. ამას ჩვეულებრივი ადამიანი ვერ დაინახავს, ამას სჭირდება გარკვეული ცოდნა, გამოცდილება და ნიჭიერება - ამიტომაა ის გენიოსი.

სხვათა შორის მე მოყვანილი მყავს ორი მაგალითი, ერთი - თუ ვინმეს ვერ გაუგია, რატომ იკლავდა თავს **სტალინი,** რომ საქართველო ყოფილიყო ახალი საბჭოთა იმპერიის წევრი, ეს თეორია გვაძლევს ამაზე პასუხს. თუ საქართველო არ იქნებოდა საბჭოთა იმპე-

რიის წევრი, სტალინი მაშინ სტალინი ვერ იქნებოდა. ძალიან სერიოზული რუსული მაფია მას გენერალურ მდივნად მაშინ არ აირჩევდა და არც **ორჯონიკიძე** იქნებოდა მძიმე მაფიური სახალხო კომისარი, თუ საქართველო არ იქნებოდა საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში. ახლა მეორე მაგალითი - **ნაპოლეონი** ფრანგების საფიცარი, ნაპოლეონი იყო დიდი ნაპოლეონი, მაგრამ კუნძული კორსიკა იტალიას ეკუთვნოდა და ნაპოლეონის დაბადებამდე, ერთი წლით ადრე, საფრანგეთს გადაეცა. ნაპოლეონი კორსიკაში რომ დარჩენილიყო მხოლოდ, ის ნაპოლეონი არ იქნებოდა, რომელიც საფრანგეთმა ნახა. მე მაინც მგონია, რომ ორი პირობაა აუცილებელი: საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და მეორე - ნიჭიერება, ეს ერთობლიობაში ქმნის ისეთ კაცს, როგორიც ილია იყო, როგორიც იყო **დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე** და სხვები. დავით აღმაშენებელი რომ ადრე დაბადებულიყო, ჩვენ გვეყოლებოდა კიდევ ერთი გმირი, მეფე - თავშეწირული არაბეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

- მრავლისმეტყველია თქვენი წიგნი „ილია დღეს“, თავის დროზე ილიას ვერ აუარა გვერდი თანამედროვეობამ, შემდგომშიც მის მნიშვნელობას ვერ აუარეს გვერდი, მაშინაც კი, როცა არ ეთანხმებოდნენ. თქვენი წიგნები ხელახალი დაბადებაა ილია ჭავჭავაძის ნააზრევის. დღევანდელი ეპოქა მონათლულია გლობალიზაციის ეპოქად. გლობალიზაციის ეპოქის სუსხი თუ დააკლებს რამეს ილიას იდეებს?

გლობალიზაციას აქვს ბევრი ასპექტი, ერთ-ერთია ის, რომელიც უშუალოთ ეხება ეროვნულ მემკვიდრეობას. ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ფრანგებს გლობალიზაცია ვერაფერს დააკლებს. გლობალიზაციას რაც ცუდი ჰქონდა, ფრანგებმა ეს უკვე მიიღეს და შეჩვეულები არიან, ამიტომ მაინცდამაინც ეს პრობლემები აღარ აწუხებთ. ჩვენთვის ეს პრობლემები სერიოზულია, ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. გლობალიზაციას ვერ ასცდები, თუ ასცდები, მარტო უნდა იცხოვრო. მარტო ცხოვრება ძალიან ძნელია. თავისუფლების საყოველთაო გაზიარებული პრინციპებს ეწინააღმდეგები, ამაზე შეიძლება გისაყვედურონ, მაგრამ ის, რომ შენ რაღაც ისეთი გააკეთო, რაც შენს ეროვნულ ტრადიციებს, შენს ეროვნულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება - აქედან გამოსავალი ყოველთვის არსებობს. შენ შენი მეობა, შენი ეროვნება უნდა შეინარჩუნო, ოღონდ, თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის პრინციპებიც უნდა აღიარო. ეს კაცობრიობამ ბრძოლით მოიპოვა, უბრალო საქმე არ იყო,

ამის გამო ხალხს ციხეებში სვამდნენ და ხვრეტდნენ, ათასი უბედურება ხდებოდა. ეს მონაპოვარი ხელიდან არ უნდა გავუშვათ, მას არ უნდა დავუპირისპირდეთ. გავიხსენოთ, ილიას ნააზრევი - როგორ შეიძლება ქალი და დედაკაცი შეადარო ერთმანეთს. დედაკაცი არის ადამიანი, რომელიც ოჯახს ინახავს, რომელიც ოჯახზე ზრუნავს, რომელიც შემტანია ოჯახში, რომელიც ქმარს ცვლის, როცა ქმარი ომში მიდის, ბავშვებს ზრდის, მოსავს შვილებს, ქმარს. ყველაფერს აკეთებს, დედას რომ კაცსაც ეძახი, ეს დედისთვის დიდი დაფასებაა ილიას ვერსიით, მაგრამ ახლა რო დედაკაცი უთხრა ვინმეს, დაგცინებენ.

- ბატონო ომარ, ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს ვიწრო ეროვნულ აზროვნებაში სდებდნენ ბრალს, წერდნენ, რომ ის არ ეხება ისეთ საკაცობრიო პრობლემებს, როგორსაც, ვთქვათ, ვაჟა ფშაველა. მიიჩნევთ, რომ ეროვნული აზროვნება „ვიწროა“, რამდენად შეიძლება „ვიწრო“ აზროვნებამ გაუძლოს საუკუნეებს?

ვაჟა-ფშაველა ძალიან დიდი იყო ბუნების ფილოსოფიაში, აქ მას ვერავინ შეედრება (სხვათა შორის, ვაჟამ ცოტა ისწავლა პეტერბურგში, მერე იჩხუბა და გამოიქცა. იმ ერთ წელიწადს იქ ვერაფერს ისწავლიდა, მასში ძალიან დიდი ნიჭია, რაღაც მოზღვავებული ნიჭის პატრონი იყო). თვითონ ვაჟა-ფშაველა ყორნებს ეძახდა მათ, ვინც ილიას აკრიტიკებდა. სხვათა შორის ილია ვერავინ დაამარცხა, სასტიკად კი ლანძღეს. მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობა აქვს სტატისტიკას, ვთქვათ განათლების საკითხებში, ან დემოგრაფიული პრობლემების კვლევის დროს: რამდენი კაცი ცხოვრობს საქართველოში, როგორია სიცოცხლის ხანგრძლივობა და ასე შემდეგ. ილიამ შედარებითი მეთოდი გამოიყენა, ის არც ერთ სერიოზულ საკითხს არ განიხილავს, რომ ანალოგი არ მოუძებნოს და არ შეადაროს, ვთქვათ ეს პრობლემა როგორ გადაწყდა გერმანიაში, როგორ არის სხვაგან. საქართველო პატარა ქვეყანაა და ილია უშვებდა, რომ შეიძლებოდა ბევრი რამ არ გვცოდნოდა, დადიოდა, პარალელებს პოულობდა. ხომ არ გგონიათ, ეს წიგნები დავწერე და საკითხი ამოიწურა. ვიღაცეები მეუნებიან, რომ ილიას მოღვაწეობაში იდეოლოგია და პოლიტიკა ამოწურე, სადისერტაციო თემებს ჩვენ აღარ ვაძლევთ, ახალი რაღა უნდა ითქვასო. მე კი მგონია, რომ ამავე საკითხებზეც შეიძლება სხვა უამრავი ნაშრომის დაწერა, თუმცა ბევრი რამე სხვა სფეროებშიც გასაკეთებელია, ვთქვათ, ილია და სამართალი, თავიდან და-

საწერია, ილია და ეკონომიკა, ილია და ფინანსები და სხვა. კითხულობ და კაცს გიჩნდება კითხვა, რომელ სფეროში უფრო ძლიერი იყო ილია ჭავჭავაძე?

ჩემი მეხუთე წიგნი, რომელიც პოლიტიკურ აზროვნებას ეხება, გამომივიდა ყველაზე კარგი, იმიტომ რომ მასალა იყო ძალიან საინტერესო. არა მგონია რომ ილიაზე კარგად ვინმე გერმანულად თარგმნიდეს, არ მგონია, რომ ვინმე ირლანდიელ მეცნიერს ისე ეკვლიოს ირლანდია იმ პერიოდში, მისი ეკონომიკა, მისი რელიგია და სვა, როგორც ილია ჭავჭავაძემ იკვლია.

- დავუბრუნდეთ თქვენს პირად გამოცდილებას, შეხვედრიხართ ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს, ბატონო ომარ, ვინ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე თანამედროვეთაგან?

არის ასეთი გამონათქვამი, მიცვალებულზე ცუდი აღარ უნდა თქვა არაფერიო. ვინც შემხვედრია ნიჭიერი პოლიტიკოსი - იყო ზურაბ ჟვანია. ყოველდღიურად არა, მაგრამ კვირაში ორჯერ, სამჯერ მაინც ვხვდებოდით ხოლმე ოთხმოცდა ჩვიდმეტი - ორიათასიანი წლები იყო. შემიძლია გითხრათ, მართლაც უნიჭიერესი კაცი იყო. ჯერ ყველას თავის ენაზე ელაპარაკებოდა. მე მომისმენია, როგორ საუბრობდა რუსულად, ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად. ბავშვობაში ესპანეთში მკურნალობდა და იქ შეისწავლა ეს ენა, დანარჩენი მერე აქ ისწავლა. სხვათა შორის, არ ვიცოდი გერმანული თუ იცოდა, იმიტომ რომ ინგლისურად ხშირად გამოდიაოდა ტელევიზიით, ასევე ფრანგულად გამოდიოდა სტრასბურგში, ფრანგებს პატივს სცემდა, იმათ ენაზე საუბრობდა, თუმცა ერთ შეხვედრაზე გერმანელებს მათივე ენაზე მიესალმა და ძალიან კარგი გერმანულით ლაპარაკობსო, თქვეს იქვე. საინტერესოდ ხედავდა სიტუაციებს. ერთხელ ცოტა ადრე მივედი თათბირზე, ჩამომიგდო ლაპარაკი პარტიაზე - რა უნდოდა, როგორ ფიქრობდა პარტიის გაძლიერებაზე, რა მიმართულებით უნდა ემუშავა, მე, როგორც პოლიტოლოგს, ჩამომიყალიბა თავისი მოსაზრება. ვუთხარი, წუხელ წაკითხული გაქვს პარეტო-მეთქი. ვინ არის ეგოო, - მკითხა. აუცილებლად წაკითხული გექნება, ეგ ცნობილი იტალიელი პოლიტოლოგია, იტალიური სკოლა კი ყველაზე ცნობილი სკოლაა პარტიის ცვლილების საკითხებში. მეთქი შვილები დაიფიცა, პირველად მესმისო, არასდროს არ წამიკითხავს, არც გამიგია, მაგრამ მართალი ხარ, ღამე ვფიქრობდიო. ასეთი აზროვნება ჰქონდა, ჰქონდა ერთი საოცარი თვისება - ყველას გვალაპარაკებდა, ყველა რაღაცას იტყოდა, ყველასგან ააგებდა

ერთს. თუ, ვთქვათ, შენი ლაპარაკი მოეწონებოდა, მაშინვე დაუძახებდა ხათუნა გოგორიშვილს, დიქტოფონი შემოიტანეო, გვალაპარაკებდა, და მერე კიდევ რომ მოესმინა, იწერდა. მერე ჩვენს ნალაპარაკევს დაამშვენებდა, გაალამაზებდა, მისცემდა კონცეფციის ფორმას: ახლა წადით და ამაზე ილაპარაკეთო, გვეტყოდა ხოლმე.

- ბატონო ომარ, პოლიტიკაში მეგობრობა არსებობს?

არა, არა და არა. მეგობრობა არის მხოლოდ ინტერესების ურთიერთდამთხვევა. მე ჩემს თავზეც გამოვცადე ეგ ამბავი. თავიდან ხომ გითხარით, ვსწავლობ ხოლმე. სალაპარაკო ბევრია, მაგრამ არ ღირს ალბათ.

- ამ კითხვაზე ბევრი ვიფიქრე, დაგისვათ თუ არა. ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხული ქართველი მოღვაწეა. ილია ჭავჭავაძე - წმინდანი და ეროვნული მოღვაწე. როგორ აღიქვამს საზოგადოება ამ ბუმბერაზ პიროვნებას. ხომ არ სჭარბობს ერის უგვირგვინო მამის ტიტული? თუ ეს ასეა, რა არის ამის მიზეზი - იქნებ ის, რომ ჩვენს საზოგადოებას უფრო მეტად ერისკაცი სჭირდება და მოვიკოჭლებთ რწმენაში?

- ეგეთი აზრები შეიძლება გაჩნდეს. სხვათა შორის აკაკი წერეთელზე ძალიან დიდი მუშაობა იყო, რომ წმინდანად შეერაცხათ, მაგრამ ბოლოს უარი თქვეს. ილიას შემთხვევაშიც მისი მოწინააღმდეგეები მიზეზებს ეძებდნენ, ისიც კი დაასახელეს, ბავშვივით გაიპარებოდა ხოლმე და ბანქოს თამაშობდა ხშირადო.

შეიძლება მართლა ღირდეს იმაზე ფიქრი, რო წმინდანები დიდი საზოგადო მოღვაწეები არ უნდა იყვნენ იმიტომ, რომ საზოგადო მოღვაწეებსაც უწევს მხოლოდ ტიპაჟში ყოფნა, აბა, როგორ უნდა იცხოვრო საზოგადოებაში, თუ არ ჩაერთვები ყოველდღიურობაში, არა? ილია იყო პოლიტიკოსი. ის სხვადასხვა ხერხით ხვდებოდა და უპირისპირდებოდა მოწინააღმდეგეებს. პარტიულობის ძალიან დიდი მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ მერე პარტიები რომ შეიქმნა, მიხვდა რომ პარტიის გარეშე პოლიტიკოსი არ არსებობს. მერე თვითონაც დაიწყო პარტიის შექმნა. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში რომ დაიწყო პარტიების შექმნა, გიორგი წერეთელმა დაპატიჟა, ჩვენთან შემოდიო. ილიამ მისწერა, რომ ეხლაო მოდაშიაო „ტაშობანას“ თმაში, მე მეოთხე ფრთას შევქმნი, მესამე ფრთაში არ შემოვალო. ვინმე მეხუთეს შექმნის, მერე მეექვსეს და ასე, ეს დასები, ამ დასების ინტერესები დაფარავს სახელმწიფოს ინტერესებსო

(სხვათა შორის ამერიკელები პარტიების წინააღმდეგი იყვნენ. ამერიკა ისე შექმნეს, არც ერთი პარტია არ იყო, მერე საჭიროდ ჩათვალეს, რომ პოლიტიკა პარტიის გარეშე ვერ იქნებოდა). ილია წმინდა პოლიტიკოსი არ იყო, ამიტომ მისი წმინდანად დარჩენა კიდევ შეიძლება და თუნდაც იმიტომ, რო სულ იმის ცდაში იყვნენ საბჭოთა პერიოდში, რომ ილია გამოეყვანათ ათეისტი. ამ ცოტა ხნის წინ ცალკე წიგნი მივუძღვენი ილიას, გაბრიელ ეპისკოპოსიც მოვიხმარე. ილია მართლაც იყო მორწმუნე კაცი, ოღონდ მარხვას ვერ იცავდა, დიაბეტი ჰქონდა, თვითონ არ იცოდა ეს. გვიან გაიგო, ოთხმოცდარვა წელს. პეტრე მამუკაშვილს სწერდა: მე რაც მჭირს, იმას თურმე დიაბეტი ჰქვია, სუნთქვა მიჭირს, მალე ვიღლები, მანდ რომ სიარულს მიკრძალავდნენ, ბევრი არ იაროო, ესენი მეუბნებიან,ირბინეო.

ვიღაცეები ჩანაწერებში დღესაც წერენ, რომ იყო ათეისტი, უნდოდათ ასე რომ ყოფილიყო, ყოფილიყო მაგრამ არ იყო. კომუნისტებმა დააბრალეს, თავის დაბადების დღეს იხდიდა, სახელობის დღეს იხდიდა, ხუთას კაცს პატიჟებდაო. მართლა პატიჟებდა ხუთას კაცს, მაგრამ იხდიდა ილია წინასწარმეტყველის ხსენების დღეს, ილიაობას აღნიშნავდა.

მე რო მკითხო, პოლიტიკოსი წმინდანად არ უნდა შერაცხო. სხვათაშორის ილიას პოლიტიკოსი წარმოედგინა პიროვნებად, რომელიც მხოლოდ სიკეთეს აკეთებს.

- ბატონო ომარ, გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ.

ჩემი ოჯახი - მყავს ორი შვილი, ერთი შვილი დღესაც ცნობილია საზოგადოებისთვის, ერთი პერიოდი სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. იყო ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარე, იყო პრეზიდენტის თანაშემწე, ფინანსთა მინისტრიც იყო ერთი პერიოდი, ახლაც მუშაობს, აქტიურ ცხოვრებას ეწევა. თერთმეტი წელიწადი მეც, ჩემი შვილებიც, მთელი ოჯახი - სიძე, რძალი, ყველა ვიყავით უმუშევრები, არც ერთი არ ვმუშაობდით. ცოლი სამსახურიდან გამოუშვეს, მეც ყველა თანამდებობიდან გამომიშვეს. ჩემი გაზრდილები, ჩემი მოწაფეები მუშაობდნენ თანამდებობებზე, მაგრამ იმათაც ერიდებოდათ, რამე შემოეთავაზებინათ. მე ვარ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ვმუშაობ სპორტის უნივერსტეტში, ძირითადად, დოქტორანტურაში დოქტორანტებს ვხელმძღვანელობ.

მეუღლე გერმანულს ასწავლის უნივერსიტეტში. ვაჟს, ნიკას დამთავრებული აქ თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამარ-

თალი, შემდეგ დაინტერესდა და გააგრძელა ფილოსოფიურ სამართალზე სწავლა, შემდეგ მაგისტრატურა დაამთავრა იაპონიაში, მერე მსოფლიო ბანკში, ვაშინგტონში მუშაობდა წელიწად ნახევარი, მერე ვეხვეწე, არ ჩამოხვიდე მეთქი სდა შევარდნაძემ ერთი რო დაურეკა მაშინვე გამოიქცა, მიატოვა მსოფლიო ბანკი, ვიცოდი რო დაურეკავდნენ და მოსთხოვდნენ ჩამოდიო და ამიტომ წავედი და ვეხვეწე რო არ წამოხვიდე მეთქი, მარა არ შეეძლო რა, ესე იგი სადაც იყო, იყო წვალება, არ შეეძლო სხვაგან ცხოვრება, არ შეეძლო, მერე დავანებე თავი, იმიტომ რომ მისმა მეგობრებმა, რამდენიმემ დამირეკა და მითხრა, რომ ძალიან ცუდად არიო, თუ არ წამოვიდაო, აქ რაღაცა დაემართებაო, ზის და ქართულ ფილმებს უყურებს, ქართული სიმღერები ჩართოო ამ მანქანაშიო და აყვირებსსო ღია ფანჯრებშიო.

- შვილიშვილი რამდენი გყავთ ბატონო ომარ?

შვილიშვილი ერთი წელს ამთავრებს სკოლას, ჩვიდმეტი წლის, მეორე პატარაა, ერთი თერთმეტი წლის მეორე ცხრა დღის.

- გრძელსა და საინტერესო ცხოვრებას თავისი კანონზომიერებები აქვს, ყველა მეგობარი დაკარგეთ ბუნებრივია, მაგრამ ალბათ დაგრჩნენ, შემოგრჩათ ვინც ბოლომდე გიმეგობრათ?

არა, ეგ კი, რა თქმა უნდა, აი, ვისთანაც, ძალიან მყარი კავშირი იყო რა ესე იგი, არ გავფანტულიყავდით სამწუხაროდ, ის კაცი მოკვდა, საოცარი კაცი იყო, იცი, კვირა არ გავიდოდა რომ არ შევეკრიბეთ და არ გვექეიფა, შეძლებული კაცი იყო, რომ არ უჭირდა, რამდენიმე დაჩა ჰქონდა და ხან სად ვიკრიბებოდით ხან სად.

- სტუდენტობის წლებს რა მოგონებები გაქვთ აი ამ თვალსაზრისით?

ერთიანნი ვიყავით სუყველანი რა! მე მქონდა ჩემი პირობები ვისთან უნდა მემეგობრა, ხო მაგრამ ამის შემხედვარე, მთელი საქართველო მოვიარე, ესე იგი, ვინმეს რაიმე იყო - მიცვალებული, ოჯახის ბედნიერება, თუ მეტყოდნენ სადმე წამოდიო, ყველგან მივდიოდი, მივყვებოდი, კარგად ვსწავლობდი და რაღაცა პრივყლეგიებიც მქონდა. ამის გამო, ას ოცდაათი მანეთი მქონდა სტიპენდია, კარგი ხელფასიც მქონდა, ხოდა ერთიანად ვიყავით რა. ესე იგი, ჩვენთან პოლიტიკა არ იყო. ეხლა ზოგი იმის მომხრეა, ზოგი ამის მომხრეა, სხვათაშორის, ეს გააკეთა სააკაშვილმა, ესე იგი, აი ისინი რომ შექმნა, რაღაც თვითმართველობები და ისინი, მე მაშინ ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ვმუშაობდი და უცბად კაცო, ესე იგი, ვხედავ,

რომ მთელ კურსს გაუჩნდა მობილური ტელეფონები, პოლიტოლოგიის სპეციალობაზე, განსაკუთრებით იქ ჰქონდათ, მობილერი ტეკლეფონები, ეხლა, ნუ არ იყო მაშინ ისე რომ ოცდაათიდან ოცდაათ კაცს მობილური ტელეფონი ჰქონოდა, არც ეგრე ულხინდა ხალხს, ჰოო, მერე ერთხელ ძალიან მთხოვეს რომ, ერთი დღე იქნებ მოხვიდეთ ჩვენთანო, სად მოვიდე? ჩვენ ოფისი გვაქვსო, სადა გაქვთ ოფისი? ვერაზე, მივედი, ხუთოთახიანი ბინა აქვთ დაქირავებული, იმ პერიოდში სულ მცირე ერთი ათას ხუთასი, ორიათასიმაინც ეღირებოდა, ვერაზე ხუთოთახიანი ბინა. ერთი სიტყვით, ეხლა, ხო ანალიზს ვაკეთებდი ჩემთვის რა, შევარდნაძის პერიოდში დააფინანსეს ეს ნაწილი ამ ბავშვების, ნაწილი ისე დარჩა, დაუპრისპირდნენ მერე, აი, დაპირისპირება გრძელდება, რას ლაპარაკობ, კაცო, ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვქონდა რო, პოლიტიკა არ უნდა იყოს რა, თვითონ უნივერსიტეტში პოლიტიკა არ უნდა იყოს, გაყვეს, ისე გაყვეს სტუდენტები, რომ ვატყობდი, რომ ერთმანეთი ეზიზღებოდათ, ვერ იტანენ, ესე იგი, რომ მიუშვა, დახოცავენ ერთმანეთს. საერთოდ საქმეა დანგრეული რომ უნდა ააშენოო, და დანგრევას რა უნდა, შეიძლება ერთი აგური გამოაცალო და დაინგრეს.

ულრმესი მადლობა.

ინტერვიუერი: მაკა ბერიძე

„ილია დღეს“ – ხუთტომეულის პრეზენტაციაზე გამომსვლელთა სიტყვები

* * *

როგორც მოსწავლეს, მერე როგორც სტუდენტს, როგორც ქართველს, არა ერთხელ გადამიშლია ილიას ნაწარმოებები და პუბლიცისტური წერილები, მაგრამ ბატონმა ომარ გოგიაშვილმა კიდევ უფრო ახლოს მოიყვანა ეს დიდი ქართველი ჩვენთან. თითქოს უფრო ადვილი გახდა ილიას გაგება ავტორის კომენტარებისა და მსჯელობის შემდეგ.

ბატონი ომარ გოგიაშვილი ხუთტომეულის მეოთხე წიგნში შეგვახსენებს სტატიას - „უმეცრება გონებით ბატონყმობაა.“ ვკითხულობთ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რაოდენ აქტუალურია ილიას ნააზრევი და მისი რჩევები დღესაც ახალგაზრდებისათვის, თითქოს დღევანდელობას ხედავსო, ისე გვმოძღრავს ილია მართალი.

როგორც ავტორი განმარტავს, ილიას არც ერთ პრობლემაზე იმდენი არ უფიქრია, არ უმსჯელია, არ უკამათია, არ უწერია, რამდენიც განათლებაზე, ცოდნაზე, მეცნიერებაზე. ილიას სწამდა, რომ ცოდნის, თანდათანობითი გაფართოების შედეგად ყოველი თაობა განვითარების დონით წინამორბედს უსწრებს. ცოდნის მიღებითა და ცრუ რწმენებისგან გათავისუფლებით ადამიანებს საკუთარი თავის სრულყოფა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შეუძლიათ. განათლება, თავისთავად სიკეთეა, რადგან პიროვნების თვითგანვითარებისა და ზოგადად ისტორიული პროგრესის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა. ილიას პოზიციები გამოკვეთილად ევროპული ორიენტაციისაა. თავის ოპონენტებთან ხანგრძლივ და ხშირად უთანასწორო ბრძოლაში, განსაკუთრებით საგანმანათლებლო კონცეფციებში მშობლიური ენის როლისა და ფუნქციების შესახებ, ილიას არგუმენტაცია მთლიანად ევროპელი პედაგოგებისა და მეცნიერების შრომებსა და გამოცდილებას ეყრდნობა: „ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს.“

ევროპული მეცნიერების დაუფლება მიაჩნდა ილიას იმის აუცილებელ პირობად, რომელიც არსებულ „ველურ“ ცხოვრებას დაუახლოვებს „ევროპულ ადამიანურ ცხოვრებას“. ბატონი ომარ გოგიაშვილი კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმ ძირითად სათქმელზე, რასაც ილია დღესაც გვეუბნება ახალგაზრდებს: აი რას მოუწოდებდა იგი საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დიდ მეცნიერებაში „ფეხის შედგმას“ აპირებდნენ: „...და თქვენ, რომელნიც თვით განათლების სათავეს დასაწაფებლად მიდიხართ, უნდა გახსოვდეთ: რისთვის მიდიხართ და დაბრუნების შემდეგ, ქვეყანა რას მოგთხოვთ; უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ ისეთი სწავლა უნდა შეიძინოთ, რომელიც, ბოლოს, ამ თქვენ ქვეყანას ცოტათი მაინც წასწევს წინ, ცოტათი მაინც დაეხმარება ხალხს, ცოტათი მაინც მიაახლოებს ამით თითქმის ველურ ცხოვრებას განათლებულ „ევროპის ადამიანურ ცხოვრებასთან“.

„უმეცრება - აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს... ეს არავისთვის საიდუმლო არ არიც: თვითონ ცხოვრება ხმა-მაღლივ ღაღადებს“.

ავტორი სტატიის სიღრმისეულ ანალიზს აკეთებს და წერს: ქვეყნის უბადრუკი მდგომარეობა გულშემატკივარ მამულიშვილს არ შეიძლება არ აწუხებდეს. მაგრამ მარტო ეს არ არის ილიას წუხილის მიზეზი. ამ მძიმე რეალობას ემატება შური, მტრობა, დაუნდობლობა, გაუტანლობა, ძარცვა-გლეჯა და ამ გარემოში მყოფ უმეცარ ადამიანს როგორ გინდა შთააგონო მაღალი იდეალები, როგორ უნდა აღზარდო და ჩამოაყალიბო ურთიერთგაგების, ურთიერთდათმობისა და ურთიერთ დახმარების ჩვევები. ილიას უმთავრესი საწუხარი ის იყო, რომ ასეთი ყოველდღიური პრობლემებით დატვირთული უმეცარი ადამიანი ვერ გააცნობიერებდა საზოგადოებრივი ინტერესების აუცილებლობას და, რაც მთავარია, ვერ ამაღლდებოდა ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ იდეალებამდე. უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ილიას საშიშ მტრად მიაჩნდა.

„მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან,“ რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებას თავის სასიკეთო კვალს დაამჩნევს. საქართველოს მეცნიერების ერთი რომელიმე დარგის განვითარება პრობლემებს ვერ გადაუწყვეტს, რადგან მას სჭირდება „მასწავლებელი, ექიმი, ტექნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე და სხვა.“

„სწავლა ძალა და იარაღია, როგორც უღონო, უიარაღო ლაშქრობის დროს ხდება მსხვერპლად ძლიერისა და დაიარაღებულისა, ისე უსწავლელმა უნდა დატოვოს ცხოვრებაში თავისი ადგილი, გზა

დაუთმოს სწავლულსა, ჩამოუდგეს უკან და გახდეს მისი შემაცქერალი. პირველი ბატონია, მეორე – ყურმოჭრილი ყმა. ეს გონებით ბატონყმობაა, რომელსაც სწავლა და უსწავლელობა აწესებს ხოლმე ადამიანთა შორის, ბევრად უფრო ცუდია იმ ბატონყმობაზედ, რომელიც ჩვენში უკვე მოისპო. ამას ვერ მოიპოვებთ და ვერ მოსპობთ ვერც კანონით და ვერც რაიმე განკარგულებით. ამიტომ ყოველი ხალხი, სწავლას მოკლებული, და იმ ხალხის თვითნიერ-არსებობა, ყოფა, სიცოცხლე ყოველთვის განსაცდელშია ნამეტნავად მაშინ, როცა სხვა უფრო განათლებულს ტომს შეხვდება ხოლმე ისტორიის გზაზედ."

ილია არ იღლება იმის მტკიცებით, რა სიკეთე მოაქვს ცოდნას, როგორც მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის, ასევე ზნეობის განმტკიცებისათვის: „სწავლა - განათლებას ქვეყანაში ჭკუა შეაქვს, ზნეობის სიმაღლე და სიფაქიზე ჰმატულობს, გრძნობა ურთიერთობისა ჰძლიერდება, საზოგადოს, საერთო საქმეს მოღვაწენი უჩნდებიან, გულშემატკივარნი მისნი უფრო და უფრო გულმხურვალედ ეკიდებიან ყოველ იმას, რაც ავლადიდებას ქვეყნისას საერთოდ და საზოგადოებისას ცალკე შეადგენს ზნეობითაც და ქონებითაც." სკოლისა და ცოდნის პრობლემა იმდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმდროინდელი საქართველოს სინამდვილეში, რომ ყოველი საზოგადო მოღვაწე ვალდებულია საზოგადოებას ანგარიში ჩააბაროს განათლების სფეროში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ასე გვმოძღვრავს ილია და მადლობა, ბატონო ომარ, რომ გასწიეთ ასეთი შრომა, რათა ჩვენთვის კიდევ ერთხელ შეგეხსენებინათ ეს ყოველივე და ასეთი პატივი მიაგეთ ჩვენი ერის „უგვირგვინო მეფეს" - როგორც მას ერმა შეარქვა.

ლელა გელაშვილი

* * *

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი მიზანია ფართო აუდიტორიის წინაშე წარმოვადგინოთ მკვლევარ ომარ გოგიაშვილის მოსაზრებანი ილია ჭავჭავაძის ავტონომიზაციის სახელმწიფოებრივი მოწყობის კონცეფციაზე.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის მოთხოვნები თავდაპირველად ძირითადად მაშინაც კულტურული ავტონომიის ხასიათს ატარებდა და ეს სრულიად შეესატყვისებოდა იმ პერიოდის პოლიტიკურ სინამდვილეს. მაგრამ მსოფლიო ისტორიული პროცესების და თვით რუსეთში მიმდინარე მნიშვნელოვანი გარდაქმნების, პოლიტიკურ აზრში სერიოზული ცვლილებების ფონზე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადები ავტონომიზაციის ცნებას აფართოებენ მასში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოთხოვნების შეტანით.

როგორც მკლევარი სტატიის შესავალში აღნიშნავს, სახელმწიფოს ფედერალური მოწყობისა და გნებავთ ავტონომიზაციის დასაბუთებას ჯერ კიდევ 1905-07 წლების რევოლუციამდე შეიცავს ილიას საინტერესო ნარკვევი, რომელიც ეძღვნება კავკასიაში ახალ მთავარმართებლის თავად გოლიცინის დანიშვნას. ეს ნარკვევი, რომელიც 1897 წელს დაიწერა, ფაქტობრივად კავკასიის ახალი მმართველის გაფრთხილებაა, რომ კავკასია ძნელად სამართავი რეგიონია, მით უფრო, მოახლოებული სოციალური დაპირისპირების ფონზე და ოპტიმალური მართვა გამგეობისთვის შესაბამის რეკომენდაციებსაც სთავაზობს; „კავკასიის მართვა, სადაც ამდენი სხვადასხვა ერი მკვიდრობს და სასოებით შეჰყურებს დიდს რუსეთს, მეტად ძნელია. თვითეულის ერის ზნე-თვისება რჯული, ჩვეულება, აწმყო და წარსული იმისთანა რთულს საგანს შეადგენს მართვისათვის, რომ ძნელია კაცმა ადვილად გაიგნოს გზა.“

მკლევარის ცნობით, ზოგიერთი წყაროდან ჩანს, რომ უკვე მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან ილია და მისი თანამებრძოლები რუსეთის იმპერიის დეცენტრალიზაციის პრობლემებზე მუშაობდნენ და წარმომადგენლობითი, შეზღუდული ხასიათის საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბებაზეც ოცნებობდნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია და ბევრის მხრივ მეტყველი მოტივაცია, რომელთაც დაასაბუთეს 1884 წელს ილიასათვის საიდუმლო პოლიტიკური ზედამხედველობის დაწესება. ამასთან დაკავშირებით ჟანდარმერიის მიერ შედგენილ დოკუმენტშიც აღნიშნულია, რომ მეთვალყურეობას დაქვემდებარებული ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე, საქართველოში

ცნობილი პოეტი, „მიეკუთვნება ლიბერალების იმ ჯგუფს, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ საქართველოს ავტონომიას და ოცნებობენ საქართველოს პარლამენტზე.“

1905 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნდა უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც მოქმედ ორგანიზაციიებს ნებას რთავდა მეფის სახელზე გაეგზავნათ „სახელმწიფოებრივი კეთილმოწყობის სრულყოფის“ წინადადებანი, ამ შესაძლებლობებით ისარგებლა თბილისის თავადაზნაურობამ და ტახტის მემკვიდრის დაბადებასთან დაკავშირებით სპეციალურ შეკრებაზე მეფის სახელზე გასაგზავნიადრესი მიიღო რომელშიც პირველად ოფიციალური დოკუმენტის დონეზე დაფიქსირდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა, რომლის შედგენაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ილია ჭავჭავაძე.

1905 წლის 31 მარტს შედგა თბილისის გუბერნიის თავდაზნაურთა საგანგებო კრება, რომელმაც განიხილა იმპერატორისადმი გასაგზავნი ორი პროექტი, რაც ჩვენთვის საინტერესოა, მეორე პროექტი, რომელსაც ილია უჭერდა მხარს, იმპერატორს სთხოვდა დამფუძნებელ კრებას საქართველოსათვის ავტონომიური თვითმმართველობის საკითხი განეხილა.

იმპერატორისადმი მისართმევ ადრესში გამოთქმული იყო რწმენა, რომ „ახლოა ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის თავისუფლად არჩეული წარმომადგენლები, ეროვნების განურჩევლად, შეუდგება მოწყობას რუსეთისა და განაპირა ადგილებისას, მათ შორის საქართველოსიც, რომელიც შედგება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების და ბათუმის, სოხუმის და ზაქათალას ოლქებიდან...“

მკლევარ ო. გოგიაშვილის შენიშვნით ამ „უქვეშევრდომილეს ადრესში“ პირველად საჯაროდ დაფიქსირდა საქართველოს ავტონომიური უფლებების მინიჭების მოთხოვნა და რაც განსაკუთრებით ყურადსაღები იყო, ეს მოთხოვნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან ან რომელიმე პოლიტიკური პარტიიდან კი არ მოდიოდა, არამედ იმ სოციალური ჯგუფიდან, რომლებიც ჯერ კიდევ არსებული პოლიტიკური სისტემის დასაყრდენად ითვლებოდა. სამწუხაროდ, ადრესმა იმპერატორამდე ვერ მიაღწია. ილია რომ სამოღვაწეო ასპარესზზე გამოვიდა, მისი უმთავრესი ამოცანა იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ეროვნული გრძნობის გაღვიძება და ერის თავთან ე.ი. მის ისტორიასთან, მის ტრადიციასთან დაბრუნება. ეს ამოცანა იმ პერიოდისათვის იყო უმთავრესი, რადგან სხვა უფრო მაღალი მიზნების დასახვა მაშინ უტოპიის სფეროს წარმოადგენდა. ამისთვის მზად არ იყო არც ქართული საზოგადოება, არც იმპერიის

საზოგადოებრივ - პოლიტიკური აზრი და მმართველი ელიტა. ეს იყო მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, მაგრამ მე-20 ს-ის დასაწყისისათვის, კერძოდ 1905-07 წლების რევოლუციის წინა პერიოდისათვის საქართველოშიც და მთელს იმპერიაშიც პოლიტიკური ვითარება და საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად შეიცვალა და იმპერიაში ზოგადად და საქართველოში არსებული პოლიტიკური რეალიების უნიკალური ანალიტიკური ნიჭით და შესაძლო ტენდენციების პროგნოზირების უნარით ილიამ დაასკვნა, რომ იმპერიიდან საქართველოს სრული განთავისუფლების ჟამი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ მაღალი ხარისხის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ავტონომიისათვის ბრძოლა რეალური იყო.

მკლევარი საგანგებო ყურადღებას უთმობს „ქართული ნაციონალ-დემოკრატიული, პროგრესისტების პარტიის“ პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სერიოზულ რეფორმირებას შეიცავდა. შესაბამისად ამ პუნქტით გუბერნიების, მხარეებისა და ოლქების გაერთიანებით ერთიანი საქართველოს აღდგენას გულისხმობდა ცენტრით თბილისში. ეს მოთხოვნა მთლიანად პასუხობდა ახალი პოლიტიკური პარტიის უმთავრეს მიზანს, ავტონომიური უფლებების მოპოვებას, რადგან გუბერნიებად და ოლქებად დანაწილებული საქართველოს ავტონომიზაცია, თუ ის არსებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობის ჩარჩოებში განხორციელდებოდა, მიუღებელი იქნებოდა ილიასა და მისი თანამებრძოლებისათვის.

მკვლევარის დასკვნით ახალი პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში ილიას გავლენა იმაშიც სჩანს, რომ სრულყოფილად აისახა „საერთო ნიადაგის“ უმთავრესი კონცეფცია. აქ არსად არ არის ნახსენები პროლეტარიატის, გლეხობის, ბურჟუაზიის კლასობრივი ინტრესები და მათი მოთხოვნები, თუმცა მშრომელთა ინტერესები და მათი სოციალური, დემოკრატიული უფლებები ყოველმხრივ დაცულია.

ავტონომიზაციის საკითხს თავისებური მხარდაჭერა გამოუცხადა და 1903 წელს პარიზში გამომავალმა გაზეთმა „საქართველომ“, რომელიც არჩილ ჯორჯაძემ დააარსა. სწორედ ამ გაზეთის საგამომცემლო ჯგუფმა, ავტონომიზაციისა და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე დაქსაქსული პოლიტიკური ჯგუფების ერთნაირი პოზიციის შესამუშავებლად 1904 წლის 1-ელ აპრილს ჟენევაში მოიწვია კონფერენცია, რომელსაც ორგანიზატორების გარდა ესწრებოდნენ ეროვნულ-დემოკრატები, ანარქისტები, ესერები, სოციალ-დემოკრატები.

სოციალ-დემოკრატებმა, იმის გამო, რომ მათთვის მიუღებელი იყო „საერთო ნიადაგის“ და „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიები და ავტონომიზაციის იდეა, დატოვეს კონფერენცია და ამით აშკარად დაუპირისპირდნენ დანარჩენ პოლიტიკურ ძალებს, რომლებისთვისაც მისაღები აღმოჩნდა-ეს პოზიცია.

პროფ. ომარ გოგიაშვილის შენიშვნით ზემოაღნიშნული კონფერენციის მომზადებისას და მსვლელობის პერიოდში სოციალ-დემოკრატების ლიდერს ნ. ჟორდანიას აზრადაც არ მოსვლია ის, რაც კონფერენციის მონაწილე ცნობილ ქართველ პატრიოტ-ანარქისტს ვარლამ ჩერქეზიშვილს ამოქმედებდა, „როდესაც ამ კონფერენციაზე მიმიწვიეს ჩემს წინაშე აღიმართა შემდეგი კითხვა: „კონფერენციაზე მონაწილეობას მივიღებ, როგორც წევრი ჩემი პარტიისა, თუ როგორც შვილი განსაზღვრული ერისა, როგორც ანარქისტი, თუ როგორც ქართველი? მე დავინახავ, რომ ჩემი ადგილი აქ იყო მხოლოდ ადგილი ქართველისა, ჩემ თანამემამულეებს შორის.“ როგორც პროფ. ომარ გოგიაშვილი ასკვნის მოგვიანებით ილიას გარდაცვალების შემდეგ ნ.ჟორდანიას თვალსაზრისმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა იმ მხრივ, რომ უარყო მარქსისტური დებულება. 1908 წელს მან გამოაქვეყნა წერილი „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი რომელმაც მიუთითა, რომ „ქართველი სოციალ-დემოკრატია თავისი ერისთვის თხოულობს კულტურულ ავტონომიას და არა პოლიტიკურს.

დასასრულს პროფ. ომარ გოგიაშვილი აჯამებს რა ილიას მოღვაწეობას სახელმწიფო საბჭოში ასკვნის, რომ მისი შრომა, საქართველოსათვის ავტონომიური უფლებების მოსაპოვებლად იმდენად ნაყოფიერი და პერსპექტიული ჩანდა, რომ მისი მოწინააღმდეგე ძალები ამ პერსპექტივამ იმდენად შეაშფოთა, რომ მეცნიერთა ერთი ჯგუფი (ლ. სანიკიძე, გ. აბაშიძე) ილიას მკვლელობას მის საქმიანობას უკავშირებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

ჩვენ აუდიტორიას მკვლევარის მხოლოდ ერთ კონკრეტულ სტატიაში ასახული შეხედულებები გავაცანით, მაგრამ თუ ზოგადად მონოგრაფიის მეორე ტომს „ილია დღეს“ გავითვალისწინებთ, როგორც ჩანს იგი ხანგრძლივი და საგულდაგულო კვლევის შედეგია. იგი დაწერილია პირველწყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით, ავტორის მსჯელობა ნათელია, დასკვნები დამაჯერებელი. ჩვენი აზრით, მკლევარის მიერ მონოგრაფიის შესავალში დასმული ამოცანა – თუ რამდენად თანამედროვეა და გამოყენებითი მნიშვნელობისაა დღევანდელი ტრანფორმირებადი საზოგადოებისათვის ილიას ნააზრევი, რომელსაც ნაშრომის არქიტექტონიკაც

ემსახურება, შეიცავს საყურადღებო დასკვნებს. იგი განკუთვნილია არა მარტო ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის, არამედ პროფ. ომარ გოგიაშვილის კვლევის შედეგები, მასალები და დასკვნები გამოყენებას ჰპოვებს დღევანდელი ფსევდოლიბერალური ფასეულობების გადაფასებისა და ეროვნულ-ტრადიციული შეხედულებების წინა პლანზე წამოწევის საქმეში.

რომან გოგოლაური

* * *

2012 წელს დღის სინათლე იხილა ომარ გოგიაშვილის ხუთტომეულმა „ილია დღეს“, რომელშიც თავმოყრილია ილიას შეხედულებები ლიბერალიზმზე, ისტორიულ მემკვიდრეობასა და ეროვნულ ღირებულებებზე, ერსა და სახელმწიფოზე, თვითმმართველობაზე, რელიგიაზე, პოლიტიკურ სისტემებზე, განათლებაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე, საბაზრო ეკონომიკასა და სოციალურ პრობლემებზე, კერძო საკუთრებაზე, დემოკრატიასა და არჩევნებზე და ბოლოს, სიკვდილით დასჯაზე. ავტორი სიღრმისეულად განიხილავს ილიას პუბლიცისტიკას. ჩვენი ყურადღება მინდა მივაპყროთ ილიას სამართლებრივ აზროვნებას. ამ მიმართულებით ილიას ფენომენის მკვლევარებს არაფერი დაუწერიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფესორ ოთარ გამყრელიძის ნაშრომს „ილია სამართლებრივი ნიჰილიზმის წინააღმდეგ“.

ილიას სამართლებრივი შეხედულებები ჩამოყალიბებული რომ ექნებოდა, ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე, ეუფლებოდა ევროპის სამართლებრივი აზროვნების ფილოსოფიას და აყალიბებდა საკუთარ შეხედულებებს სამართლის საკითხებთან დაკავშირებით. ილიას სამართლებრივი შეხედულებები ძირითადად თავმოყრილია ნაშრომის მე-2 და მე-3 ტომებში. პროფესორი ოთარ გამყრელიძე წერდა „ხალხს, რომელიც მოწოდებულია, რომ ნამდვილი თანამედროვე კულტურული ცხოვრება შექმნას და ამით ცივილიზებულ, მაღალგანვითარებულ ერთა შორის ჩადგეს, კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული სამართლის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის და ნიადაგ უნდა ზრუნავდეს, გამუდმებით უნდა ესწრაფვოდეს თავისი ცხოვრების დემოკრატიზაცია“[1]. დემოკრატიზაციის მთავარი პრინციპი ადამიანის თავისუფლებაა, ადამიანთა თანასწორობაა. ილია ამბობდა: „ერთი დიდი სახელოვანი საქმე მე-19 საუკუნისა, სხვათა შორის ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულ მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია,

[1] ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბილისი, 1998 წ. გვ. 3;

და ვითარცა ადამიანი – ყველასთან თანასწორად შესაწყნარებელი და გულშემატკივარია“[2].

ილია სოციალური წარმოშობის მქონე წოდებათა შორის დაპირისპირებას ერის დამღუპველ საქმედ აფასებს. იგი ქადაგებს კლასთა შერიგებას და მათი უფლებების გათანაბრებას. „ქვეყანაზე მარტო იმ ერს გაუძლია, იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარი განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია, რომელსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთ რომელსამე წოდების წინ წამოწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა. პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია“[3].

ამრიგად, ილიას აზრით საზოგადოების კლასებად დაყოფას, ერთი კლასისათვის უპირატესობის მინიჭებას შედეგად ყოველთვის მოჰყოლია სხვა კლასის წარმომადგენელთა უფლებების შეზღუდვა, რაც ბუნებით სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის. საზოგადოების კლასებად დაყოფა ყოველთვის საფუძველი ყოფილა ანტაგონიზმისა, კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლისა. მის ნათელ მაგალითს ხატოვნად გადმოგვცემს ილია პოემაში „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. როგორც ჩანს, ილიას ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობაზე საფუძვლები შოთა რუსთაველიდან აუღია. დასახელებულ პოემას წინ უძღვის რუსთაველის სტრიქონები.

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ მოვეგონები.“

არ შეიძლება ყურადღება არ მივაპყროთ ილიას შეხედულებებს, რომელიც ადამიანთა უფლება-მოვალეობებს შეეხება. „რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, - წერდა ილია, - თუ იქ ჩემი და შენი, ე.ი. კაცთა უფლება და მოვალეობა ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იმ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეუფერხებელი ხომ არის და არის!“...[4].

ქვეყნის მდიდარი რესურსები ქვეყნის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს, თუ არ იქნება სამართალი საზოგადოებრივი ცხოვრების

---

[2] ილია ჭავჭავაძე, ათტომეული, ტ. მე-5 გვ. 72

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, წოდებათა თანასწორობა, ტ.5, თბილისი, 1987, გვ.19.

[4] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ცხოვრება და კანონი, ტ. 4, თბილისი, 1987, გვ. 300;

ავანგარდი. სამართლებრივი აზროვნება, რომელიც ილიას ჩამოუყალიბდა, სათავეს შუასაუკუნეებიდან იღებს. მასზე ნათლად მეტყველებს რუსთაველის ასეთი აფორიზმი: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. რუსთაველი „მართალ სამართალს“ ანიჭებს რაღაც მაგიურ ძალას, რომელსაც შეუძლია ხმელი ხე ნედლად აქციოს.

სამართლის მნიშვნელობაზე საუბრობს ვახტანგ მეექვსე, რომლის მიერ შედგენილ სამართლის წიგნში ვკითხულობთ „უსამართლობამ სოფელს კაცსა უძეოდ აღმოფხვრის და გარდაავლინებს, დღეთ-სიგრძეობასა მოაკლებს, ქვეყანას აუოხრებს, თვალს დააკლებენ და ქვეყანა-ნაყოფს. ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წარწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს. ესენი ყველა უსამართლობისაგან გამოვლენ და სამართლის ქმნა მეფესა და მსაჯულისა ამა ყოვლის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განდევნის“.[5]

როგორც ჩანს, ვახტანგ მეექვსის აზრით, მეფესა და მსაჯულს ევალებათ სამართლის ქმნა, რათა თავიდან აიცილონ უსამართლობისაგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგი. ასეთი სამართლებრივი აზროვნება იყო დამკვიდრებული საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლომდე და სწორედ ამის გამოძახილია ილიას სიტყვებში.

ავტორს კარგად დაუმუშავებია საკითხი „ილიას საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფისა და ელექტორატის გაფართოების პროცესის შესახებ“.

საყოველთაო საარჩევნო უფლება მე-19 საუკუნის მსოფლიოში ჯერ კიდევ დაუხვეწავი იყო. განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის საარჩევნო სისტემა და გადავხედოთ, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით რუსეთის იმპერიაში.

ნიდერლანდებში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველა მამაკაცს 1917 წლიდან მიეცა, ხოლო ქალებს 1919 წლიდან.

აშშ-ში ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება — 1918 წელს მიიღეს, საფრანგეთში — 1944 წლიდან, იტალიაში 1945 წლიდან, საბერძნეთში — 1956 წლიდან, შვეიცარიაში — 1971 წლიდან. აქვე უნდა არინიშნოს, რომ შავკანიანმა მოსახლეობამ აშშ-ში არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს 1960 წლიდან, ხოლო ზოგიერთ შტატში 1970 წლიდან.

---

[5] ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი

ილია ამომრჩეველთა სფეროს გაფართოებისა და დემოკრატიული საარჩევნო სისტემების დამკვიდრების აქტიური მხარდამჭერი იყო.

ილია ამბობდა: „ხმა და არჩევანის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია. მაშასადამე, ყოველს მცხოვრებს ყოველს მოღვაწეობაშიც ხვედრი წილი უნდა მიუძღოდეს“[6].

ილიამ გაილაშქრა ისეთი სასჯელის გაუქმების წინააღმდეგ, როგორიც იყო სიკვდილით დასჯა. ილია გამოდის სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ, რასაც წინ უძღოდა რუსეთის იმპერიაში გატარებული რეფორმები. მოკლე ისტორიული მიმოხილვა გავაკეთოთ მე-19 საუკუნეში მიმდინარე პროცესების შესახებ. ალექსანდრე პირველის დროს, 1810 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო. იგი წარმოადგენდა იმპერიის სათათბირო ორგანოს. მისი ფუნქცია იყო იმპერატორის წინაშე დასამტკიცებლად წარსადგენი კანონპროექტების განხილვა. 1906 წელს 9 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება ილიას ირჩევს სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლად, ხოლო პეტერბურგში ჩასულ ილიას 8 აპრილს სახელმწიფო საბჭოს წევრად, საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლად ირჩევენ. ამ დროს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში ბევრ სხვა დემოკრატიულ კანონპროექტთან ერთად, სიკვდილის დასჯის აკრძალვის შესახებ დაიწყო მუშაობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ჰუმანიტარული აქტი იყო. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, რადგან რევოლუციური აქტიურობით საქართველო გამოირჩეოდა და სასჯელიც შესაბამისი იყო. საქართველოში განხორციელებული სასიკვდილო განაჩენები, მართალია დიდს არა, მაგრამ მცირე ზიანს აყენებდა ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ ფონდს. მართალია, ილიას გამოსვლის ოფიციალური ტექსტი არაა შემონახული ოფიციალურ დოკუმენტებში, მაგრამ ამ ფაქტს ადასტურებენ ოფიციალური პირები. ვინმე ბოლქვაძე იგონებს ილიას სიტყვებს: „გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს, მერე კი სახელმწიფო საბჭოს“. მ. კოვალევსკი აცხადებდა „პროფესორ ტაგანცევთან ერთად... თავადი ჭავჭავაძეც სიკვდილით სასჯის გაუქმების მოთხოვნით გამოვიდა“. 1906 წლის 19 ივნისის სახელმწი-

[6] ვ. აბაშიძემ ილია ჭავჭავაძე, სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, თბილისი, 1987, გვ. 145.

ფო სათათბირომ მიიღო კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და პროცედურის დაცვით გადაუგზავნა სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ილიას იდეებმა ხორცშესხმა დაიწყო. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ქვეყნის ძირითადი კანონი - კონსტიტუცია. კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით:

- სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება სიკვდილით დასჯა გამოიყენება სიცოცხლის წინააღმდეგ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მის სრულ გაუქმებამდე.

1996 წლის მიწურულს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სიკვდილით დასჯაზე მორატიორიუმი გამოაცხადა. 1997 წლის 11 ნოემბერს პარლამენტმა საბოლოოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა. კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში გაჩნდა ჩანაწერები - სიკვდილის დასჯა აკრძალულია. ასე, რომ ილიას იდეამ სიკვდილის დასჯის გამოყენების გაუქმების მოთხოვნამ ხორცი შეასხა 90 წლის შემდეგ.

ო. გოგიაშვილის ნაშრომს გააჩნია თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. იგი დახმარებას გაუწევს როგორც მეცნიერ მუშაკებს, ისე ილიას შემოქმედებით დაინტერესებულ საზოგადოების ფართო წრეს.

მალხაზ ლომსაძე

გიორგი მელიქიძე

დაიბადა 1952 წლის 24 მაისს ქ. თბილისში. 1969 წელს, წარმატებით დაამთავრა თბილისის 129-ე საშუალო სკოლა. 1974 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა მეტროლოგიის კვლევით ინსტიტუტში, სატყეო კვლევით ინსტიტუტში, მსუბუქი მრეწ-ველობის საკონსტრუქტორო ბიუროს წამყვან სპეციალისტად.

ლექსებს წერს ბავშვობიდან. უყვარს ლიტერა-ტურა, ხელოვნება, სპორტი.

ღვინოს და მზეს

ღვინოს და მზეს, ღვინოს და მზეს,
ჩემს სატრფოებს მზერა მწველი,
მათ, ორივეს გულის დამწველთ,
მათ, სალამი ჩემი ძველი.
სადღეგრძელო ქართულ სუფრას
მზე და ღვინო, მზე და ღვინო,
მზე სამარეს ესაუბროს,
ღვინო წვეთ-წვეთ დაედინოს.
შემიყვარდა, რადგან ორივ,
მათ ორივეს ლოცვა ჩემი,
ორივ ჩემი გულის სწორი,
ჩემი სუნთქვა და ედემი,
არ ყოფილა მიჩქმალული,
„ვისს“ ვადარე, „რას“ ვადარე,
მათდამ წრფელი სიყვარული
გულში ობლად მე ვატარე.
ვერრა ვნახე უკეთესი
გატაცება, სხვა ხალისი,
ჩემი შემწე უმრწემესი
საიმედო დღე ხვალისი.

ღვინოს და მზეს, ღვინოს და მზეს,
ჩემს სატრფოებს მზერა მწველი,
მათ, ორივეს გულის დამწველთ,
მათ სალამი ჩემი ძველი.

ქალი

მიყვარს ქალი ყველა,
ვისაც ქვია ლელა,
სწორედ მისთვის ვმღერი,
ვისაც ქვია მერი.
მასზე დამრჩა თვალი,
ვისაც ქვია ლალი.
გული ეთაყვანა
ვისაც ქვია ანა.
უნდა გაიბრწყინო
ქალბატონო ნინო.
მტერზე მარად შეტევას
ვეტყვი დედა ქეთევანს.
სიყვარულის წამალი,
ქალი, ქალი თამარი.
ერთ რამედ ღირს ნათელა
შენი შემონათება.
მთის ქალია მაყვალა,
ქალი თვალებმაყვალა.
მიყვარს ქალი მაია
და ცეკვა სამაია.
ვეტრფი სახემზიანს
მას, ცისკარას მზიას.
ქალი მჭადიჯვრელია,
მტერთა სისხლის მღვრელია.
მზეს უცინის შორენა,
დედოფალი შორენა.
თინათინი, ნესტანი,
სიყვარულის ნესტარით.
თქვენ გიმღერით ლალე,
თქვენ კი გენაცვალეთ!

სიკვდილს

ხელის გულზე დავსვამ სიკვდილს,
როგორც ცერზე მიმინოს,
მას უვნებოს და ფერმიხდილს
სიტყვას ვეტყვი, მისმინოს.
ვით ქაჯეთის ციხით დახსნილს
ნესტანს მივცემ ტარიელს,
სულს მივართმევ სხეულს გაცლილს
ხონჩით მიქელ-გაბრიელს,
მას შევთხოვდი, რომ შემინდოს
თუ რამ ცოდვა-ბრალსა მდებს,
ამაშოროს, ამაცდინოს
საიქიო განსაცდელს.
სხვის არ ვიცი, მე კი ვხვდები
ვით ვევნე და ვეწამე,
ჩამახუტოს, როს მოვკვდები
საქართველო მიწა მე.
თვალნი როცა დამიხუჭოს,
როცა კი დამამუნჯებს,
ღმერთს შემვედროს, მომანიჭოს
საიქიო საუნჯე.
თავი ჭირთგან როგორ ვიხსნა,
არ ვარ მაგი, მისანი,
ღმერთს შემვედროს, რომ განმიხსნას
კარნი სამოთხისანი.
ხელის გულზე დავსვამ სიკვდილს,
როგორც ცერზე მიმინოს,
მას უვნებოს და ფერმიხდილს
სიტყვა ვუთხარ, მისმინოს.

ემიგრანტული პოეზია

ნინია ბერიძე - იტალია, ბარი

დაიბადა 1963 წელს, დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა და 1986 წელს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი.

მუშაობდა ავტოქარხნის ადმინისტრაციაში, წლების მანძილზე ემსახურებოდა ქუთაისის ახალგაზრდების საქმეთა დეპარტამენტში თავის მიერ ჩამოყალიბებულ სახალხო თეატრს.

2005 წლიდან ემიგრაციაშია იტალიაში და იქაც აქტიურად იღწვის ლიტერატურულ და კულტურულ სფეროში: ხელმძღვანელობს ქალაქ ბარში ქართველ ემიგრანტთა ლიტერატურულ კლუბს, სადაც იმართება შეხვედრები ლიტერატურით დაინტერესებულ ემიგრანტ ქართველებთან, აქტიურად თანამშრომლობს ქართული საკვირაო სკოლა - „აისის“ საქმიანობაში.

***

არაფერი არაა ცის ქვეშეთში მარადიული. სიცოცხლეც მიდის, ზოგისთვის ჩქარა, ზოგისთვის ნელა. რა ბედნიერები ვართ ადამიანები, რომ არ ვიცით გასვლის დრო.

წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა ხვალ რომ ვიყო წასასვლელი, რამდენი საქმის მოგვარება მომიწევდა დღეს.

ხო და, ვზივარ ეხლა მე უსაქმურად და გწერთ გულის ნადებს. ადამიანებო, გემუდარებით, გიყვარდეთ მოყვასი, ნუ ვატკენთ ერთმანეთს გულებს, ნუ ვიცრუებთ.

ბოლოს ხომ ყველას მხოლოდ ოთხი ფიცარი მიაქვს ამ ქვეყნიდან. არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, რასაც სიკეთის კეთება ქვია. და თუ მე ვიგინდარა და ოხერი აღმოვჩნდი, შენ, ასეთო კარგო და კეთილო, მაპატიე, ნუ დამიმიზნებ პირდაპირ თავში ქვას.

და როდესაც ღმერთთან მივალთ, მე ჯოჯოხეთში გამიშვებს, შენ კი ამდენი რამის მპატიებელს სამოთხეში.

მიყვარხართ, მიხარია, რომ მყავხართ და არსებობთ.

* * *

არცა დღეს, არცა ხვალ, არცა ზეგ
არ მოხვალ, სიკვდილო, ადვილად.
ჰო და, შენ სანამდე აქ გძინავს,
მე წავალ ჩემ ყანებს გავლეწავ.
მოვიძევ მეგობარს, რომ უჭირს,
საყვარელს, ციხეში რომ გმინავს,
ვიღაცას ვჭირდები ამ დილას,
ის ფიქრობს - „ საშველი არ მიჩანს“.
არა გაქვს, სიკვდილო, უფლება,
ანგრიო სიცოცხლის კარები,
ცხოვრებას სიმღერა უხდება,
ხვალის დღე გაზაფხულს გვპირდება.
არცა დღეს, არცა ხვალ, არცა ზეგ,
ვერ მოხვალ, სიკვდილო, შენ ჩემთან,
ფრთები მაქვს, საფრენად მზადა ვარ,
ჯერ კიდევ სიცოცხლე მჭირდება.

* * *

გამაგიჟე, გადამრიე, ამიბნიე თავგზა,
თეთრი კაბა დამიხიე, გამიყვანე გაღმა.
მაკისკისე მტკვრის ტალღებში, კოცნა ჩემთან დაგრჩა.
იმ წუთს შენი მონა გავხდი და ჭორებიც ამყვა.
რას დავეძებ, ვინ რას იტყვის, ეს სიზმარიც ახდა.
შენს მკლავებში ქალი გავხდი, არ მიგრძვნია დაღლა.
მალე დედად მაღიარებ, მკლავს პირველი განცდა.
მერე სახლსაც ავაშენებთ, გარეთ ვაბამ ძაღლსა.
ხუთ ძეს საჩუქრად მოგართმევ, ერთ პატარა ქალას.
ცულის ტარზე დავეტევით, მე გპირდები ამას!

***

ეხლა ყველაფერი დაძველდა,
სიცოცხლე ნაცრისფერი გახდა,
მე გამოვედი გამოღმა,
წლები დავტოვე გაღმა.
ტაატით მივყვები დაღმართებს,
აღარ მაშინებს დაღლა.
მერე რა, რაც ვერ მოვასწარ,
შენ დაგავალებ ამას.
შენ უნდა მიხედო სამშობლოს,
მიხედავ წინაპრის საფლავს,
სახლ -კარს მიხედავ მამისას,
ნუ გააჭაჭანებ ბალახს.
არ მიატოვო მამული,
არ აჰყვე არაფრით მავანს.
ნუ ეძებ სხვა ქვეყნის სამოთხეს,
ღვთის, მშობლის მიწაზე დგახარ.
შვილებო, გითხარით ანდერძი,
მე უკვე ჩემი გზით წავალ.
ცხოვრება მართლა ხანმოკლეა
ვერ ვიხდი სამშობლოს ამაგს.

***

ის წუთი დგებოდა, საშინელი წუთი.

ერთმანეთს ვეკროდით ღამენათევები, ზოგს თითქოს თვლემდა,

ფხიზელთ არ გვესმოდა ჩვენი სულიერი მამის - „მაცნობესოოო... მითხრესოოო... უნდა დავტოვოთო რუსთაველი“.

ზვიადის ანთებული და ფიქრიანი თვალები, კოსტავას გამეხებული სახე.

და უცებ უსინათლოთა ფანდურის ხმა!

უეცრად დილა გახია გრუხუნმა - მოდიან, ქალები და ბავშვები დაიცავით, მოშიმშილეებო, ფრთხილად, ეს წერეთელი იყო ირაკლი...

ყველაფერი ელვის სისწრაფით აირია... მივრბოდით ყველა მხარეს ფეხშიშველები კივილი, ტირილი, გინება...

რას გვერჩიიით - ყვიროდნენ უნივერსიტეტის ბიჭები და გამწარებით ხელკეტებს უშენდნენ ტანკებს...

მეორე დღეს გვიან გავედი ტრაგედიის ადგილზე და არასოდეს დამავიწყდება ფეხსაცმელების გორა, გაქცეულებს რომ დაგვრჩა რუსთაველზე...

ეს იყო 9 აპრილი. ქალაქი სავსე წითელი ტიტებით...

***

შეიშალა საქალეთი - გაზაფხულიაო გარეთ.
ვიცი, მეგობრები გადამერევიან,
ყვავილებს დაუგებენ მახეს.
ხვალიდან დავივიწყებ სადარდებელს
ხვალიდან დავამღერებ ლალეს,
დედამიწაზე დათბება და ვარსკვლავებს გამოვყვები გარეთ.
მერე ლამაზ კაბას გადავიცვამ, მერე გავგიჟდები ღამე,
იმდენს ვისულელებ ამ პირველ დღეს,
ცეკვაში ოქროს ქოშებს დავხევ.
ხო და, გაგიმარჯოს გაზაფხულო,
შენი სიყვარული თან მდევს,
იმედი, სითბოს რომ მომიტან,
ბედნიერებით მავსებს.

***

ჩვენ იმდენს ვფიქრობთ რომ ველარ ვიცლით,
რამე ახალი მოვიფიქროთ.
იმდენს ვტირით, რომ სიცილიც დაჯღანული გვაქვს.
მივტირით წარსულს და მომავალი ხელიდან გვიქრება.
გვეშინია უკან დაბრუნების და კაცმა არ იცის, რა დილა გაგვითენდება.
ჩვენ ვმოძღვრავთ ერთურთს და არასოდეს უსმენთ გულის ძახილს.
გვიყვარს ადამიანები, მანამ სანამ აუგს არ გვეტყვიან.
მერე ჩვენთვის, ქოქოლას და მიწასაც კი მივაყრით.
ჩვენ გვიყვარს საქართველო და ვერავინ მძრავს უცხო ქვეყნიდან.
მე დავიჯერე, რომ მომავალს ვქმნი.
ხანდახან მრცხვენია, რომ უსაშველოდ ვატყუებ თავს
და ვეუბნები - შენ ბედნიერი იქნები!

* * *

ყოველთვის სხვანაირი მახსოვს შობა, იქ, სადაც გავიზარდე. მესხეთში შობამდე ღორები იკვლებოდა. ფურნე ინთებოდა, ქადა-ნაზუქი ცხვებოდა, ოჩხის თევზი იჩხრიკებოდა, გაყინულ მტკვარს ბურღით ბურღავდნენ, ციმორის მოყვარული ბიჭები. დილას ბედის პური ტყდებოდა, საიდანაც რკინის მანეთიანი იცქირებოდა. მერე დილაუთენია ხონჩა იწყობოდა ერთი ჩვენთვის, აი ერთი კი – ეკლესიისათვის, ეს საქმე მე მევალებოდა ჭრაჭუნა თოვლზე მივდიოდი ხვილიშის ეკლესიაში და „საჭეჭავს“ ვცლიდი იქვე კარებთან. ყველა სანოვაგეს, რაც კი მქონდა უფლის სახლთან ვტოვებდი, უფალი თავად გაანაწილებსო - მეტყოდა დედა. ბღუჯად ჩამოსხმულ სანთლებსაც იქვე ვტოვებდი. ყველას თავისი სახელი ერქვა, მახსოვს დაკეტილი ეკლესიის კარები და გათოშილი ცხვირ-პირი, ძლივს რომ გამოვიკვლევდი წელამდე თოვლს. მე იქ არასოდეს არ მინახავს მღვდელი, როგორც კი აღმართს ამოვათავებდი, სონა ძალოს ლანდი გამოიკვეთებოდა, ხუთ შვილს მოუყვებოდა ხოლმე წინ და სანამ არ მივიმალებოდი, მანამ არცერთი არ შედიოდა ეკლესიაში. ერთხელ, სახლში მისულს, საყვედური წამომცდა, გამაგდებთ ამ ყინვაში და თოვლში ყოველ შობას, იქ არც ღმერთი მხვდება და არც მღვდელი, სონა ძალო მოდის თავისი ობლებით და ისიც, სანამ არ მივემალები თვალს, ეკლესიას არ უახლოვდება - მეთქი. არასოდეს არ დამავიწყდება, დედას ცრემლიანი თვალები და ჩუმი ხმა - „უფალმა ამ შობასაც გვიკადრაო, დედა“.

* * *

დარდი რომ მოგეძალება, თმებზე რომ თოვლი დაგათოვს.
როდის იყავი პატარა, იხსენებ, მაგრამ არ გახსოვს,
როდის გიყვარდა დედ - მამა, გიყვარდა ვინმე, თუ არა?
ვინ იყო შეყვარებული, მტკვარს ვინაც ცხრაჯერ ცურავდა.
რაც მაშინ დიდი გეგონა, გადაქცეულა პატარად.
დარდი რომ მოგეძალება, ცხოვრებაც გარბის თანდათან.
იხსენებ და ვერ იგონებ, როდის იყავი რაცა ხარ...

* * *

იდგა უხმოდ და ტიროდა. ვერ გავუვლიდი, თუმცა ცხოვრებამ და გამოცდილებამ გამამკაცრა, შევჩერდი და ვკითხე - გაგქურდეს? წაგართვეს რამე? საბუთები ხომ არ დაკარგე? იდგა დალოცვილი და ცრემლად იღვრებოდა. ვხედავ, რომ ქართველი ხარ, ახალგაზრდა, ლამაზი, რა გატირებს, დალოცვილო, გული რომ ამოიგდე.

- საქართველო მენატრება, ქალბატონო და დაწითლებული თვალებით შემომხედა.

- შე დალოცვილო, ამ წვიმაში და წკვარამში დგახარ მთლად სველი და საქართველოს მისტირი? ვიფიქრე, რამე დაგეკარგა, ან ვინმემ შეურაცხგყო. უცებ გამკაცრდა, თითქოს გაბრაზდა კიდეც;

- თქვენ ამას ვერ გაიგებთ, ქალბატონო, თქვენ უკვე საუკუნეა აქ ხართ, თქვენ სული ეშმაკებმა აგართვეს. თქვენ აღარ მოგენატრებათ საქართველო. თავი ჩაღუნა და გამეცალა. თვალი გავაყოლე - ჩემი ორეული მიდიოდა, ათი წლით ახალგაზრდა. ალბათ სირბილითაც ველარ დავეწეოდი, ძლივს ჩამოვჯექი ქვის კიბეზე და ეხლა მე ავტირდი.

ჩემო ქვეყანავ, მენატრებიიი...



ღმერთო, გააღე სამოთხის კარები, ბავშვები მოდიან სათამაშოდ!

2018 წლის 23 ივლისი, ის ავადსახსენებელი დღე მზიანი კი იყო, მაგრამ ქარიც ქროდა... ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ხალხით იყო სავსე. მარათონას სანაპირო ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი იყო საბერძნეთში... წიწვიანი ტყის საკმაოდ მოზრდილ ფერდობზე ვილები სოკოებივით მოჩანდა და ულამაზეს პეიზაჟს ქმნიდა... ქარი მომ-ძლავრდა. ავად არხევდა ხის ტოტებს. უცებ სანაპიროზე ხალხის ჩოჩ-ქოლი ატყდა. დაინახეს, როგორ ავარდა ცაში ცეცხლის ენები, ასე, 35 მეტრის სიმაღლეზე. ცა გადაფარა შავი კვამლის სქელმა ფენამ. კივილი, ტირილი, ღრიანცელი ისმოდა ირგვლივ, მაგრამ არავინ ჩანდა მშველელი. ცეცხლი ისე წაეკიდა გარშემო ტყის მასივს, რომ ვერც შიგნით შედიოდა მშველელი და ვერც იქიდან გამოდიოდა ვინმე.

ქარი გაძლიერდა და სულ რაღაც წამებში მოედო ცეცხლი ათეულობით ჰექტარს. ხანძრის თავიდან დასაღწევად ტრანსპორტს მიაშურეს, მაგრამ გასასვლელი ცეცხლმა ჩახერგა. გადაიჭედა გზა მანქანებით. ძლიერმა ქარმა დაუბერა და ირგვლივ ყველაფერი ცეცხლის კორიანტელში გაეხვია. ერთიმეორის მიყოლებით აფეთქდა და დაიწვა ავტომობილები თავის მგზავრებიანად. ვინც მოასწრო და გაიქცა, კი გადარჩა... ვინც ვერ მოასწრო, იქვე ჩაიფერფლა.

ხუთასზე მეტი სახლი გაანადგურა სტიქიამ 87 ადამიანზე მეტი შეიწირა, უმეტესობა ბავშვები... განა გიღირდა, ღმერთო, ამხელა მსხვერპლი?

ერთ-ერთი დედა წასული იყო საყიდლებზე. შინ ბრუნდებოდა, მაგრამ დახვდა გაავებული ხანძარი, გზაზე ვერ შედიოდა. ამ დროს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. თავისი ცამეტი წლის გოგონა ურე-კავდა: - დედა, აქ ხანძარია და არ წამოხვიდეო... თვითონ შეჭირვე-ბული ცეცხლის ალისგან, განუწყვეტლივ ესაუბრებოდა და ამშვიდებ-და დედას: - ნუ გეშინია, ჩვენ არაფერი გვემუქრება, შენ არ გაბედო წამოსვლა, არაფერი დაგემართოსო. ამ დროს უკვე გარდაცვლილები იყვნენ მისი ოჯახის წევრები და თვითონ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ცდილობდა, დედა მაინც გადარჩენილიყო ცოცხალი. უბე-

დურ ქალს მწარე სიმართლე ელოდა. მან დაკარგა ორი შვილი, მეუღ-ლე და დედა. სიმწრით აღმართული ხელებით ღმერთს შეჰღადღადა: ...ღმერთოო!!! გააღე სამოთხის კარები, ბავშვები მოდიან სათამაშოდ!

სხვა გამწარებული მამა, იმედს არ კარგავდა. ეძებდა თავის ტყუპ პატარა გოგონებს, რომლებიც პაპა-ბაბოსთან დატოვეს ცოტა ხნით და სანამ სახლში დაბრუნდებოდნენ, ხანძარმა შთანთქა მათი სახლი. იმედი ასულდგმულებდა, რომ იქნებ როგორმე თავი დააღწიეს და სადმე ვიპოვნო თავშეფარებულნიო, მაგრამ ვაი, როგორც იპოვა... ორივე იპოვა, ერთი ბებიას ჰყავდა და მეორე ბაბუას გულში ჩახუ-ტებული, მაგრამ... ოთხი იპოვა ერთად...

არცერთი ადამიანი არ დარჩენილა გულგრილი. ცრემლი უკიაფებ-და ყველას თვალში და არა მარტო ბერძნებს. უბედურება გმირებს ბადებსო, ნათქვამია. აკი ასეთი ორი გმირი გამოჩნდა კიდეც, თანაც ქართველები. პირველი - დავით გეჯაძე აღმოჩნდა. როდესაც ხანძარი მომძლავრდა, სახლის დიასახლისი და მისი შვილი ოჯახითურთ გაიქცნენ თავის გადასარჩენად. მოხუცი ავადმყოფი მამაკაცი კი სახლში დარჩათ საწოლში. დავითი მათ სახლში იყო და შეეძლო მასაც გაქცევით ეშველა თავისთვის, მაგრამ ქართულმა თავმოყვარე სისხლმა, გენმა ვერ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი და ვერ გაიმეტა, ვერ მიატოვა ავადმყოფი ადამიანი ცოცხლად დამწვარიყო, დარჩა მასთან. ცარიელი ხელებით ებრძოლა ბოროტ, მკვლელ ცეცხლის სტიქიას. მხოლოდ წყლის რეზინის მილით უმკლავდებოდა და ასე თავგანწი-რული ბრძოლით გადაარჩინა საკუთარიც და იმ მოხუცის სი-ცოცხლეც.

მეორე – მარინა მახარაშვილი იყო. ათენიდან „ბებიასთან“ ერთად გაემგზავრნენ რაფინაში დასასვენებლად. აივნიდან დაინახა, რომ ხანძარი მძვინვარებდა და ქარს მათი სახლისკენ მოჰქონდა ცეცხლის ალები. ბებიას უთხრა სასწრაფოდ უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ბებია გაჯიუტდა. აქამდე ცეცხლი ვერ მოვაო. მარინამ ძალით წაიყვანა. ორ წუთში მთლიანად დაიწვა ის სახლი, სადაც იმყოფებოდნენ. ზურგით გაიყვანა ბებია. ფეხებზე ცეცხლი ეკიდებოდა და ხელით იქრობდა. ბევრი გადახდათ თავს, მაგრამ გადარჩნენ. მარინას რომ არ აეძუ-ლებინა წასულიყვნენ, დღეს აღარ იქნებოდნენ ცოცხლები.

ვინც გაქცევა მოასწრო, ზღვის სანაპიროზე შეგროვდნენ მუხლე-ბამდე წყალში შესულნი, შეშინებულნი და დაზაფრულნი. შეჰყურებდ-ნენ შორიდან, როგორ იწვოდა მათი სახლები, მთლიანად დასახლება და იცოდნენ, შიგ გამომწყვდეულ ადამიანებს რაც მოელოდათ. ტი-როდნენ სისხლის ცრემლებით.

გლოვობს ელადა. გლოვობენ ძირძველი ელინები და მათთან ერთად ქართველებიც. სინანულის ცრემლი კიაფობს მათ თვალებზე. საამაყოა, რომ მეორე დღესვე ათენში ევანგელიზმოს საავადმყოფოში ქართველთა ცოცხალი რიგი დადგა სისხლის გასაღებად, მათთვის, ვინც საავადმყოფოებში იტანჯებიან მრავლობითი დამწვრობით, ვისაც სჭირდება დახმარება.

საამაყოა ის ქართველი ახალგაზრდები და სტუდენტები, რომლებიც მეორე დღესვე გაემგზავრნენ უბედურების ზონაში და ჩაიტანეს პირველადი დახმარების საგნები, წყალი და საკვები. მეორე დღესვე შეიქმნა ქართველ ემიგრანტთა ასოციაცია „ქართულ სახლში“ „დაზარალებულთა დახმარების შტაბი“ და მოდიან ქართველები, მოაქვთ ვისაც რა შესწევთ. ამით გამოხატავენ იმ მადლიერებას, როდესაც გაჭირვებულებს საბერძნეთმა და ბერძენმა ხალხმა გაუღოთ სახლის კარები, შეიფარეს და მიიღეს, მისცეს არსებობის საშუალება.

დიახ! ვწუხვარ და გულით ვიზიარებთ ქართველი ემიგრანტები, ჩვენო ბერძენო მეგობრებო, ამ დიდ ტრაგედიას. თქვენი ტკივილი ჩვენი ტკივილია!

ლია პეტრიაშვილი
ათენი, 2018 წლის 25 ივლისი

* * *

ტირის საბერძნეთი, ტირის ყველა სულდგმული ადამიანი, უცხო თუ საბერძნეთის მკვიდრი, იმ საშინელი და მოუშუშებელი ტკივილის გამო, რაც ერთ დღეს, საათებში, წუთებში, წამებში მოხდა.

მზიანი და სიცოცხლით სავსე იყო ის საშინელი და ავადმოსაგონარი დღე, დღე რომელმაც დაუნდობლად გაწირა ათეულობით ადამიანი, ბავშვი თუ მოხუცი.

სილამაზით განთქმულ მარათონასა თუ სოფელ მატში დატრიალებულმა ქარბოლალამ სახლებს, ტყეებსა თუ ყოველ სულდგმულს ცეცხლის ენები ისეთი სისწრფითა და დაუნდობლობით დაუტრალა, იქ მცხოვრებლებმა აზრზე მოსვლაც კი ვერ მოასწრეს.

მაინც, რა იყო ეს, ბუნების საშინელი, დაუნდობელი რისხვა ადამიანებზე თუ ყველაფერი ერთად, რომლებმაც ხელი შეუწყო იმ დიდ უბედურებას, რომ მათ თვალწინ დატრიალებული სიკვდილისთვის თვალებში ჩაეხედათ. რადგან მათ უმრავლესობას არ გააჩნდათ არავითარი ძალა ეშველათ ერთმანეთისთვის.

სიმწრით გაქცევა და ცეცხლის ქარბოლალა, ყველგან, ყველაფერს ფეხდაფეხ, რომ მისდევდათ და ხელიხელჩაკიდებულებს დაუზოგავად ანადგურებდა. ცეცხლის ენები უფრო და უფრო ძლიერდებოდა და გაშავებული ცისკენ მიიზლაზნებოდნენ, კვამლის ბურუსში ჩაიძირნენ ადამიანები, სახლები, ტყეები, მინდვრები. იდგა საშინელი გოდება ადამიანებისა, ზმუილი ცხოველებისა, წკმუტუნი ძაღლებისა და ღაღადი ნახევრად დამწვარი ქალებისა, ბავშვებისა, მოხუცებისა, რომელთაც ცეცხლის ენები დაუნდობლად ეწეოდნენ და ვერაფრით შველოდნენ თავს.

ზღვის სანაპირო დაფარული იყო გამწრებული ადამიანებისგან, რომელთა თვალწინ იწვებოდა მათი სახლები.

განრისხებულმა ბუნებამ სასტიკად შეუტია ადამიანთა მოდგმას, გაწირა, გაანადგურა იმ საშინელი სიკვდილით, რაც ცოცხლად დაწვა ჰქვია. უამრავის გაქცევა ზღვისკენ, სადაც ვერც ზღვამ მიიღო ისინი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბრძოლა იყო ადამიანებსა და ცეცხლის ენებს შორის, სიკვდილის წინააღმდეგ, რომელმაც ფერფ-ლად აქცია მათი სხეულები, სახლები, ავტომანქანები.

უამრავი ბავშვი, რომლებიც ცდილობდნენ სახლიდან წასული დე-დის გადარჩენას, თვითონ კი ამ დროს ცეცხლწაკიდებულები სიკვდი-ლის ალში ეხვეოდნენ.

ღმერთო, მიეცი ძალა ყველას, ვინც გადარჩა. მათ კი, ვინც ასეთი საშინელი სიკვდილით მიიბარა უფალმა, სამუდამო სასუფეველი დაემკვიდროს.

რუსუდან ჯანელიძე
ათენი, 2018 წლის 2 აგვისტო

* * *

ვხედავ, ცა გაშავდა თითქოს,
მთვარეც მიიმალა სადღაც,
დაბლა დედამიწა იწვის,
ცოდვა ქვეყნის კიდეს გასცდა.
ვაი, ელინების მოთქმა
მესმა, გოდება და განცდა,
მიწამ შეიცვალა ფერი,
ზღვაში ჩაიღვარა ლავა.
ცეცხლში იწვებოდა, რადგან,
ცეცხლი ბრიალებს და ქარი,
მოჰგავს „ცეცხლზე ნავთის დასხმას“.
ყველა ჩაინავლა ირგვლივ,
ტყე, მინდორი და სახლი,
ოი ... სიცოცხლე ჩაქრა და
მიემგზავრება ცაში.
სული ცად წავიდა ასე,
მესმა შეკივლება დედის,
ისევ დაბრუნდითო ჩემთან,
როცა აშენდება სახლი.
ერთად გადავლახოთ უნდა
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი,
ისევ ვაყვავილოთ ეზო,
რომ არ მოგვეძალოს ნარი.
ისევ დაბრუნდითო ჩემთან,
როცა აშენდება სახლი ...

ზაირა კელოშვილი
ათენი, 2018 წლის 25 ივლისი

ბერძნებმა კარი გაგვიღეს...

იმ ქვეყნის ემიგრანტი ვარ,
იმ ლამაზ კუთხის სტუმარი,
ვინც ჩვენი მოძმე ერია,
დღეს კი - ცრემლებით მდუმარი.
საბერძნეთს გლოვის დღე უდგას,
ცას ფარავს შავი ღრუბელი,
ხანძარს მზე მხრებზე შეუდგამს,
დამწვარ შვილს გლოვობს მშობელი.
სოფლები იქცა ნაცრებად,
გულს მიკლავს მათი ტკივილი,
ზეცას სწვდებოდა, საშველად
ალმოდებულთა კივილი.
სიკვდილი სახემცინარე,
ზოგს ბოლო ღამეს უთევდა,
ფეხდაფეხ ცეცხლი მძვინვარე,
სიცოცხლეს მახეს უგებდა.
საბერძნეთს გული უტირის,
შავი სამოსი აცვია,
კალმით ნახატი სამოთხე,
ცეცხლმა სულ ნაცრად აქცია.
ო, რა მწარე ხარ სიკვდილო,
რა უგზო-უკვლოდ მავალი,
ღმერთმა დასწყევლოს შენი დღე,
შენი გზა-ბილიკ სავალი.
რამდენი დედა ატირდა,
რამდენს ჩააცვი ძაძები,
ცრემლებით ზღვაც კი ადიდდა,
გლოვის ზარს რეკენ ტაძრები.
მტკივა, ო, რარიგ მაწამებს,
დღეს საბერძნეთის ტკივილი,
ცრემლი მისველებს წამწამებს,
ხმამაღლა მინდა კივილი.

ერთ დროს ემიგრანტ ქართველებს,
ბერძნებმა კარი გაგვიღეს,
სავსე ოჯახი მოგვანდეს,
შეგვიყვარეს და გაგვიგეს.
ბერძნების სითბო-ზიარად,
შვილები წლობით ვარჩინეთ,
ჩვენ ოჯახები კი არა,
სამშობლო გადავარჩინეთ.

მარინა ყიფიანი, ათენი
24. 07. 2018

ე ლ ა დ ა ს

ჩამოწვა სევდა, დაითალხა ცაში ღრუბლები,
ურჩხულმა ზეცით გადმოკიდა ცეცხლის ენები,
სული შეშფოთდა, ცრემლმა გააპო გულის კედელი,
ნაცრად გადიქცა უფლის წილხვედრი ტურფა ედემი...
ვაი... მომსწრენო, ძველ ბერძენნო მრავალ ჭირისა,
დროც არ დაგცალდათ გონზე მოსვლის... თავზე ფიქრისა,
ვინ დაგავიწყებთ, ცეცხლმოდებულ პატარების ხმას,
ზღვას მიბარებულ სიცოცხლეს და უძლურების ზღვარს!...
ვილოცებთ თქვენთვის, რომ კვლავ მიწა აგყვავებოდეთ,
წალკოტად იქცეს და ბაღნარად თქვენი მოდგმისა!..
მიიღეთ ჩვენგან წრფელი გულით ფიცი - ღმერთის წილ,
მოზიარე ვართ, თქვენი გ ლ ო ვ ი ს ა!..

იზოლდა ბერიანიძე
ათენი, 2018 წლის 27 ივლისი

ე ლ ა დ ა

შენი ტკივილი მტკივა და
შენი წუხილი მაწუხებს...
ეგ შენი ტიალი ხვედრი
გულზე მომიჭერს მარწუხებს!...
არ გეკუთვნოდა ეს რისხვა
შენ - ბევრი ერის გადამრჩენს,
მიკვირს, ღმერთმა რად გიმუხთლა,

რითი ამართლებს განაჩენს!...
უცოდველ ბავშვთა გაწირვა
მაგიჟებს, სუნთქვა მეკვრება,
ცრემლი ღვარად მდის, მგონია,
სხეულზე ცეცხლი მედება...
დანაცრებული წალკოტი,
ცოცხლად დამწვარი შვილები -
უზომო ტრაგედიაა,
ელადავ, გენაცვალები,
რაც ჩემს ხსოვნასაც შერჩება,
ძნელია დასავიწყებლად,
ნეტავი, ვის ემეტები
გასაქრობ - დასამიწებლად?!
ვცდილობ... წყლულებს გბან ცრემლებით,
თუმცა, ტკივილებს ვერ გიამებ
და ჩემი უსუსურობა
მიღრმავებს გულის იარებს...
ისევ ღმერთს ვვედრი, სხვა რა ვქნა,
ვხედავ, არ არის საშველი,
ეს ტრაგედია გახადოს,
უცილოდ, უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი!!!

სვეტა მჟავანაძე
ათენი, 2018 წელი

ემიგრანტული პოეზია

როი სოხუმელი – იტალია, რომი

... იმ დროიდან, საიდანაც შეგნებული ცხოვრებით ცხოვრება დავიწყე, ყველაფერი შეიცვალა და რეალურმა მნიშვნელობებმა უშეცდომო პასუხისმგებლობებით გადმოიბარგეს.

სიფრთხილე ხურჯინივით მოვიკიდე ახალგაზრდა მხრებზე და... რადგან ლმობიერება იავნანიდანვე მქონდა სულში გამჯდარი, თბილად ჩავხედე აწმყოს თვალებში.

გუშინდელივით მახსოვს, როგორ გამიჭირდა...

საკუთარი თავის ხელში აყვანას ვცდილობდი და ღმერთმა იცის, რამდენი შეცდომა დამაშვებინა გამოცდილების არქონამ.

ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე ახალ-ახალი სახეები ჩნდებოდა, რომლებიც ჩემდაუნებურად მკვიდრდებოდნენ, ურთიერთობებიდან გამომდინარე.

გაჩნდნენ ახალი მეგობრებიც...

გადავშალე გული...ყოველ საქციელს გულწრფელობა დავუდე საფუძვლად და... რადგან არ შემეძლო სიცრუე და ორპირობა, მეც ხელებგაშლილი შევეფეთე ცხოვრებას...

იმატეს შეცდომებმა...

ადამიანები ახლოდან დავინახე. შეფასების ინსტიქტმა განვითარება დაიწყო, საიდანაც კრიტერიუმებით დაიფარა წარმოსახვით გაფერადებული გონება.

ვბრუნდებოდი უკან და მათი სახეებიდან ჩამოხსნილი ნიღბები ფეხებში მედებოდა. ტკივილით ვაბიჯებდი ყოველ მათგანს... ვამსხვრევდი...

გვიან მივხვდი, რომ... განა ყველა ადამიანია „ადამიანი“.

ამიტომაც დავუშვი შეცდომები...

ამიტომაც დავეცი მწარედ - ძალიან ბევრჯერ ...

ამიტომაც დავკარგე ნდობა

და

ამიტომაც დავუდექი სიმარტოვეს მდგმურივით...

აქედან გაჩნდა შიში,რომელიც საკუთარი ჩრდილივით მუდამ დამდევს... ეს - ადამიანების შიშია...

კარგა ხანს მათრია სინამდვილემ და ასე მოვედი ამ დრომდე.

ვნახე მოდაზე „წვერ-შელამაზებული“ სასულიერო პირებიც, რომლებსაც საკმევლის სურნელის ნაცლად, სუნამოს სუნი სდიოდათ...

ვნახე ხატმწერები, რომლებიც ვაჭრობდნენ ღმერთით...

ვნახე მშობლები, რომლებიც მშვიდად ადევნებდნენ თვალს შვილების გარყვნილებას...

ვნახე „მეგობრის“ სახელს ამოფარებული ცბიერები...

ღმერთო, რამდენი რამ ვნახე...

ახლა ღამეა...

ვზივარ ქალაქის ერთ-ერთ სკვერში - დამტვრეულ სკამზე და... მტვერით სავსე მაქვს თვალები.

ქარია...

დაათრევს ამ საცოდავ ფოთლებს... დაათრევს ისე, როგორც მოეხელთება.

ასეა ჩემი ფიქრებიც...დავათრევ იქეთ-აქეთ. ხან სიმწრისგან ჩამეღიმება, ხან დაკვირვებით გავყურებ სიშორეში ამოჩემებულ წერტილს და ნაადრევად გაჩენილ ნაოჭებს ოცდაათწლოვან შუბლზე, ნერვიულად - თუმცა მშვიდად ვისრეს დაოფლილი თითებით.

არ ვიცი, ვინ ხარ, ვინც ამ „ნაწერს“ კითხულობ ახლა... ან რამდენი წლის ხარ, მაგრამ....

მინდა იცოდე, „მე შენში მიყვარს ღმერთი“...

***

რას არ ყვებიან,
ქარით დაყრილ ყვითელ ფოთლებზე,
როცა ზაფხული თავზე იმხობს ყველა ცდუნებას.
გული დავკიდე სიცხით გამხმარ ვაშლის ტოტებზე
და ვერ ვასწრებდი შენკენ უხმოდ შემობრუნებას.
რადგან არ მეყო სამი თითის შუბლთან მიტანა,
შენი ნაკვთებით მზე დავხატე - მზეზე ბრწყინვალე,
გუშინ განცდებმა განაჩენი გამომიტანა,
ნატვრად ქცეული შეხვედრა(ც) რომ... გავიმყინვარე.
რჯულის კანონზე ფიცს ტეხავდა ფიქრთა სიცხადე,
სულის სიღრმემდე, ჩასუნთქვებიც წვიმად მწყდებიან,
როგორც არასდროს, ახლა ისე უნდა მიყვარდე,

თუ ეს გულჩვილი ღიმილები(ც) მავიწყდებიან...
მღვრიე თვალებში, უფლის მერე, ღრუბლებს ფანტავდი,
ღამით ჩანიშნულ დღეებს შლიდი(თ) - სველი თითებით,
ნეტავ, თუ იცი, რამდენ ვნებას გამოვთანგავდი,
თუმცა, უჩემოდ დამშვენდი და... წლებით ირთვები.
მოგიყვებიან, როგორ მაკლდი... როცა ზაფხული
მთელი არსებით თავს იმხობდა ყველა ცდუნებას,
მე შენს სიღრმეში სული მქონდა გადამარხული,
და ვერ ვასწრებდი ამინდების შემობრუნებას...

***

რამ მომასვენოს,
თუ ვჩუმდები(თ), ზღვაც თუ მშვიდია,
ბედის ცვარივით, თუ მირონად, გულზე მეპკურე,
რომ დამინახო, რა დღეში ვარ, როცა მიდიან,
დამეფიცება, იწვიმებდი - ჩემი შემყურე...
ვის დავუბერდე(თ),
ვინ გაიგებს, მერე დილის ხმას,
მოვრთე სამყარო... გაზაფხულით, მზით და იებით,
გაიყოლებენ ჩემს ნაწერებს, როგორც თილისმას,
და ვინ რა იცის, მიწა ვღალე მეტანიებით.
სად არ ვიარე,
მის მერე და... უფლის ჯვარცმამდე(ც),
შენი თვალები პეტრეს ცრემლებს სულში ჩაიტანს,
დღე გადავსახე პირჯვარივით წვიმებს - დაცლამდე,
ვერ გამიგია, ეს სამყარო როგორ ამიტანს...
ვსვამ უხალისოდ,
არც მქონია ღამე - საძილე,
რომ თითო ჭიქას სულის წილი(ც) ამოვაყოლო,
ახლა მთვარეს(აც) სხვებით დაღლილ გულზე ვაძინებ,
და რას განვიცდი, როცა ვათევ არ მომაყოლო.
ვიღაც უღმერთო,
ჩემს დაუთვლელ ლოცვებს წაიღებს,
გვიან ვიხსენებ, მზის ამოსვლებს როგორ ვტოვებდი,
მივაცილებდი ბედისწერთა წაშლილ თარიღებს,
თუმცა შენს სახელს - შეშლილივით ვიმეორებდი.

* * *

ვარიდებ თვალებს,
სხვის მკლავებზე მოხვეულ თითებს,
და რადგან მტკივა, ღმერთმა უწყის, რას ვფიქრობ მაშინ...
შენ - იმახსოვრებ ჩემს სახეზე გაჩენილ ფითრებს,
და დამეტყობი, როგორც ბზარი - ცახცახა ხმაში.
ნისლია ჩვენში,
საუკუნე მზეს უდგას - ჩადრით,
აქვე სიკვდილი(ც) ფოთლებივით გზა და გზა ყრია,
ჩვენ, ყოველ ჯერზე, აუხდენელ სურვილებს ვგავდით,
სადაც მომყიდეს ერთი წუთის სამოცი ტყვია...
ფიქრივით მოგვდევს,
წამზე წამით განწყობა - წლების,
და ჩემი სული(ც), შენს ბაგეზე ფიფქივით დნება,
მოგიყვებოდი, როგორ მტანჯავს დალეწვა მხრების,
როცა ნელ-ნელა მტოვებენ და... ტვირთი კი - რჩება(თ).
მოჰგავდა სუროს,
დღე, რომელიც მიხსნიდა ვენებს,
და მთელი მოდგმით, ეხვეოდა დროთა მჭლე ხალასს,
შემომეჩვევი, როგორც სითბო - გათოშილ ხელებს,
და ჩემს გაზაფხულს შემოაცმევ ზაფხულის ხალათს.

* * *

აჰა... დავცალე(თ)
ის დღეები, სხვებს რომ ვატანდი,
ახლა წვეთებად ჩამოწურულ წვიმებს ვენდობი,
რომ შემძლებოდა, კვირის წირვად გამოგსახავდი,
როცა დაღლილი ჩემს ლექსებზე ჩამოეყრდნობი.
შიათ ამინდებს,
ივნისია სამას ნაბიჯზე,
თითქმის ღარიბი მეგობარი - ჩემი ბავშვობის,
ვის გავუმხელდი, რომ კალთაში ისე ჩაგიჯდე,
ვერც შენ იკმარო სეზონები ქართა თავშლობის.
მაინც მელოდე,
დარს ჩუქნიდი ფერებს ტილოდან,
რადგან სხვებივით - ამინდებმა(ც) ცოტა იცოდეს,

როგორ ღელავდი, როგორ წუხდი, როგორ გტკიოდა,
რომ „ულმერთობის ადვოკატი“ მაინც მიწოდეს...
თუმცა ყოველთვის,
მზე გვიყვარდა - ყველა თვისებით,
ჩემი სულივით, ყოველ ცოდვას ღმერთთან გოდებდი,
რომ დაგენახე(თ) გულმოკლული, სავსე ღირსებით,
როგორც ობოლ ბავშვს, ალბათ ისე შემიცოდებდი(თ).
ვენდე ღიმილებს,
როგორც ჯვარცმას, ნგრევას სახლების,
როგორც იმედებს...ან პირიქით - გავიწყლულებდი,
მიმაცილებდა დამწუხრება შენი თვალების,
იმ ტკივილებით, რომ ვერასდროს დამიბრუნებდი.

დე..💗
სიცოცხლეს შვენი,
ისე, როგორც... გუმბათი ტაძარს,
როგორც გაზაფხულს ვარდის ფესვზე ნანათლი ია,
მოვყავარ შენთან უთენია დარეკილ სამ ზარს,
და მონატრებამ, როგორც ადრე - ღმერთამდე მძლია...
მზეს ქსოვდა მარტი,
შენ ყოველთვის დაგქონდა მკერდით,
ქარი კი სადღაც... ჩემს ნატერფალ მანძილებს სდევდა,
როგორ მჭირდები, როგორ მინდა, მოგიჯდე გვერდით,
ანდა კალთაში, როგორც ჩვილი - ჩაგატკბე, დედა.
თებერვლის აქეთ,
ცამ იშვილა სიმრავლე ფერთა,
და ვეყვავილე ლოცვა-ლოცვით ოცნებად თლილი,
რომ შენს თვალებში ღმერთი მყავდეს ღიმილთან ერთად,
და შევძლო გითხრა,
რომ შენსავით არც მზეა თბილი...
დროს ვპარავ წუთებს,
გაზაფხული როცა შლის კვირტებს,
როცა ჩაივლის კიდევ ერთი მომდევნო დღე და...
მიყვარხარ ისე, როგორც სითბო - ნაზამთრალ ჩიტებს,
და ისე მშვენი, როგორც ტაძარს გუმბათი, დედა...

* * *

სულით თვინიერს,
გამიშლიან ხელებს - მრუშები,
სადაც მრავალმხრივ გამიცვითეს ბრიყვთა შენდობა,
რომ დავიღალო მომთაბარე ქრისტეს ქუსლებით,
და სალაყბოზე დამიმწიფონ უიმედობა...
ან რა აზრი აქვს - დავისუსხო დღეთა გროვება,
გამოცდილებებს დავემწუხრო - იქნებ მადლია,
რომ საცდურებზე, როგორც მსხვერპლი, ისე მოვება,
თუ ამ ცხოვრებას ნაფლეთ-ნაფლეთ შემომაცლიან...
ტვირთად ქცეული,
შენ
გიყოფდი
ყველა
სატკივარს,
და ჩემს ამოთქმას - გაშეშებულს, მაინც განდობდი,
უფლის ძებნაში, რას გამიგებ, წლები სად მიმაქვს,
სადაც მომავლად დათრგუნული ჩუმად გნატრობდი...
მერქვა ნუგეში... და ვიგემე სხვათა სიმცირე,
დროთა უღირსნი - მოწყალებას ლაფში ავლებენ,
მოდი ჩემამდე... მთელი გულით გამომიტირე,
რადგან არ იცი, რამდენ რამეს დამაბრალებენ..

* * *

ნეტავ იცოდე, რა ძნელია უსიტყვოდ წასვლა,
როდესაც სულში სისხლით დასვრილ ნაფეხურს ტოვებ,
ვინ დამიჯერებს - ამ ქვეყნიდან უმიზნოდ გასვლას,
არადა ღმერთო, შენს წინაშე - სიცოცხლე ვთხოვე...
ღამეა, მაგრამ... თვალებივით სველია ქუჩა,
და ფანჯრის იქეთ - სიმაღლეა დაღუპვის ვარდნა...
სად წალეკილა, რისთვის ქრება, რად რჩება ურჩად,
ჩემი ხმაური... რომ ამ გულში სიმწარე ჩადნა...
და მაინც მიდის... და ბიბლიის ფურცლებიც მიაქვს,
და ტანჯვით ვყლაპავ, ვირზე შესმულ მარიტას ცრემლებს,
რომ ვწუხვარ უშნოდ, ბორგვა-ბორგვით შესუნთქულ ნიავს,
ნეტავ თუ შევძლებ - საბარძიმედ ვწურავდე მტევნებს...
გზებია თითქოს... ამ ოთახის უხელო კარი,

უსახლო ქუჩებს, ვინ დაუთვლის არეულ თრთოლვებს,
რატომ უფალო, რა მძიმეა დღეს ყველა ჯვარი,
მიდიან, მაგრამ... მონატრება - არასდროს გვტოვებს.
დრო სულის სიღრმეს ამოოხვრილ სიჩუმედ დაწერს,
ვუხუჭავ თვალებს სინანულით მილეულს წუთებს,
რომ ჩემი ღამე(ც) - მოთმინებით სისუსტეს არწევს,
და შეშლილივით, მაინც ვფუთავ ოცნების ყუთებს...
შეუნდე ღმერთო... ალალია ჩემს თავზე გლოვა,
სამსჯავროს ზღურბლთან, რას მოგიტან ღირსების გარდა,
რომ წავბარბაცდე... დამერწმუნე, მხოლოდ ის მოვა,
ის არის ჩემი ჯვარცმად ქცევა... აღდგომის განცდა...

***

ეს უთქმელობა - ამოთქმაზე უფრო მეტია,
წუთში სამოცჯერ განდეგილი ხსნაც და... მივყვები,
როდესაც მოვრჩი ერთიანად - ღამეს... რეტიანს,
ტუჩზე შემშრალი კოცნასავით გაქრნენ სიტყვები(ც)...
ირგვლივ წლებია სიჩუმიდან ამოფრქვეული,
და სამოსამდე, სანამ ზამთარს ღუპავს ფიქრები -
ჩემო ძვირფასო... შენ ლოცვა ხარ,ლოცვით რჩეული,
მოვალ და მერე, როგორც ჩემს მზეს - მოგეფიცხები...
გეტყვი: ფოთლები(ც) - ფათურია სულში ხელების,
რომ სადღაც იქეთ... უფრო იქეთ ცაა შიშველი...
გამისულერთდა დრო შეშლილი - დასახელების,
გავყვირი ტკივილს, რომ მოგაღწევ... მაინც გიშველი.
მაგრამ... ვინ იცის,რა ფასი აქვს, როცა სუნთქვების -
გახშირებიდან თავდაღწეულ ლტოლვებს აჩნდები...
წვიმა ცრემლია დახეული ჩემი ფურცლების,
ღამის მირაჟებს, სადაც შენთვის - მთვარედ ვაჩნდები.
გამიღიმებ და... დავიტოვებ ღიმილს თავდებად,
და დაასრულებს - უღიმღამოდ ფიქრს და ხეტიალს...
შენ რომ მოდიხარ - მანძილები მიცოტავდება,
და უთქმელობაც - ამოთქმაზე ბევრად მეტია...
ახლა წვიმებსაც უფლის მშრალი ცრემლები ჰქვია,
და ჩემს ქუჩაზე, შენს მაგივრად - სიცივე დადის...
ეს მერამდენე ფოთოლთცვენა გამოგვიცდია,
სადაც ოქტომბერს ნასესხები დღეები გასდის...

ფიქრიან პოეტს, ვინ გამიგებს განცდების გარდა,
მაჯებზე ვიხვევ სუროს ნაცვლად ამოზრდილ გვიმრებს,
რომ ზეცის თაღებს, უმადური თვალების მადა -
ამსხვრევს და მერე, წვალებაა დაურჩე სიზმრებს...
ნერვების მიღმა, სამოსივით სხეული ვქსოვე,
და სისხლით სავსე ვენებიდან ტკივილებს ვიმტვრევ,
შენამდე მოსვლა - განთიადზე მაცხოვარს ვთხოვე,
ახლა კი მხოლოდ, ოცნებიდან ოცნებას მივდევ...
გავთავდი ჩემო... არც მოლოდინს არ უჩანს ბოლო,
თან თეთრ ღამეებს პირჯვარივით იმედებს ვსახავ..
ფიქრებით სავსე ღრმა ნაპასი(ც) მომიღებს ბოლოს,
და ჩემს ოთახში, შენს მოსვლამდე - სიკვდილსაც ვნახავ.

ვინ იცის...

გავფითრდი... არც შენ ხარ... აქა-იქ ფოთლები -
სცვივა და ვინ იცის... ვინ იცის... რას ვიტევ...
შემომრჩა არაყის დაცლილი ბოთლები,
ამ ფიქრებს როგორღაც... როგორღაც გავითევ...
შევწყვიტე წუთები... და ჩემი ფანჯრის წინ
მდგმურივით -
კეთროვან
წელიწადს
ვახველებ...
ქალაქის ქუჩებში - დრო ჰყიდის თავის წილს,
დღეებით გამომშრალ თვეებს, რომ ვასველებ.
ვიფარებ თვალებზე ხელებს და... სიმთვრალე,
გაწვიმდა... ქარია - ჩემიდან შენამდე...
სექტემბრის
ყვითელი
ფოთლები
ვითვალე,
სული რომ მიმქონდა... მიმქონდა... შეშლამდე...
ღმერთივით გიწამე... ეს მე ვარ - უბრალო,
ეს მე ვარ, ვინც წლები სანთლებად დაგინთე,
ვინ შევძლებს გაზაფხულს იები უმალოს,
იქ, სადაც სიშორე სიცოცხლით გავჟღინთე...
სველი ვარ... საკუთარ განწყობებს ვაშრები,

მცივა და ვინ იცის... რას ვდარდობ... რას ვფიქრობ...
ცელქობენ ქუჩაში ბოშების ბავშვები,
ხმაური მავსებს და... ფიქრები(ც) თავს იხრჩობს...
ღამდება დაყრილი ყვითელი ფოთლებით,
არც შენ ხარ... არც ღმერთი... აქა-იქ ნიღბები...
შემომრჩა არაყის დაცლილი ბოთლები,
და ისევ თავიდან... თავიდან ვიღლები...

***

არც არაფერი... ტროტუარი... და ქუჩის ბოლო,
ღია ფანჯრებში(ც) აივნამდე - სიმაღლე შიშის,
გაიხდის ღამე გათეთრებულ მწუხარს და...მხოლოდ,
ღიმილის ნაცვლად, ნერვებივით სიჩუმეს იშლის.
თვალებში
ჩანხარ...
სულში
შენი
სითბოა - ახლა,
და მალავს სახეს - ობოლივით უსახლო ქარი...
არ მოუხდება ჩემს ოცნებებს მიწამდე დახრა,
ვფიქრობ და მაინც, დღე მშვიდია... უღმერთოდ წყნარი.
დავცვივდი თვეებს, რომ ფურცლებზე ამინდებს ვატევ,
რთულია ჰგავდე - ამოოხვრით წარმოთქმულ ფრაზებს...
ეს მერამდენე უგუნებო თარიღებს ვათევ,
სადაც გველებად შემოვისევ შეშლამდე ბრაზებს...
და ვყვირი სიმწრით,
რომ
ჰაერის
ჩასუნთქვა(ც)
მტკივა,
რომ ქუჩის ბოლოს - უპატრონო ბავშვივით მოვთქვავ...
რომ ეს ლექსები(ც) ფოთლებივით სულიდან მცვივა,
და ოჯახისგან მიტოვებულ სახლივით შორს ვარ...
გულივით ფეთქავს ამოთქმული სისველე შიშის,
აივნის იქეთ - ეს ქუჩაა სისუსტის ბოლო,
იქნებდა... მე ვარ სევდიანთა მოდგმის და ჯიშის,
არაფერს ვჩივი... გეფიცები... შენ მყავდე მხოლოდ.

***

შენც
ისე
ფიქრობ,
როგორც მე ვარ სექტემბრის ბოლოს,
ვზივარ და რადგან... მზე ჩავიწვი გაყინულ მკერდში,
და როგორ მინდა, ქუჩის იქეთ ამომაბოლოს -
სხვების სინდისმა, სადაც შველას ვეძებდი ღმერთში.
და მივდევ აზრებს, ან სველივით ფიქრებში ვშრები,
ვუყურებ წუთებს... და ტკენაა - რატომღაც მგავდეს...
ვილიმი ძალით, რომ სიმწრისგან ვერაფერს ვშვრები,
რომ ღრმა ნაპასებს ვეჩურჩულო: უბრალოდ მყავდეს.
ახველებს დილა კეთროვანი ამინდის შიშებს,
და ღამე გახრწნის ტკივილებით შემოზრდილ თმენას,
მივდივარ, მაგრამ... საკუთარი თავი(ც) ვერ მიშვებს,
დაცემის ნაცვლად, სადაც ვყლაპავ უაზრო წყენას.
ფოთლები(ც) ცვივა... ეს ქუჩაა სამარე თითქოს,
და ჩემი ცოდვა... ჩემი ბრალი(ც) - მეტია იქნებ...
სირცხვილის თარეშს, სხვა აჩუქებს მილეულ სითბოს,
როცა დაღლილი გაურბიხარ რეტიან ფიქრებს...
გადაწევ ფართოდ - წარმოსახვით დაშვებულ ფარდებს,
სუნთქავ და რადგან... გეფარება თვალებში დირე,
წვიმაა გარეთ... და ამინდი(ც) შედეგებს დადებს,
შენ თუ უარგყვეს... მეც - ყველაფრის დედა ვატირე...
ჩავიცვი წლები, უსამართლო ცხოვრების გაღმა,
რომ დედამიწის ბებერ მხრებზე - ვათრიო(თ) უნდა,
ეს შემოდგომაც - უჩვეულოდ, ძილის წინ გახმა,
და ვინ რა იცის... ვინ რა იცის... თუ რისთვის დუმდა...
შენც
ისე
ფიქრობ,
როგორც მე ვარ სექტემბრის ბოლოს,
ვზივარ და რადგან... შენ ჩამათბი გაყინულ მკერდში,
და როგორ მინდა, ამინდებმა(ც) ამომაყოლოს -
წვიმიან დღეებს... როცა შველას დავეძებ(თ) ღმერთში.

* * *

არ დაიჯერო, უჩემობით ისევ ატირდე,
რომ შენს თვალებში გამომწყვდეულ ტკივილს ვიტოვებ,
და შეიძლება ამინდები გაგვიმარტივდეს -
თავზე დამხობილ თარიღებს რომ გამოვიგლოვებ.
ეს შემოდგომაც ხელაღებით, მაინც შევიქე(თ),
დუმდნენ ტაძრები(ც), სადაც უცხო ღიმილს ვხატავდი,
მივაცილებდი საკუთარ თავს გუშინ - შენს იქეთ,
და მწუხარებით ვერამოთქმულ სიტყვებს ვტანჯავდი...
აჰა, გაგიღე ჩემი სულის ასი კარები,
რომ შენს მკლავებში(ც) - გაყინული სისხლი ვარწიო...
რა სიცოცხლე ხარ... რა სიმშვიდე... რადგან თვალებით
ყველგან დაგეძებ... მომლოდინემ რომ მოვაღწიო...
ჩამოვიტოვე ამღვრეული ფიქრის დანართი,
შენი
თითებით
პირჯვარს
ვიწერ,
სადაც
მარტო ვარ...
რომ ჩემს სიცოცხლეს - უსასრულოდ, ისე დააჩნდი,
როგორც მზის სითბო, სიცივისგან მტირალ მათხოვარს.
არ დაიჯერო, ის დღე დადგეს, როცა თვალებში,
გაგიწვიმდება ჩემი გულის ღმერთზე ხარება,
რომ შენს პირისპირ წლებს ვტოვებდი ნასახლარებში,
და სულში მყავდი - საუკუნო გამოდარება...

* * *

საუკუნე ხარ...
მე
შენში
ვარ
ათასწლეული...
გიტევ სხეულში... და ზეცაა ჩემი სასახლე...
სულის სიღრმემდე სითბო შემრჩა - გადაჩვეული,
განა რჩეული ოცნებები გადავასახლე...

გაგვისექტემბრდა... და ზაფხული(ც) დახრის წამწამებს.
ფერად ფოთლებზე, შენს ღიმილებს ვდებ და... ვჩუმდები,
ეს ამინდები ჩემს გარშემო ისე წანწალებს,
როგორც მარცხის დღე, როცა ღმერთში შვებას ვუნდები...
გავშემოდგომდი... შენს ფანჯრებთან ვიფოთოლთცვენე,
ნარინჯისფერი მზე დავხატე ღვთისფერ ზეცაზე...
ახლოს მოვედი... მოვედი და... გულით გეჩვენე,
სადაც ვილოცე ოცნებების გადარჩენაზე.
აქვე დავსახლდი, გვირილებით სავსე მინდვრებთან,
სულში
გაჟღენთილ
შენს
ღიმილებს
ავემზიანე...
გწერდი პოეტი - ქარგადავლილ, მწიფე შინდებთან,
ჰოდა... რამდენი ქალი(ც) ასე - ვაეჭვიანე...
თრთიან ფოთლები, დღე - წყნარია... ფიქრთა სიმშვიდე -
სექტემბერივით მკლავებზე მაქვს გადარწეული...
მთელი ცხოვრება თავს გევლები... უნდა გივლიდე,
საუკუნე ხარ...
მე
შენში
ვარ
ათასწლეული...

* * *

ვიცი,
მოხვალ და...
ღვთის
გულამდე
გამიხარდები,
და ჩემს ტაძრებში გუმბათები აგუგუნდება...
ჩამოეშვება სულში მერე... თეთრი ფარდები,
რაც მაცოცხლებდა... რაც მიყვარდა - დამიბრუნდება.
ლოცვად ნაღვენთი, ლურჯ ზეცაზე ავმზიანდები,
ამოვიჩემებ შენს თვალებს და... ღმერთო - ჩემია,

სულში შემომთბარ ღიმილებთან გავზიარდები,
უნდა მიყვარდე... უნდა მყავდე - განაჩენია...
გამოვიარე მომლოდინემ ყველა საზვერე,
ოცდაათამდე მოხურული კარი(ც) შევაღე...
დროთა ნარჩენი, სანამ მოხვალ ავწონ-დავზვერე,
საუკუნე
ხარ
ჩემს
ლექსებში,
მე
ვარ
მებაღე...
იყო სიმშვიდე...წყენაც იყო...მერე აღდგომა,
და ჩემს თვალებში(ც) შენი სახე, როგორც ხარება...
ვერ დავიჯერე წლების მიღმა სულის განდგომა,
და იმედების სამუდამოდ დასამარება...!

ზაზა ვარდიძე

ჩვენი თანამემამულე თურქეთის რესპუბლიკაში

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ზაზა ვარდიძე 1975 წელს ადიგენის რაიონის სოფელ არალში დაიბადა. 1992 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა და ტექნიკური სასწავლებლის კომპიუტერული სისტემების მართვის სპეციალობის სტუდენტი გახდა. 1996 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ორი წელი თბილისში რჩება. 1998 წლიდან მშობლიურ კუთხეს უბრუნდება და სოფელ არალში, ახალციხესა და ვალეში ჭიდაობის სექციებს ხსნის. 2000 წლიდან იყო ჭიდაობის რეგიონული ფედერაციის თავმჯდომარე. 2004 წელს ახალციხისა და თურქეთის რესპუბლიკის ბავშვთა მეგობრულმა შეჯიბრმა მისი ბედი სხვაგვარად წარმართა. ზაზა ფოსოფის (ფოცხოვის) გამგებელმა მიიწვია და თურქი ბავშვების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდა ანდო. ჭიდაობის მასწავლებელი ფოსოფში თავდაპირველად კვირაში სამი დღე დადიოდა. ბოლოს ისე დაიტვირთა, რომ საცხოვრებლადაც გადავიდა. აღსაზრდელებს ჭიდაობის ილეთების სახელწოდებებს ქართულად ასწავლიდა და სწავლების ამ ხერხს პროფესიულ საიდუმლოდ ხსნიდა. ასე გრძელდება დღემდე. ბატონი ზაზა გასულ კვირას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა. მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– ბატონო ზაზა, რამ განაპირობა თურქეთის რესპუბლიკაში თქვენი წასვლა?

– მას შემდეგ, რაც სასწავლებელი დავამთავრე და ახალციხეში ჩამოვედი, არალში, ახალციხესა და ვალეში გავხსენი ჭიდაობის წრეები. ახალციხეში დაცვის პოლიციის დარბაზში ვავარჯიშებდი მოსწავლეებს. იმ დროს პრობლემა იყო დარბაზის სპორტული ინვენტარით აღჭურვისა და დაფინანსების საკითხი. არ იყო საშუალება, რომ უფრო დიდ მასშტაბზე წარმედგინა მოსწავლეთა შრომა. ჩემ

მიერ გახსნილი ჯგუფებიდან მოსწავლეებს ერთმანეთს ვახვედრებდი. გამარჯვებულები კი დიდ შეჯიბრებებზე მიმყავდა. 2000 წლიდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჭიდაობის რეგიონული ფედერაციის თავმჯდომარედ დავინიშნე. იმ დროს შედარებით ვახერხებდი ჩემი მოსწავლეები საერთაშორისო ტურნირებზე გამეყვანა. ახალციხეშიც ჩამეტარებინა სხვადასხვა ტურნირები. ჩემი აღსაზრდელები ჭაბუკთა ასაკში საქართველოს ჩემპიონებიც გახდნენ. ერთ დღეს, ახალციხეში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართა მეგობრული შეხვედრა ახალციხისა და არტაანის მხარეებს შორის. შეჯიბრებაში წარმოდგენილი იყო ჭიდაობის სექციაც. ახალციხეში სტუმრად ბრძანდებოდა იქაური გუბერნატორი, გამგებელი. იმ დღეს ჩემი ჭიდაობის სექციის ცხრა მოჭიდავემ გაიმარჯვა. ფოსოფის გამგებელი დაინტერესდა და მიმიწვია თურქეთში სამუშაოდ. სამი დღე ფოსოფში ვავარჯიშებდი ბავშვებს. ოთხი დღე კი აქ, ახალციხეში. შემდეგ ოჯახი შევქმენი. არ იყო ადვილი წასვლა. 2007 წელს თურქეთში სამუშაოდ საბოლოოდ წავედი.

– თურქეთის რესპუბლიკაში როგორ გაგრძელდა თქვენი მოღვაწეობა? თავდაპირველად ენის პრობლემაც გექნებოდათ.

– ფოსოფში ერთ-ერთი სკოლის სარდაფში გვიხდებოდა სწავლება. იქ იყო მოწყობილი საჭიდაო დარბაზი. რამდენიმე თვეში იქაურმა ბავშვებმა თურქეთის ჩემპიონობა მოიპოვეს. შემდეგ იყო ართვინიდან შემოთავაზება. ართვინის რაიონის დაბა იუსუფელის დასახლებაში სპორტული ჭიდაობის სკოლა ფუნქციონირებს. სწორედ ამ სკოლამ მიმიწვია ჭიდაობის მასწავლებლად. იქაც აქტიურად დავიწყე მუშაობა. მოსწავლეები მიმყავდა სხვადასხვა შეჯიბრებაზე. ჩემთვის საინტერესო იყო თურქული ტრადიციული ჭიდაობის – ქარაქუჯას სახეობაზე მოსწავლეების გაყვანა. თავისუფალი სტილის ჭიდაობიდან სპორტის ეს სახეობა მხოლოდ ერთი ნიუანსით განსხვავდება. აქ „ხიდი“ წაგებად ითვლება. ქარაქუჯაში მოსწავლეებს სპეციალური შარვლები აცვიათ. ამ სახეობაში ფასიანი, კომერციული შეჯიბრებები იმართება. ჩემი მოსწავლეები ადვილად უღებენ ალღოს და წარმატებითაც ასპარეზობენ. 100-დან 1000 დოლარამდეა პრიზები. ინტერესი არის დიდი. ჩემი აღსაზრდელების წარმატებების გამო, თურქეთის რესპუბლიკის სპორტული დეპარტამენტიდან, სპორტის ფედერაციიდან ოფიციალურად მიმიწვიეს ტრენერად. იუსუფელიდან გადამიყვანეს ბორჩხაში. ბორჩხა ართვინის რაიონის დაბაა 11 000 მოსახლით. იქ არის შესანიშნავი ჭიდაობის დარბაზი. მყავს 30 მოსწავლე. ჩემი მოსწავლეები თურქეთის რესპუბლიკის პრიზიორები

გახდნენ. პატარა ასაკიდან ავიყვანე ეს ბავშვები და კარგად მომყვნენ. თავდაპირველად ენის ბარიერი იყო. თარჯიმანი დამყავდა. ილეთებს ქართული სახელწოდებით ვასწავლიდი. ახლაც კარგად იციან ჩემმა მოსწავლეებმა „კისრული“, „მოგვერდი“ და სხვა. მეუბნებოდნენ ქართულად რატომ ასწავლიო. ქართული სახელწოდებით სახელებს შეჯიბრებების დროს სხვა ბავშვი ვერ გაიგებს მეთქი – ასე ვპასუხობდი კითხვებს. დამეხმარნენ მესხეთის ფილიალის ლექტორებიც და სასაუბრო თურქული შევისწავლე. მიუხედავად იმისა, რომ ენა ვისწავლე, ქართული სახელწოდებებით ილეთების სწავლას მაინც ვაგრძელებ. ეს შეჯიბრებების დროს საიდუმლო მინიშნებებისთვისაც მჭირდება.

– ხელისუფლების მხრიდან ჭიდაობისადმი ყურადღების თვალსაზრისით რა მდგომარეობაა თურქეთის რესპუბლიკაში?

– სპორტის ეს სახეობა განვითარებულია ყველა კუთხით. სახელმწიფო აფინანსებს ყველა ხარჯს. ბავშვები არანაირ თანხას არ იხდიან. შეჯიბრებებზე წასვლის, წამოსვლის, კვების, სასტუმროს ხარჯებს სახელმწიფო ფარავს. ჩემი მოსწავლეები ასევე ეკუთვნიან ართვინის მერიის ჭიდაობის კლუბს. ეს კლუბი ბავშვებს სპორტული ჩასაცმელით, ჩანთებით, ფეხსაცმლით თუ სხვა საჭირო ინვენტარით ამარაგებს. დამატებითი შეჯიბრება თუ იქნება, ართვინის მერიის კლუბი ყველანაირად გვიწყობს ხელს, რომ ეს ბავშვები, საქართველოში, აზერბაიჯანსა თუ უკრაინაში გავიყვანო შეჯიბრებებზე. ცხრა საათიდან ექვს საათამდე მაქვს ოფიციალურად სამუშაო საათები. ასევე, დავდივარ სკოლებში და მოსწავლეებს ჭიდაობის დადებით მხარეებზე ვესაუბრები. თუ მომეწონა მოსწავლე, რომელსაც აქვს ფიზიკური მზაობა სპორტისა, ვეუბნები, რომ მოვიდეს ჭიდაობის წრეზე. არის შემთხვევები, რომ იქვე ვახდენ მოსწავლეთა შერჩევას. ასე სხვადასხვა გზებით გავაღვიძე ჭიდაობისადმი სიყვარული.

– ახსენეთ, რომ მოსწავლეები შეჯიბრებებზე დაგყავთ. როგორ მოიპოვეთ მშობლების ნდობა, რომ შეკრებების დროს ისინი თავიანთ შვილებს განდობენ თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კი?

– მინდა გითხრათ, რომ მყავს ლაზი და გურჯი მოსწავლეები, არიან ადგილობრივი თურქი ბავშვებიც. ჩემი ძირითადი პრინციპია ბავშვებს შევაყვარო სპორტი და იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით. ბორჩხაში ჭიდაობის კლუბი არ იყო და ნულიდან დავიწყე ყველაფერი. ყველა ხედავდა ჩემ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ადამიანი თუ ცუდია, სწრაფად გამოჩნდება. ბავშვს ვერაფერს მოატყუებ. ძირითადი ნდობა აქედან მოდის. ბავშვები გრძნობენ ურთიერთობას,

დამოკიდებულებას. ჯერ-ჯერობით სიტყვას ვამბობ ჩემი მოსწავლეების წარმატებებით. მშობლებიც მენდობიან.

– როგორია თურქეთის რესპუბლიკიდან დანახული საქართველო? რა გენატრებათ ყველაზე მეტად?

– ოჯახი მენატრება, ნათესავები მენატრება. იქაც ბევრი მეგობარი შევიძინე. უცხო ხალხი არ არის ჩვენთვის, რომ შეზღუდული ვიყო. მაქვს მათთან დიალოგი და ადვილად გადის დღეები. ჩემი ძირითადი საფიქრებელი მაინც ოჯახია. ვხვდები თურქეთში ჩამოსულ ქართველებსაც. დამინახავს, როგორ სხედან სამუშაოს მოლოდინში. მხარე, სადაც მე ვმუშაობ მეჩაიეობით და მეთხილეობით არის სახელგანთქმული. ეს ხალხი ამ საქმისთვის ჩამოდის.

– თქვენს ოჯახზეც გვესაუბრეთ.

– უფროსი ვაჟი გიორგი 16 წლისაა, საბა -13. ანამარიამ ბაღი დაამთავრა და სკოლისთვის ემზადება. მეუღლე, ფიქრია მათოშვილი– ფარმაცევტია. ერთ-ერთი აფთიაქის მენეჯერი გახლავთ. ბავშვების აღზრდის საკითხში ძირითადი დატვირთვა მეუღლეს უწევს. თუმცა, მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტილებების მიღების დროს ხშირად მეც მიხდება ჩარევა.

– თქვენ წლების წინ კავშირი გქონდათ მესხეთის ფილიალთან. იყავით ჭიდაობის წრის ხელმძღვანელი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბორჩხას უნივერსიტეტებს შორის კონტაქტების დამყარება თუ იქნება შესაძლებელი?

– იმდროინდელ მესხეთის ფილიალში ქონდა გახსნილი ჭიდაობის წრე. სტუდენტები დადიოდნენ და წარმატებებიც გვქონდა. ვატარებდით უნივერსიტეტის პირველობებს. გამარჯვებულებს ვაძლევდით დიპლომებს. რექტორი მერაბ ბერიძე აფასებდა ჩვენს შრომას. ესმოდა სტუდენტთა ჯანსაღი წესით ცხოვრების დანიშნულება. რაც შეეხება უნივერსიტეტების ურთიერთობას, წელიწადნახევარია, რაც ბორჩხაში გაიხსნა უნივერსიტეტი. რადგან მე სკოლის მოსწავლეებთან ვმუშაობ, ამ ეტაპზე იმ უნივერსიტეტთან შეხება არ მაქვს. თუმცა, თუ საჭირო იქნება, შემიძლია მათ გავესაუბრო და მოვუთხრო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაობაზე.

– სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

– ჩემი სამომავლო გეგმა თურქეთის რესპუბლიკაში დარჩენას უკავშირდება. ამასთან, სამომავლო გეგმები ახალციხეში დარბაზის გაკეთებაზეც არის დამოკიდებული. გასულ წლებში ბევრ რამეს არ ვითხოვდი. ვითხოვდი დარბაზს – 12-20 მეტრის ფართით, ცხელი და

ცივი წყლით და გასახდელებით. ეს პირობა თუ შეიქმნა, აუცილებლად წამოვალ ახალციხეში. იზრდებიან ჩემი ყოფილი მოსწავლეები. მათ უნდათ^ პატრონი. თუმცა, გულდასაწყვეტი იქნება იქიდანაც წამოსვლა, მივეჩვიე ხალხს.

– თქვენი სპორტული კარიერის შესახებაც მოგვიყევით.

– მესამე კლასიდან ვვარჯიშობდი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მეცხრე კლასიდან შევიცვალე ჭიდაობის სტილი და თავისუფალ ჭიდაობას გავყევი. სტუდენტობის პერიოდშიც გავაგრძელე ამ მიმართულებით ვარჯიში. საერთაშორისო ტურნირებში ვიყავი საქართველოს პრიზიორი, არაერთხელ გახლდით რაიონისა და რეგიონის ჩემპიონი. ცხრა კილოგრამიდან დავიწყე და 75 კილოგრამამდე ვჭიდაობდი. სტუდენტობის წლების შედეგ, გადავწყვიტე ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოსწავლეებისათვის გამეზიარებინა.

– რამეზე ხომ არ გწყდებათ გული?

– გული მტკივა, რომ საკონსულოები არ მუშაობენ სათანადოდ. ხომ შეიძლება წელიწადში ერთი დღე დაგვითმონ და ჩემნაირად წასულ მასწავლებლებს, ან სხვა პროფესიის ადამიანებს შეხვედრა მოგვიწყონ. წელიწადში ერთი დღე არაფერს წყვეტს. მოხდება აღრიცხვა, ეცოდინებათ ართვინის მხარეში რამდენი ქართველი ვართ წასული. გავაცნობთ რას ვაკეთებთ, რას ვსაქმიანობთ. ჩვენ, ქართველებიც შევხვდებით ერთმანეთს და ერთმანეთის საქმეს გავეცნობით. წელიწადში მხოლოდ ერთ შეხვედრაზეა საუბარი, მეტზე არა.

– მადლობა, ბატონო ზაზა, საინტერესო პასუხებისთვის.

ინტერვიუერი: ლია ზაზაშვილი

იარომირ მრჰალი

ჩეხი გერმანისტი, დაამთავრა კარლოვის უნივერსიტეტი პრაღაში და სტაჟირების რამდენიმე სემესტრი ჰაიდელბერგის, რეგენსბურგის, დიუსელდორფისა და ვენის უნივერსიტეტებში. მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენს გერმანულენოვან ლიტერატურაში მოღვაწე არამშობლიურენოვანი მწერლები.

მუშაობდა ბერლინში გერმანიის პარლამენტის დეპუტატთა ბიუროში. ამჟამად მუშაობს ჩეხეთის პრესის სააგენტოს საზღვარგარეთული პრესის რედაქციაში რედაქტორად და მისი საქმიანობის სფეროა გერმანულენოვანი ქვეყნები. გთავაზობთ მისი სტატიის თარგმანს.

მომთაბარე ხმები – დიმიტრი დინევის ცხოვრება და შემოქმედება

ოცდამეერთე საუკუნის გლობალიზებულ მსოფლიოში მიგრაცია, როგორც საზოგადოებრივი ფენომენი, მუდმივი ინტერესის საგანია. საზღვრები იშლება, მონოკულტურული ერის კონცეპტი იცვლება მულტიკულტურული საზოგადოებით. ცვლილებები, რომლებიც ამ განვითარებას მოჰყვება, ვლინდება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში: ეკონომიკაში, პოლიტიკასა და ბოლოს - კულტურაში. საინტერესოა მიგრაცია კულტურის სფეროში - იქმნება ლიტერატურა და ჩნდებიან ახალი ავტორები, რომელთა „მშობლიური ენა არ ემთხვევა „სამუშაო ენას“. ეს ე.წ. „მიგრაციის/მიგრანტული ლიტერატურა“ თანამედროვე გერმანულენოვანი და კერძოდ, ავსტრიული ლიტერატურისათვისაც არაა უცხო. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მიგრანტი ავტორია წარმოშობით ბულგარელი, ამჟამად ავსტრიულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი მწერალი-დიმიტრი დინევი. იგი თავის მშობლიურ - ბულგარულ ენაზე კი არ წერს, არამედ გერმანულად. ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აქვეყნებს ნაწარმოებებს და მიეკუთვნება ავსტრიაში მოღვაწე იმ ავტორებს, რომლებმაც ზრდასრულ ასაკში დატოვეს სამშობლო ძირითადად ეკონომიური და პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსით. ეს უშუალოდ უკავშირდებოდა აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში 1989

წლის მოვლენებს. რა თქმა უნდა, უცხო ქვეყანაში მათ ბევრი პრობ-ლემა შეექმნათ უმრავლესობის მხრიდან, ვიდრე მწერლებად აღი-არებდნენ. ეს მხოლოდ მიგრანტების მიმართ საზოგადოების დამო-კიდებულების შეცვლამ განაპირობა. დღევანდელი პოზიციის ჩამოყა-ლიბებას კი წინ უძღოდა არა ერთ ლიტერატურულ კონკურსში მონა-წილეობისათვის დაუღალავი შრომა. დ. დინევის შემოქმედებაც, ისევე, როგორც მიგრანტთა ლიტერატურა ზოგადად, ნაკლებადაა შესწავლილი. ამდენად, კვლევის ინტერესს იწვევს ამ ავტორების შემოქმედების თემატიკა, ის, თუ რამდენად ბიოგრაფიულია მათი ნა-წარმოებები, როგორ უთანხმებენ ისინი ახალი და ძველი სამშობლოს დღევანდელობას, როგორ წარმოაჩენენ ისინი ახალი სამშობლოს ხალხს და კულტურას. დინევის ცხოვრების გზა წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ. ის ზღაპარივითაა-თანამედროვე, ჰოლივუდური ზღაპრული გზა ახალგაზრდა ბულგარელისა ლტოლვილთა ბანა-კიდან, ავსტრიის ფედერალური კანცლერის საოპერო ლოჟამდე, ერთი შეუმჩნეველი ემიგრანტის აღზევება წარმატების გვირგვინით დაჯილდოვებულ მწერლად. ამერიკული ოცნება ავსტრიაში - რაღაც ამგვარი!

დიმიტრი დინევი 1968 წლის 2 დეკემბერს დაიბადა ბულგარეთის სიდიდით მეორე ქალაქ პლოვდივში, რომლის ისტორიული და მულტიკულტურული ტრადიციებით იგი დღემდე ამაყობს. „პლოვდივი თრაკიის ვაკე-ზე მდებარეობს და იმითაა ცნობილი, რომ აქ თავს იყრის მრავალი კულტურა. ვაჭრობა გამორიცხულია რასისტულ ბაზისზე, აქედან გამომდინარე, რაკი პლოვდივი თავისი მდებარეობით ვაჭრობის ცენტრს წარმოად-გენდა, უცხო კულტურების მიმართ იქ ყოველთვის ტოლერანტული განწყობა სუფევდა. ეს ტრადიცია ქალაქმა, საბედნიეროდ, დღემდე შეინარჩუნა, ქუჩაში მრავალი ენა გაისმის. ასე, რომ წინათ სავსებით ნორმალურად მეჩვენებოდა მულტიკულტურულ გარემოში ცხოვრე-ბა. მხოლოდ მაშინ, როცა ვენაში ჩამოვედი, მივხვდი, რომ ეს სავსე-ბით განსაკუთრებული რამ არის.“

დ. დინევი უფროსი შვილი იყო ქიმიკოსისა და წიგნის ამკინძველის ოჯახში. მამის სურვილის თანახმად ბერთოლდ ბრეხტის გიმნაზიაში სწავლობდა იქვე, ახლოს მდებარე დასახლებაში, სადაც ის „პრაქტი-კულად იძულებული იყო გერმანულ ენაზე ელაპარაკა“. შემდგომში კი

სათანადოდ დააფასა ეს, მაგრამ მაშინ ძალიან უბედურად თვლიდა თავს: „პირველ წელს მხოლოდ გერმანულ ენას ვსწავლობდით. ეს ე.წ. ნულოვანი წელი იყო. ამის გამო ჩვენ ერთი წლით ადრე შევდიოდით სკოლაში, ვიდრე ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეები. დღეში ათი საათი მხოლოდ გერმანული გვიტარდებოდა. მასწავლებელთა უმრავლესობა მხოლოდ გერმანულად ლაპარაკობდა.(...) მეორე წელს ყველა საგანს დუალურად ვსწავლობდით: გერმანულად და ბულგარულად, გერმანულ ლიტერატურას კი - მხოლოდ გერმანულად. სკოლის სახელიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ბერთოლდ ბრეხტის ყველა ნაწარმოებს არა მხოლოდ ვკითხულობდით, მათი ზეპირად სწავლაც გვევალებოდა. ამით ისე ვიყავი მოწამლული, რომ დიდ ხანს ბრეხტის წაკითხვა აღარ შემეძლო და არც მინდოდა“.

უკვე გიმნაზიის წლებიდან დაიწყო მან ლიტერატურული ტექსტების ბულგარულ და რუსულ ენებზე წერა. 1986 წლიდან კი – უკვე აქვეყნებდა მათ. პირველი ლექსი 16 წლისამ დაწერა იმის სანაცვლოდ, რომ თავი აერიდებინა საკლასო წერისათვის. გერმანულად მაშინ მხოლოდ სასკოლო თხზულებებს წერდა, რაც დიდი წვალების ფასად უჯდებოდა და არც განსაკუთრებით მაღალ შეფასებას იმსახურებდა. ბოლო სასწავლო წელს მთავრობის გადაწყვეტილებით გიმნაზიის მოსწავლეები პროფესიული ცხოვრებისადმი მოუმზადებლად ჩათვალეს და დამატებით აუცილებელი გახდა რაიმე პროფესიის შესწავლა. მან აირჩია ხაბაზის პროფესია. „პრაქტიკას, რა თქმა უნდა, საცხობში გავდიოდით. აბსურდად იქცა ეს პრაქტიკა, ერთ წელში რა უნდა შეგვესწავლა-წერს იგი.

1987 წელს კურსდამთავრებული ბულგარეთის არმიაში გაიწვიეს, რაც მისი სიტყვებით: „ყოველი ბულგარელისათვის ცხოვრებისეული გამოცდილებებიდან ყველაზე უარესი იყო.“ თითქმის იგივე, რაც პატიმრობა, ეგ იყო, იქ ყველა უდანაშაულონი ვიყავით“ და მაინც ეს „საზღვრის გამოცდილება“ შემდგომში გამოადგა მას: „ეს სამსახური რომ არა, ავსტრიაში ვერ გავძლებდი“. არმიაში ყოფნის დროს პიროზები არაფრით არ უწყობდა ხელს, მაგრამ დინევი ღამეში ორ, ან სამ საათს მაინც პოულობდა, ღამის ცვლაში წიგნების წასაკითხად, ან ლექსების საწერად. ზოგი მათგანი გაზეთშიც დაიბეჭდა, რაც მას სამი დღის პატიმრობად დაუჯდა. შემდეგ მოკლე ხნით საავადმყოფოში მოხვდა და იქ კი საკმაო დრო ჰქონდა მოკლე პროზისათვის. ყველა მისი ტექსტი მაშინ ბულგარულ ენაზე იქმნებოდა, გერმანული დავიწყებული ჰქონდა. „ენა მესმოდა, ვკითხულობდი, მაგრამ სიტყვა-

საც ველარ ვამბობდი გერმანულად“. არმიაში სამსახურის დროს დაწერა პირველი პიესა, რამაც სამდღიანი შვებულება მოუტანა. ის ხუმრობს: „ეს იყო ჩემი ლიტერატურული საქმიანობის დაბალანსება არმიაში: სამი დღე შვებულება და სამი დღე პატიმრობა. ეს იყო ფრანგული ნოველის-მორის დრიონის „ოქროსფთმიანი გოგონას“ მიხედვით შექმნილი პიესა, რომელიც ბულგარეთის არმიის სადღესასწაულო დღესთან დაკავშირებით მისივე რეჟისორობით დაიდგა. ნოველა ეხება პირველი მსოფლიო ომის პერიოდს და მოგვითხრობს ლაზარეთში მყოფ ხუთ ჯარისკაცზე.

რეჟიმის მიმართ ერთგვარი ოპოზიციის ნიშნად ოთხმოციანების შუა წლებში მწერალი შეუერთდა პლოვდივის პანკთა სუბკულტურას და იგი სისტემატურად იდევნებოდა მილიციის მიერ. მაშინ გაიცნო ბევრი დისიდენტი, მონაწილეობას იღებდა რეჟიმის წინააღმდეგ ოპოზიციურ პროტესტებში. განსაკუთრებით კარგად იხსენებს ის ახალგაზრდობის იმ მომენტს, როცა დიქტატორი თეოდორ შივკოვი 1989 წლის 10 ნოემბერს გადააყენეს. „დაუვიწყარია გათავისუფლების კადრები. კომუნისტები, უბრალოდ, ველარ აკონტროლებდნენ ხალხს, თითქოს რაღაცამ გააბრწყინა ადამიანები. ორი დღის წინ ეს ყველას შეუძლებელი ეგონა. რეჟიმის დამხობის შემდეგ დინევმა ცხოვრებაში ურთულესი, ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

ერთ-ერთი იმპულსი ემიგრაციაში წასვლისა ისიც იყო, რომ ბულგარეთის სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც კომუნისტური პარტიის მემკვიდრე იყო, 1990 წლის არჩევნებში პარლამენტში 400 ადგილი მოიპოვა და ამით პოზიცია განიმტკიცა. დაიწყეს დაპირებები, 10 წელიწადში ყველაფერი უნდა შეცვლილიყო, ეკონომიკა გაჯანსაღებულიყო... კულტურის სფეროში, ისევე როგორც ზოგადად ცხოვრებაში თავმოუბმელობა იგრძნობოდა. ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე გავცლოდი ამ ყველაფერს. რა თქმა უნდა, დასავლეთისკენაც მიწევდა გული. ვფიქრობდი, სამყაროს გავიცნობ - მეთქი. ამას შევწირე ჩემი კავშირები, გავიმეტე ენა - ეს ხომ მწერლისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა. სიყვარულსაც კი შეველიე ამ ნაბიჯით. ვფიქრობდი, რომ ყველაფერს ვტოვებდი და სადღაც სხვაგან ახალდაბადებულივით თავიდან უნდა დამეწყო ყველაფერი. მშობლებმა თავიდან არასერიოზულად ჩათვალეს ჩემი გადაწყვეტილება. მოგვიანებით მითხრეს, თურმე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მაქსიმუმ ჩეხოსლოვაკიამდე თუ მივაღწევდი და უკან დავბრუნდებოდი. დინევი კი - არ დაბრუნდა. მის ყველა მეგობარს მაშინ, ამერიკაში, ან ევროპაში უნდოდა წასვლა. მან მხოლოდ ის იცოდა,

რომ სადმე, გერმანულენოვან ქვეყანაში სურდა ცხოვრება. ავსტრიაზე არაფერი იცოდა და თვლიდა, რომ ის იდეალური ქვეყანა იყო ცხოვრების თავიდან დასაწყებად, რა თქმა უნდა, მეგობართან ერთად, რადგან დღესაც ფიქრობს, რომ მარტო ამას ვერავინ შეძლებს. 1990 წელს, შობა ახალი ჩავლილი იყო, ჩეხი ავტოტრეფიკერების მეშვეობით ჩეხოსლოვაკიის საზღვარი რომ გადაკვეთა და ავსტრიაში გადავიდა: „ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სასაზღვრო ღობეზე გადაცოცდა“. ყველაზე კურიოზული კი ამ საქმეში ის იყო, რომ აქ გამოადგა მკაცრი სამხედრო განათლება. გამოცდილების წყალობით ივარაუდა, რომ საშობაოდ და თანაც ასეთ თოვაში, მესაზღვრეთა ყურადღება შესუსტდებოდა, „საზღვარსაც ისე მკაცრად არ დაიცავდნენ, როგორც ჩვეულებრივ დღეებში და ღვთის წყალობით, მართალიც გამოვდექით“ - იხსენებს ის. შემთხვევით ერთი ჩეხური წარმოშობის გერმანელი გაიცნო მიუნხენში, რომელმაც საზღვრამდე მიიყვანა მანქანით და ბარგის ავსტრიამდე წაღებაშიც დაეხმარა. უმნიშვნელოვანესი ნივთები - კომპასი და უნივერსიტეტის დიპლომი თავისთან დაიტოვა. საზღვრის გადაკვეთას ასე აღწერს: „ბუჩქნარზე ვაბიჯებდით, კვალი რომ არ დაგვეტოვებინა. ფეხები მთლად დამისველდა და საშინლად მციოდა. გზა ხოხვით გავაგრძელეთ, რომ არ დავენახეთ. უცებ ძაღლების ყეფა შემოგვესმა და ჩეხოსლოვაკიის სასაზღვრო პატრულის ფარნების შუქიც გამოჩნდა. ვიფიქრეთ, ახლა კი დაგვიჭირესო. კი ვერ დაგვინახავდნენ, მაგრამ ძაღლებს რომ აეღოთ კვალი! ასე რომ, კარგა ხანს მოგვიწია გატრუნულებს თოვლში წოლა, თან ზედ გვათოვდა და გვათოვდა, მთლად დავიფარეთ თოვლით. მერე ერთმანეთი მოვძებნეთ და გავაგრძელეთ გზა“. საზღვრიდან ვაკეზე გასულებმა უკანმოუხედავად ირბინეს ტყემდე, ბევრი სიარულის შემდეგ გზაზე გავიდნენ და აბრა დაინახეს გერმანული წარწერით. „რა სიხარული იყო! აბსურდული სიხარული: შუაღამისას დგახარ ქუჩაში, აუტანლად ცივა, ნახევრად გაყინული ხარ, არ იცნობ არავის, არც საჭმელად გაბადია რამე და გიხარია! ჯიბეში კი ოცი, თუ ოცდაათი დოლარი გვქონდა.“

გერმანელი, რომელსაც ნივთები გაატანეს, ველარ ნახეს, რადგან სირბილში უფრო შორს გასცდნენ და ერთი საათით გვიან მივიდნენ დათქმულ ადგილზე. დაჭერისა და გაძევების შიშის მიუხედავად, ერთ სასტუმროს მიაშურეს, ცოტას მაინც გავთბებითო. ორიოდე სტუმარი დახვდათ იქ კიდევ - რამდენიმე ლოთი. ეს პირველი კონტაქტი იყო ავსტრიელებთან. შემდეგი შეხვედრა კი სასტუმროში, უკვე ავსტრიის

სასაზღვრო პატრულთან ჰქონდათ. იმან გადაარჩინათ, რომ ბულგარული პასპორტები კირილიცას ანბანით იყო შევსებული და დინევს და მის მეგობარს შეეძლოთ იუგოსლაველებად გაესაღებინათ თავი. საქმე იმაშია, რომ იუგოსლავიის მოქალაქეებს მაშინ უკვე აღარ სჭირდებოდათ ვიზა. ასე, რომ გაქცევა წარმატებით დასრულდა. ის ღამე ცენტრალურ ვაგზალზე გაათიეს და ჯერ ლინცში, მოგვიანებით კი ტრაისკირჰენის ლტოლვილთა ბანაკში გაემგზავრნენ, რათა ლტოლვილის სტატუსი მოეთხოვათ. ეს არ გამოუვიდათ. ექვსთვიანი ნებართვის ვადის ამოწურვის შემდეგ ავსტრიაში ყოფნა როგორმე ლეგალიზებული რომ გაეხადა, 1991 წელს მან ვენის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და რუსული ფილოლოგიის სწავლა დაიწყო. „სტუდენტური დოკუმენტების წყალობით გამიგრძელეს ვიზა. პოლიციის უცხოელებთან მუშაობის განყოფილება ჩემი აკადემიური მენტორი იყო“- იუმორით აღნიშნავს ის ერთ - ერთ ინტერვიუში. სწავლის პერიოდში სხვადასხვა დაბალანაზღაურებადი სამუშაოს წყალობით გაჰქონდა თავი: გაზეთის გამყიდველად, სამშენებლო სამუშაოებზე, მებაღედ, ძეხვეულის გამყიდველად, მეგარდერობედ, ოფიციანტად და რესტავრატორადაც კი მოუწია მუშაობამ, შიგადაშიგ თარგმანებზეც მუშაობდა. „ზოგი ცხვრებს თვლის, უძილობისას. მე კი ჩემს პროფესიებს ვითვლი“- ამბობს ის. მხოლოდ ღამღამობით, სამუშაოს შემდეგ შეეძლო წერისათვის დაეთმო დრო. ქრისტა შტიპინგერთან საუბარში 2000 წელს დინევი აღწერს, თუ რა პირობებში უხდებოდა მაშინ ცხოვრება: „მაშინ სიტყვა „მონა“ ყველაზე უფრო შეეფერებოდა ჩემს ყოფას. დღემდე არ მესმის-მე ასე ვთქვათ ინტეგრირებული მქვია. მესამედი ჩემი აქამდელი ცხოვრებისა, აქ გავატარე. ათი წელია აქ ვცხოვრობ და არანაირ შრომას არ ვთაკილობ, მაგრამ დღემდე არ მაქვს დასაქმების კანონიერი უფლება და ამას არა აქვს ბოლო. და მაინც, არ ვნანობ, რომ გამოვიქეცი. საუკეთესო მეგობრები მყავს ავსტრიაში. როგორც მწერალსაც, ბევრი მომცა სხვა ენაზე გადასვლამ“.

მხოლოდ ავსტრიაში გადაწყვიტა გერმანულად ეწერა. მაშინ დაეწყო სწორედ „ენის ნამდვილი შეყვარება“. თუმცა გერმანული ენის უპირატესობები უკვე ბულგარეთში ჰქონდა გაცნობიერებული: „მილიციასთან პრობლემების დროს გერმანელად ვასაღებდი თავს. ჩემთვის ენა ერთგვარი ნიღაბივით იყო, რომელმაც ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილად გადამარჩინა. ავსტრიაშიც ასე იყო, მაგრამ ამჯერად სულ სხვაგვარად გამომადგა: მის გარეშე სამსახურს ვერ იშოვი“. თავიდან დინევი ცდილობდა ბულგარულად ეწერა და შემდეგ გერმანულად თარგმნიდა, ეს არც ისე იოლად გამოსდიოდა. ერთ

დღეს კი თავს უთხრა: „კმარა, ახლა პირდაპირ გერმანულად ვცდი“. დინევის აზრით, ეს ენათა ჩანაცვლება არ იყო განპირობებული გარეგანი, რომ მისი პოტენციური მკითხველი გერმანულენოვანი იქნებოდა. ის ამას სავსებით ბუნებრივ და მართალ ნაბიჯად თვლის. ის ფიქრობს, რომ კაცმა იმ ენაზე უნდა წეროს, რომელიც შეუყვარდება, რომელ ენაზეც სიყვარულს ჰპოვებს, ან მას კარგავს, რომელ ენაზეც მას განიკითხავენ. ასეთი ჩემთვის ჯერ ბულგარული, ახლა კი გერმანული ენაა. ესაა ენა, რომლითაც მე ვცოცხლობ, რომლითაც სამუშაოს ვეძებ, ლუკმა-პურს ვშოულობ და რომლითაც სიყვარული შემოდის ჩემში. ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი სიყვარულია. ავსტრიაში ბულგარულ ენაზე წერა დინევისათვის პარალელურ სამყაროში ცხოვრებას და რეალობიდან მოწყვეტას ნიშნავდა. უცხოურ ენაზე წერა მისთვის არ ნიშნავს არავითარ შეზღუდულობას, პირიქით, ეს მისი ენობრივი ყურადღების გამრავალფეროვნებას უწყობს ხელს.

„თანდათან ხვდები, რომ რაიმეს სათქმელად სულაც არ გჭირდება ბევრი სიტყვა, ეს ერთგვარი სათქმელის რედუქციაა, რომელსაც მშობლიურ ენაზე ასე კარგად ვერ მოახერხებ.“ გერმანულ ენაზე რამდენიმე წინადადებაა საკმარისი და უმალ ხვდება, ღირს თუ ამა თუ იმ იდეის განვითარება. თუკი არაფერი გაქვს სათქმელი, თუკი არაა არაფერი მოსაყოლი, არაა სიუჟეტი, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი კარგად იგრძნო, არაა საჭირო სიტყვებთან ჭიდილი. ბულგარულ ენაზე კი წერას მაშინაც გააგრძელებდა, თუნდაც იდეა საამისოდ არც ღირებულიყო. სწორედ ეს რედუქცია, რასაც უცხოური ენის გამოყენება განაპირობებს, ხდის მის მოთხრობებს ლაკონურსა და ექსპრესიულს. ერთი ფაქტორი კიდევ განაპირობებს იმას, რომ დინევი გერმანულ ენაზე წერის დროს ბევრად თავისუფლად გრძნობს თავსესაა ის ფაქტი, რომ სიტყვები მისთვის ბავშვობის მოგონებებით და საზოგადოებრივი სურათებით არაა დატვირთული: „ჩემთვის ყველა გერმანული სიტყვა თანაბარუფლებიანია... არ არსებობს სიტყვა, რომელიც რაიმე წინა ისტორიით იყოს დამძიმებული. ეს არამიკერძოებულობა და ნეიტრალურობა არის სწორედ უპირატესობა. ეს ერთგვარი ფორმაა ენობრივი უმანკოებისა.“

„თავისი ენობრივი ექსკურსიის“ განსაკუთრებულ პოზიტივად დინევი თვლის გამოცდილებას იმის შესახებ, რომ თითქმის შეუძლებელია გერმანულ ენას სრულყოფილად დაეუფლოს ვინმე თვით ამ ენის მატარებლის გარდა. მშვენიერია, როცა დედა ენაზე წერს ადამიანი. კაცი ისე გრძნობს თავს, როგორც დიდებულ ბაღნარში,

სადაც ყველა ფერია განფენილი. ყველაფერი ჭრელია, ხეები ნაყოფითაა დახუნძლული. შეიგრძნობ მთელ სურნელს, შეგიძლია დანაყრებამდე მიირთვა, ისეირნო და ითამაშო პინიების ჩრდილქვეშ. როცა გერმანულად ვწერ, სულ სხვა რამეს ვგრძნობ. ეს ისეა, თითქოს ყინულის ლოლო გეჭიროს ხელში და იქამდე გიკავია, სანამ დნობას დაიწყებდეს. ყოველი ციცქნა წვეთი ერთი სიტყვაა, რომელიც იბადება. მართალია, სიტყვები ნაკადად არ მოედინება, მაგრამ სამაგიეროდ, ყველა სიტყვა ჩემი სხეულის სითბოსაა ნაზიარები. და თუკი ხელები გამეყინება ამ შეხებით, სასწრაფოდ სირბილით ვუბრუნდები ბაღნარს და იქ იქამდე ვრჩები, ვიდრე ზამთრის პეიზაჟის ხალისი არ დამიბრუნდება. აქ კიდევ ერთი ნიუანსია: მე არ გავრბივარ, მხოლოდ ხელებს ვითბობ და ვაგრძელებ საქმეს. ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს ეს ყინული გატყდეს და მაშინ მე ნამდვილად ბედნიერი ვიქნები. ისე ვიგრძნობ თავს, როგორც ადამი, ერთი სამოთხიდან მეორეში რომ შეუძლია გადაინაცვლოს“.

ხშირად ეკითხებიან იდენტობის შესახებ, აინტერესებთ, ავსტრიელად გრძნობს თავს, თუ ბულგარელად, რომელიც გერმანულად წერს. ის ყოველთვის პასუხობს: „თავს ვგრძნობ, როგორც ადამიანი, ვისაც აშკარად დიდი გამოცდილება აქვს და ამასთანავე, ავსტრიაში მყოფი უცხოელის მძიმე ხვედრიც უწვნევია. ამ სიტუაციაში იშვიათად ვხვდები, რადგან საზღვარზე ჩემი საბუთები აინტერესებთ და არა გრძნობები.“ თავის მომავალს ავსტრიაში ხედავს, წარსული კი ბულგარულია. ხანდახან საინტერესო მეტაფორასაც ამატებს; „ბულგარეთი დედაა, ავსტრია კი სატრფო. არც მჭირდება გადაწყვეტა, რომელი მიყვარს უფრო მეტად-დედაჩემი თუ სატრფო. ბევრი რამაა ცხოვრებაში, სადაც ორივე საწყისის თანაარსებობა შეიძლება, ანუ არსებობს ორი ადგილი, სადაც კაცი შინ გრძნობს თავს. უფრო ლამაზდება სამყარო, როცა ადამიანს რამდენიმე ადგილი მიაჩნია სამშობლოდ. ეს თავისთავად კარგი აზრია, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ სიტყვა - „ევროპის მოქალაქე“ დღეს მაინც ცარიელ ადგილად რჩება და კარგა ხანს არც შეივსება ეს სიცარიელე.“

მისთვის ცნება - „სამშობლოსაც“ არაფერი აქვს საერთო ეროვნულ ცნობიერებასა და გეოგრაფიულ მდებარეობასთან. სამშობლო ადამიანებშია: სიტყვა არის ჩემი სამშობლო... მე მჯერა, რომ რაღაც სახით ჩვენ ყველა უსამშობლონი ვართ და ჩვენ ვცხოვრობთ... სიტყვებში“. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იდენტობის საკითხს ლიტერატურის დარგში. „როცა ვწერ, სულ სხვა რამეზე ვფიქრობ და არა ადგილზე,

ან პოზიციაზე, რაც შეიძლება, ან უნდა დამეკავებინა სადმე. ეს კი ძალიან მათავისუფლებს.

ლიტერატურათმცოდნეობა დღემდე ცდილობს, მოძებნოს ნიში, რომელიც დიმიტრი დინევს მიესადაგებოდა. ის თავად თავის ნაწარმოებს გერმანისტიკას მიაკუთვნებს და არა სლავისტიკას. ბულგარელებს ხომ მისი წიგნები მხოლოდ თარგმანის სახით შეუძლიათ წაიკითხონ. და მაინც მისთვის ყველაზე უფრო მისაღებია სახელი „ევროპელი მწერალი“, რაც ხსნის წინააღმდეგობებს ისეთ კომბინაციებს შორის, როგორიცაა-ბულგარელ-ავსტრიელი, ავსტრიელ-ბულგარელი, თუ ბულგარეთში დაბადებული ავსტრიელი. ეს კომბინაციები, თითქოს არც მცდარია, მაგრამ რამდენადმე გაუგებარი. „ეს გამოკვეთილად ნაციონალური აზროვნება ევროპაში ომების დროიდანაა შემორჩენილი“. ასევე ენერგიულად ეწინააღმდეგება დინევი (ისევე, როგორც ამ კატეგორიის სხვა ავტორები) „მიგრაციის ან მიგრანტული ლიტერატურის“ ცნებას. ის მას დისკრიმინაციულსა და ლამის შეურაცხმყოფელს უწოდებს: „რას ნიშნავს ეს? რა არის „მიგრანტი“? იქნებ ბიბლიაც მივაკუთნოთ მიგრანტულ ლიტერატურას? იქ ხომ ხანგრძლივ ემიგრაციაზეა ლაპარაკი. რაც ლიტერატურა არსებობს, არსებობს მიგრაციაც. ადამიანი თავისთავად მიგრანტია. განვავითაროთ მაშინ თანმიმდევრულობის პრინციპი და ვთქვათ, რომ მთელი ამერიკული ლიტერატურა მიგრანტულია, რადგან ყველა საიდანღაცაა ჩასული და იქ მწერლობენ... ჩემი წიგნებიც, საგანგებოდ მიგრანტი მკითხველისთვის ხომ არ იქმნება. მათ ხომ, უმეტეს შემთხვევაში, კითხვის დროც არა აქვთ“.

დინევი მიუთითებს, რომ მაშინაც კი, როცა მისი ინტეგრაცია უმაღლეს საფეხურს აღწევს, ის კი არა, უცხოურ ენაზეც კი წერს, მაინც არ განიხილება გერმანელენოვანი ლიტერატურის ბუნებრივ ნაწილად. ის, მაინც მიგრანტული ლიტერატურის სახით იზოლირებულ და განსაკუთრებული სფეროს წარმომადგენლად მიიჩნევა. როგორც ის წერს, ეს დამოკიდებულია უმეტესწილად მიგრანტების პოზიციაზე ავსტრიულ საზოგადოებაში: „ინგლისელი, ან ფრანგი ავსტრიაში მიგრანტად არ მოიხსენება. თუ ბავშვებს ინგლისურ-გერმანულენოვნად აღზრდი, ეს წარმატებად ითვლება. თურქულს რაც შეეხება, სხვა საკითხია. ამერიკაში, მაგალითად, ეს თემა საერთოდ არ განიხილება, რადგან იქ მიგრაცია კულტურისა და იდენტობის ნაწილია... თავისუფლების ხარისხი იზომება იმის მიხედვით, თუ როგორ ეკიდება საზოგადოება უცხოელებსა და განსხვავებული შეხედულებების ადამიანებს.“ მას არ ესმის საზოგადოებიდან მიგრანტების გამიჯვნა და

ამბობს: „ჩვენ-ყველა მიგრანტი გაღმა დავრჩით“. რისთვის განაგრძობს ბრძოლას? - „იმისათვის, რომ ცნება - „მიგრანტული ლიტერატურა“ ლიტერატურის დისკურსიდან გაქრეს.

2003 წლიდან დიმიტრი დინევი ავსტრიის მოქალაქეა. ის მოღვაწეობს, როგორც თავისუფალი მწერალი და ვენის მე-16 რაიონში ცხოვრობს თავის მეუღლესთან - ავსტრიელ ქალბატონ-ეველინთან ერთად. მასზე 2007 წელს ბულგარეთში, ტარნოვოს კათედრალში დაქორწინდა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან წამოწია თემა, რომ ის მხოლოდ ავსტრიის მოქალაქეობის მიღების შემდეგ დაქორწინდა: „ამან გამორიცხა ყოველგვარი გაუგებრობა, ანგარიშიანი ქორწინების შესახებ“.

„მეზღაპრე“ და „მითების მოჩურჩულე“, „მინიმალური არტხელოვნების ოსტატი“, „ნიჭიერი ფანტაზიორი“, „უდიდესი ნიჭის მქონე მეამბე“-ასე მოიხსენებენ დინევს რეცენზიებში. მისი ლიტერატურული შემოქმედება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძველი სამშობლოს-ბულგარეთის, მისი ისტორიის და კულტურული ტრადეციების, და ახალ სამშობლოში-ავსტრიაში ლტოლვილობის სუსხის გათვითცნობიერების შედეგი. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ამბავი ბულგარეთში ხდება-კომუნისტურსა, თუ პოსტკომუნისტურში, ასევე, წინა საუკუნეებშიც-ძველი თრაკიის პერიოდამდე, სხვა ისტორიები ვენაში ვითარდება, ოღონდ ისინი მხოლოდ არაპრივილიგირებული ფენების თვალსაწიერითაა დანახული-ე.წ.„დასავლური საზოგადოების სარდაფიდან“. თავისი შემოქმედების მთავარ თემად დინევი ლტოლვილობისა და მიგრაციის გარდა, ადამიანს მიიჩნევს, „მათი სისუსტეები, დაცემა, სიბრიყვე, მაგრამ ასევე, სიკეთე და სიდიდე, ძალაუფლება, რომელიც ადამიანებსა და მათ შეგნებას ცვლის.“ მის ნაწარმოებებში ცენტრალურ ადგილს იკავებს შრომა, სიყვარული და ენა, ამ ყველაფრის მოპოვება და დაკარგვა“. დინევის გატაცება ფაბულით და მისი მხატვრული თხრობა უნდა მომდინარეობდეს სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპულ ლიტერატურული და ზეპირი თხრობის ტრადიციებიდან, რომელიც გერმანულენოვანიდან განსხვავებით, „არაა დატვირთული ჯერ ჰოლოკოსტის ვაკუუმით და შემდეგ კი მის შესახებ ამბების მოყოლით.“

ბულგარეთში განსაკუთრებით დამახასიათებელია ამბების ზეპირი გადმოცემები, იქ მოთხრობის არქაული ძალისაც კი სწამთ. ამის გამო დინევი თავის ინსპირაციებს ხშირად თავის თანამემამულეებთან საუბარში ეძებს: „ბულგარეთში სოფიიდან პლოვდივამდე მატარებლით მგზავრობისას, მთელი ცხოვრების ამბავი შეიძლება მოისმინო ბულგარეთში ყოფნისას მონასტრებში დავდივარ და ბერებს ვესაუბრები ხოლმე“.

მისი გმირები უბრალო და ღვთისმოსავები არიან, სხვადასხვა წარმოშობის და რელიგიური მრწამსის ადამიანები, სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები, ერთი სიტყვით-ბედისწერის მსხვერპლნი: უნარდაკარგულები, ლტოლვილები, შავი მუშები, კონტრაბანდისტები, ქურდები, უმუშევრები და უსახლკაროები, ქუჩის მუსიკოსები, ჯარისკაცები, მათი ცოლები, შვილები, სატრფოები. დინევის თანამედროვე ყოფის ამსახველი ტექსტების გმირებად შეხვდებით ბულგარელ მღვდლებს, ცხენების ქურდებს, მუცლით მოცეკვავეებს, ჯადოქარ მკურნალებსა, თუ წინასწარმეტყველებს და ბოლოს კომუნისტებსაც. გმირებს ეგზოტიკური სახელები ჰქვიათ, ასე, მაგალითად, რადოტინა, ტიხომირა, ან ენლოგი, ცხოვრობენ და კვდებიან ისეთ შორეულ ქალაქებში, როგორიცაა პლოვდივი, სტარა საგორა, ან ვარნა. დინევი „მუდამ მხარში უდგას თავის გმირებს“. ის არც ბალკანურ კლიშეებს ერიდება: მისი გმირები წრუპავენ „ვოდკას“, მათ „უყვართ და ჩხუბობენ ინტენსიურად და გამუდმებით ქეიფობენ სისხამ დილამდე“.

„აუტსაიდერების“ სამყაროს ასახვისას, რომლის შესახებაც დინევი წერს, და რომელსაც ყველაზე კარგად იცნობს, ის იყენებს ავტობიოგრაფიულ მოტივებს. „როგორც მწერალი, ის მხოლოდ საკუთარ ცხოვრებას განაგებს. ადამიანის შემოქმედებას ცხოვრებისეული გამოცდილება განსაზღვრავს“ მისი აზრით, ლიტერატურა, საბედნიეროდ, არ არის ქიმია და საკუთარი განცდილის, გაგონილისა და მოპარულის ხელახლა დესტილაცია შეუძლებელია. მისი წერის სტილი მოკლე, კომპაქტური, ლაკონური და ამავე დროს ძალიან მხატვრულ - პოეტურია. კუნიში მას ტრაგიკულ-მაგიურ რეალიზმს უწოდებს, რადგან ის პროზის მრავალფეროვნებით და მხატვრულობით ლათინოამერიკულ „realismo mágico“-ს აგონებს, რომელიც ასევე შეიცავს მაგიურ, მითიურ და ზღაპრულ ტონებს. მის ტექსტებში ვერ ნახავთ ექსპერიმენტებს, თხრობის სტილი უფრო ტრადიციულია. განსაკუთრებული რიტმი, ხშირი, ერთმანეთზე მიწყობილი ძალიან მოკლე მთავარი წინადადებებით მიიღწევა. მისი თითქოსდა ყოველდღიური ამბები კომიკურსა და ტრაგიკულს, ირონიასა და პათოსს, შიშსა და სილამაზეს, თანამედროვე რეალობასა და არქაულ მითებს მომაკვდავ კომუნიზმსა და ადრეულ კაპიტალიზმს შორის დაფარფატებს. ის უჩვეულო მეტაფორებს იყენებს, როგორიცაა, მაგალითად: „გაუმტარი და ცივი, როგორც გერმანელი ჯარისკაცის ჩაფხუტი“ ან „მისი ქერა ულვაშის, ისე, როგორც ჩალის სახურავქვეშ..“. დინევი თავისი შემოქმედებით პოლიტიკურ-სატირული და სოციალ-კრიტიკულია. მწერალი აპროტესტებს, უპირველესად, ფულის ძალაუფლებას და

უცხოელთა მიმართ ფობიურ დამოკიდებულებას. თილმან კრაუზე მას მიიჩნევს, როგორც „თანამედროვე პერიოდის ბულგარული იუმორის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელს და ყველაზე მეტი იუმორის მქონე ელჩს.“ იუმორს, მართლაც ცენტრალური ადგილი უკავია დინევის ნაწარმოებებში. ის გამოიხატება მოკლედ, სიტყვაძუნწად, აბსურდულად და „ყორნისფრად“. მაგრამ მისთვის იუმორი მხოლოდ „უპოვართა ხსნის იარაღია“, მისი მეშვეობით „საშინელებაც შეიძლება მსუბუქად მოუყვე ვინმეს“. კომიკური ეფექტის მისაღწევად დინევის პროზაში ხშირად ზევგმის რეტორიკული ფორმა გამოიყენება. მაგალითად: „ის-ვენაში, მასთან ერთად კი: მშობლების ალიყური, სკოლის დიდი ვაივაგლახით დამთავრება, თავისი პროფესიის ერთგულება, პრატერში პირველი კოცნა და ქალების და ბავშვების მიმართ ქარაფშუტული დამოკიდებულებაც დაიბადა“.

თავის წერის ტექნიკის შესახებ დ. დინევი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: „მე ყველაფერს ხელით ვწერ და ბოლოს ვკარნახობ, ამგვარად სმენით აღვიქვამ თითოეულ წინადადებას, მის ჟღერადობას, რიტმს და კიდევ ერთი კორექტურის საშუალება მეძლევა“.

ლიტერატურაში კუმირებად მიაჩნია რუსი მწერლები - ნიკოლოზ გოგოლი, ფიოდორ დოსტოევსკი და უპირველესად, ანტონ ჩეხოვი: „ჩეხოვი, როგორც მთხრობელი, ჩეხოვი, როგორც დრამატურგი, ჩეხოვი, როგორც პიროვნება. როგორც თავად აღიარებს: „ჩეხოვი კი არ წავიკითხე, შევისუნთქეო“. ავსტრიელთაგან იოსიფ როთს მიიჩნევს ყველაზე აღმოსავლეთ ევროპელად, მასთან ერთად აღიარებს ოდონ ვონ ჰორვატსა და ეგონ ერვინ კიშს. ფილოსოფოსებიდან განსაკუთრებული ზეგავლენა მასზე ედმუნდ ჰუსსერლმა და ემანუელ ლევინასმა მოახდინა. დინევმა კარგად იცის და მას ხიბლავს ანტიკურ-ბერძნული ლიტერატურე (ოვიდიუსი, ჰომეროსი) და უპირველესად, მითოლოგია. ის ბულგარულ საზოგადოებაში და ხალხურ რწმენა - წარმოდგენებში ისევ ცოცხლობს. თვით დინევი როდოპენთან, მითიური მომღერლის ორფეოსის სამშობლოსთან ახლოს დაიბადა: „მითები ჩემი ბავშვობის თანმდევი იყო, ჩემი ფანტაზიური სამყაროს ნაწილი“. მას სწამს, რომ „ყოველივე ეს მითოლოგიაში გარკვეული საზოგადოებრივი, ან ადამიანური სიტუაციების სახით აისახება. ამ ფასცინაციის გამო მას „მითომანიც“ კი უწოდეს.

დინევი ცდილობს გერმანულენოვან სივრცეში ბულგარული ლიტერატურა გააცნოს მკითხველს. მისი დამსახურებაა, რომ შეარჩია და თარგმნა თავისი თანამემამულის დეჯან ესევის ორმოცდაჩვიდმეტი მოკლე მოთხრობა და 2008 წელს გამოსცა მოთხრობების კრებულის

სახით სათაურით - „ბულგარული ცირკი“. 1992 წლიდან დინევმა დაიწყო გერმანულ ენაზე სცენარების წერა ფილმებისა და თეატრისათვის, წერს და აქვეყნებს აგრეთვე ესეებს, მოკლე პროზას. მოკლე ტექსტები მან თავდაპირველად პრაქტიკულობის გამო აირჩია: „შეუძლებელია მთელი დღის განმავლობაში ათი საათი იმუშაო და შემდეგ რომანის წერის თავი გქონდეს“ დიდი მცდელობის მიუხედავად, მისი მუშაობა თავიდან უყურადღებოდ დარჩა. დინევის აზრით, ამის მიზეზი მისი წარმოშობა და გვარი იყო:

„სწორედაც რომ აბსურდია ლიტერატურაში ასეთი დამოკიდებულება... ყოველთვის, როცა თანაავტორი მყავს, წარმატებას ვაღწევ. მთავარ ავტორად რომ დამესახელებინა თავი, ფულს ვერ მივიღებდი. მაშინ ალბათ ფსევდონიმს უნდა ამოვფარებოდი“. საზოგადო აღიარებას მხოლოდ მრავალი პრემიისა და სტიპენდიის წყალობით მიაღწია: „მრავალ კონკურსში მივიღე მონაწილეობა. ეს ისეა, როგორც სპორტში, ერთხელ რომ მოიგებ, უკვე ჩნდებიან სპონსორები. კონკურსების წყალობით ვისწავლე, თუ რა სუბიექტური და თვითნებურია გადაწყვეტილებები“.

მის ბიოგრაფიას ამშვენებს ავსტრიის ფილმების ფონდის დაფინანსებული დიდი სასცენარო ფონდის სტიპენდია და ფედერალური მთავრობის ხელოვნების დეპარტამენტის დაფინანსებული სამუშაო სტიპენდია; მანჰაიმის ანდიამოსის გამომცემლობის პირველი პრემია მოთხრობისათვის „სხივი თავს ზემოთ“; პირველი პრემია გრაცის აკადემიის მიერ გამართულ სატირული ნაწარმოებების კონკურსში და მეორე ადგილი მანჰაიმის ლიტერატურულ კონკურსში; ვენის ფონდის პრემია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადალბერტ - შამისოს სახელობის ფონდისა და რობერტ ბოშის სახელობის ფონდის პრემიები, ასევე ბულგარული ლიტერატული „ასკეერის“ პრემია.

დიმიტრი დინევს არასდროს დავიწყნია, რომ ერთ დროს ღარიბი, ლუკმა-პურის მაძიებელი ლტოლვილი იყო, რის გამოც ბევრ ნაწარმოებში ეხება მიგრანტების თემას, ხშირად აკრიტიკებს მათი ცხოვრების პირობებს ავსტრიაში, მათ მიმართ ხელისუფლების ორგანოების დამოკიდებულებას და უპირველეს ყოვლისა, დაუსაბუთებელ და ზოგიერთი პოლიტიკოსების მიერ ხელოვნურად შექმნილ ფობიურ განწყობას მათ მიმართ. ამიტომ ის ხშირად მონაწილეობს მრავალ ინტერკულტურულ პროექტში, რომელთა მიზანია მიაღწიონ უცხოელების მიმართ მეტ ტოლერანტულობას და ღიაობას. „წინათ მეგობრები მიდგნენ გვერდში, რათა ცხოვრება მთლად არ დამნგრეოდა თავზე, ახლა კი მე ვარ ის, ვისაც დახმარება შეუძლია. დინევი

მონაწილეობდა პროექტში - *Xchange,* სადაც ემიგრაციაში მყოფი ცნობილი პიროვნებები სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრებს და დისკუსიებს მართავენ, რათა მათ გაუქარწყლონ შიში უცხოელთა მიმართ და დაუმსხვრიონ სტერეოტიპები.

გერმანულენოვან ლიტერატურაში მოღვაწე ე.წ. „არამშობლიურენოვანი“ ავტორები უკვე 6 ათეულ წელზე მეტია, რაც გერმანულენოვანი ლიტერატურის ორგანული ნაწილია. მთელი ამ ხნის განმავლობაში გერმანისტიკაში მიმდინარეობს მცდელობები ამ პროცესის სათანადო სახელდებისათვის და იმისათვის, რომ განსხვავებული წარმომავლობისა და სხვადასხვა ენის მატარებელი ავტორების შემოქმედებას ლიტერატურათმცოდნეობაში სათანადო ნიში მიუჩინონ.

დროთა განმავლობაში იქმნებოდა სხვადასხვა ტერმინი, მაგრამ ვერც ერთი სრულყოფილად ვერ მიესადაგა მთლიან შინაარსს.

„გასტარბაიტერთა“, „ემიგრანტული“, „იმიგრანტული“, „სტუმართა“, „მულტიეროვნული“ ლიტერატურა, ასევე: „ბაბილონ-ლიტერატურა“, „უცხოელთა ლიტერატურა“ან „ლიტერატურა უცხოეთში“ და სხვა მრავალი სახელი უწოდეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მკვლევარმა ამ ლიტერატურულ პროცესს. ავტორთა ეთნიკური, ენობრივი, ბიოგრაფიული და მხატვრული თავისებურებების მრავალფეროვნების გამო დღემდე აქტიურად განიხილება ეს პრობლემა. ამ ცნებების ლეგიტიმაციისათვის მიმდინარე უსასრულო დებატებში ყოველთვის ისმის კითხვა, რომელიც მთელი პრობლების საკვანძო შეკითხვად იქცა: შესაძლებელია, თუ არა რომ განსხვავებული შეხედულებისა და სტილის მქონე ავტორები, მხოლოდ თავისი წარმომავლობისა და ბიოგრაფიის ნიშნით გაერთიანდეს რაიმე ჯგუფად, და უნდა გამოიყოს თუ არა ეს ჯგუფი საერთო ლიტერატურული ცხოვრებიდან ცალკე, ამ ავტორების შემოქმედების გათვალისწინების გარეშე. ესაა დასახელებული ყველა კლასიფიკაციის სისუსტე: მიგრანტთა ლიტერატურის შეფასებისას უფრო დიდი მნიშვნელობა ავტორის წარმომავლობასა და ბიოგრაფიას ენიჭება, ვიდრე მისი შემოქმედების ხასიათს. ამის მიუხედავად, არაერთი არაგერმანულენოვანი წარმომავლობის ავტორი ქმნის საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რაც ამდიდრებს გერმანულენოვან ლიტერატურას. სწორედ ამის დასტურია დ. დინევის შემოქმედება და ამის დამტკიცებას ცდილობს ის თავისი მთელი მოღვაწეობით.

დიმიტრი დინევი

დუმილი ოქროა

დედა ყრუ-მუნჯი ჰყავდა და მამა კი ისეთი სიტყვაძუნწი იყო, რომ ბლაგოვესტს ხუთ წლამდე, მისი სიტყვაც არ გაუგონია. რაკი ბუნებას ასე დაეჩაგრა და არც იმის რაიმე საფუძველი ჰქონდა, რომ სამყაროს მატერიალისტური სურათის უპირატესობა ერწმუნა, დედამ თავისი სიყრუით ისარგებლა: კომუნისტური პროპაგანდისგანაც დაიცვა თავი და თან რელიგიურ გრძნობებსაც არ შეელია... დიდი მორწმუნეაო, ვერ იტყოდი ღქალზე, მაგრამ ამა ქვეყნის ძლიერთაგან განსხვავებით, ღმერთი ის ერთადერთი იყო, ვისაც რადიო და სცენა არ სჭირდებოდა ხალხის გულის მოსაგებად. თანაც, ღმერთიც ისევე დუმდა, როგორც თავად ყრუ-მუნჯი ქალი და ამითაც უკვე თავისიანი იყო. ასე რომ, იმ დროს, როცა რეპროდუქტორებიდან აგიტატორების ხმები სჭექდა, მაშინ მათთან, სახლში, ისეთი სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა, როგორც კარგამოკეტილ ეკლესიაში. ქალს პარტიული სასჯელი არ აშინებდა, ბუნების ასე მძიმე სასჯელთან ის რა მოსატანი იყო, და როცა მხოლოდ თავისთვის გასაგონი კივილით შვა პირმშო, მაშინვე გადაწყვიტა ეკლესიურადაც მოენათვლინებინა იგი. ორი თვის შემდეგ დიდი ტკივილისა და უდიდესი სიხარულის მომნიჭებელი არსებით ხელში, ქალი ორმოცი წამებულის სახელობის ეკლესიას ეწვია, ქაღალდის ფურცელზე სახელი ბლაგოვესტი (ხარება) დაწერა და მღვდელს გაუწოდა.

ბლაგოვესტი 1967 წელს მოევლინა ქვეყანას, ერთ პატარა ბულგარულ ქალაქში. ქალაქს სამი ფაბრიკა, სამი კინოდარბაზი და პატარა თეატრი, დიდი პარტიული ადმინისტრაციული შენობა ჰქონდა, საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლიც კი აღემართათ. ცას ფაბრიკები აფერადებდნენ, სულიერებაზე კინო და თეატრი ზრუნავდა, ხოლო პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა პარტიის ადმინისტრაციული შენობისა და ჯარისკაცის ძეგლის საქმე იყო. მათთვის კი, ვისაც ცხოვრება მაინც უღიმღამოდ ეჩვენებოდა, ლუდხანები არსებობდა და თანაც ბლომად. ქალაქში ფოსტა და სადგურიც იყო-ოდესღაც ჭრელი და დიდი სამყაროს ჩამოფხავებულფასადებიანი მოწმეები.

ბლაგოვესტის მამა ლოკომოტივის მემანქანე იყო. კვირაში ორი დღე სახლი თამბაქოს, ალკოჰოლის და ორთქლმავლის ქვანახშირის სუნით იჟღინთებოდა, მერე ისევ ხუთი დღით გაქრებოდა ხოლმე. ამ

ყველა სუნიდან, რომელსაც თან მოიყოლებდა ხოლმე, ყველაზე დიდ-ხანს თამბაქოსი რჩებოდა. ხუთი წლის მანძილზე ცოლს ნიშნებით ესაუბრებოდა და არც იმით იწუხებდა თავს, რომ ვაჟისათვის ლაპა-რაკი ესწავლებინა და ის სამყარო გაეცნო, რომელსაც თავადაც ვე-რაფერს უგებდა. ამას გარდა ბინაში სიწყნარესაც ვერ შელეოდა და ცდილობდა შეძლებისდაგვარად დიდხანს შეენარჩუნებინა ეს სიმშვიდე.

პირველი სიტყვები ბლაგოვესტის ცხოვრებაში გარე სამყაროდან შემოვიდა. სიტყვები ან ქუჩაში გაისმოდა, ან მეზობელი სახლის ფანჯრებიდან გამოდიოდა. ასე რომ, პირველი ენა, რომელსაც ბლა-გოვესტი დაეუფლა, მუნჯური იყო. გამართულად ლაპარაკი მხოლოდ საბავშვო ბაღში ისწავლა.

ხუთი წლისა იყო, მამამ რომ სასეირნოდ წაიყვანა. კაცი მდელოზე გულაღმა გაიჭიმა და თითი ცისკენ გაიშვირა. „ნახე, ღრუბლები! მხო-ლოდ გაზაფხულზე არიან ასეთი. კაცს მათი ჩაკბეჩა მოგინდება!“ - თქვა მან, და პირველად მაშინ გაიგონა ვაჟმა მამის ლაპარაკი.

დუმილი ოქრო რომ ყოფილიყო, ბლაგოვესტის ოჯახი უმდიდრესი იქნებოდა ქვეყანაზე. მაგრამ, რაკი ეს ასე არ იყო, ადრეული ბავშვო-ბიდანვე ეჭვი შეეპარა ბევრი ბრძნული გამონათქვამის ჭეშმარი-ტებაში. ბლაგოვესტთან ერთად იზრდებოდა მისი მოვალეობაც, რომ ოჯახის მყუდროება ქალაქის ხმაურთან შეეთავსებინა, როგორც პილიგრიმს ორ სამყაროს შორის, რომელთა არსზეც აზრი თავად გამუდმებით ეცვლებოდა საშუალო მოსწავლიდან, როგორიც ის გახლდათ, მოგვიანებით საშულო დონის საყვარელი, შემდგომში კი, ისე რა ტელევიზორების შემკეთებელი დადგა, რომელსაც ყველაზე მეტად ისეთი აპარატების შეკეთება უყვარდა, ხმის პრობლემები რომ ჰქონდათ. და ყოველთვის, როცა საკუთარ მომავალზე დაფიქრდე-ბოდა ხოლმე, მას ისე წარმოიდგენდა, როგორც გაფუჭებული ტელე-ვიზორების რიგს, რომელთა ეკრანებს ან თოვლი ბინდავდა, ან კიდევ ბურუსი. იშვიათად თუღა ამჩნევდა იმ ღრუბლებს, კაცს მათი გემოს გასინჯვა რომ მოუნდებოდა.

23 წლისა იყო ბლაგოვესტი, როცა ქუჩები ერთბაშად ახმაურდა. კომუნისტური სისტემა ჩამოინგრა და გაჩნდა ხმები, ბგერები და სიტყვები, რომელიც მან აქამდე არ იცოდა. ერთხანს მოსწონდა დემონსტრაციებში მონაწილეობა, რამდენიმე სიტყვის ხმამაღლა სკანდირება, მაგრამ, როგორც კი დაიჯერა, ესაა და ცხოვრების აზრს ჩავწვდიო, სამუშაო დაკარგა. დიდი დანაკარგების დრო დადგა. ხალხი ერთი მეორეზე ჰკარგავდა სამუშაოს, ფულს, შეხედულებებს, მეგობ-რებს, რწმენას, იმედსა და ხალისს. თანდათან ბევრი დარწმუნდა, რომ

ამ ქვეყანაში აღარ ღირდა რაიმეს ძებნა და იქით გასწიეს, სადაც იმედოვნებდნენ, რომ მინიმუმ ერთ რამეს მაინც იპოვიდნენ იმ უამრავთაგან, რაც მათ დაკარგეს. არ იყო ეს ადვილი. რადგან სამუშაო, ფული და იმედი მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში თუ იშოვებოდა და მათაც ერჩივნათ ეს ყველაფერი მხოლოდ თავისთვის გამოეზოგათ. ასე რომ, დიდი გაბედულება, ფანტაზია, უცხო ენების ცოდნა და იღბალიც გჭირდებოდა საიმისოდაც კი, რომ იმ ქვეყანაში მოხვედრილიყავი, სადაც გსურდა. ბლაგოვესტი არც ისე გაბედული იყო, ფანტაზიაც საშუალო დონისა ჰქონდა და უცხო ენებიდან კი ერთადერთს - მუნჯურს ფლობდა, მაგრამ სწორედაც რომ ის მოევლინა დროულ მხსნელად.

საიდანღაც გაიგო, რომ იტალიელები ვიზას არ თხოვენ ყრუ – მუნჯებსო... ჰოდა, აიღო ყრუ-მუნჯის პასპორტი და სამი დღის შემდეგ უკვე იტალიურ ხეებზე დაძვრებოდა მკრეფავად და ასე შოულობდა ფულს. ერთ დღეს კი, როცა ქარს ხეებზე მარტო ფოთლები და არალეგალი მუშის თმებიღა შერჩა გასაწენად, მაილანდს მიაშურა სხვა სამუშაოს საძებნელად. კარაბინიერებისათვის ის ყრუ-მუნჯი იყო, დამქირავებლებისა კარგად ესმოდა, საქმესაც ადვილად სწავლობდა – ეს თვისებები უკვე იძლეოდა მისი იტალიაში დარჩენის გარანტიას.

მუშაობდა ოფიციანტად, პიცერიის მზარეულად, მშენებლად, ერთხანს კატერსაც აქირავებდა, მაგრამ რასაც შოულობდა, მხოლოდ ბინის ქირას თუ სწვდებოდა. ეგ იყო, არ შიმშილობდა. ბლაგოვესტი კვლავ დაეჭვდა ცხოვრების არსში და ის იყო შეხვდა შივკოს... შივკოც ბულგარელი იყო. ჭამა, სმა, ქალები, კანონები - ყველაფერი მის გემოვნებაზე იყო მოწყობილი იტალიაში. ის, უბრალოდ, ტკბებოდა ცხოვრებით. მისი მფარველობით ხუთი ბრმა, სამი დამბლადაცემული მათხოვრობდა და კიდევ სამი შრომის გმირი, რომელთაც სხვადასხვა ფაბრიკებს შესწირეს თავიანთი ოქროს ხელები, ორი ჯუჯა, რომლებიც აკორდეონს და გიტარას უკრავდნენ და ერთი ცალფეხა უნტეროფიცერი საბჭოთა საპარადო ფორმაში. შივკო გასამრჯელოს უხდიდა ყველას, ვინც ბუნებას დაესაჯა. ასე ზრუნავდა ის სამყაროს თანასწორობაზე.

„დაგიმტკიცებ, რომ დუმილი ოქროა“ უთხრა მან ბლაგოვესტს თავისი ამბის მოსმენის შემდეგ. ძველ ანდაზებზე იყო შეყვარებული და მათ დამცველად მოჰქონდა თავი.

ბლაგოვესტმა ინტერესით მოუსმინა მის გეგმას და მაშინვე აღფრთოვანდა. ახლა შივკოსთვის დაიწყო მუშაობა. ბულგარეთში უნდა

წასულიყო, ყალბი პასპორტები მოეგვარებინა და ხალხი კონტრაბანდისტული გზით გადაეყვანა იტალიაში. ერთ სულზე 1000 გერმანული მარკა ღირდა ეს მომსახურება.

თვეში ერთხელ, ყრუ – მუნჯებით სავსე ავტობუსი გადაჰყავდა იტალიის საზღვარზე. მეათე რეისის შემდეგ იტალიელ მოხელეებს კითხვა დაებადათ, რატომ იყო ამდენი ყრუ-მუნჯი ბულგარეთში და სხვას ვერაფერს მიაწერეს ეს ფენომენი, თუ არა კომუნისტური სისტემის თანამდევ მოვლენას. ასე ივსებოდა ბლაგოვესტის ჯიბეები ფულით და მისი ცხოვრებაც აზრს იძენდა. სამწუხაროდ, 30-ე ავტობუსის შემდეგ მოხელეები აღარ ენდნენ. ორი პოლიციელი, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული, დაედევნა ავტობუსს და სასწაულის მომსწრენი გახდნენ. რადგან, როგორც კი მგზავრები ფეხს შეახებდნენ რომაულ მიწას, ლაპარაკს იწყებდნენ. მოხელეები ვატიკანში კი არ გაიქცნენ ამ სასწაულის საცნობებლად, არამედ არჩიეს, პოლიციელი კოლეგებისათვის შეეტყობინებინათ ეს ამბავი. ყველა მგზავრი დააკავეს. უმრავლესობამ ბლაგოვესტი დაასახელა კონტრაბანდის ავან-ჩავანად...

მეტი მათგან არც არაფერი უნდოდათ და მას შემდეგ, რაც პატარა სასწაულით ისიამეს, ყველა გამოაძევეს სამშობლოში, რომელიც თავადაც დიდი ხანია თავს იყრუებდა საკუთარი მოსახლეობის გაჭირვებისა და საზრუნავის მოსასმენად.

ახლა ბლაგოვესტი საგამოძიებო საკანში იჯდა. ყრუ-მუნჯის როლის თამაშს მაინც აგრძელებდა. ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე დაკითხვაზე გაჰყავდათ და ისიც ყოველდღე უხსნიდა ნიშნების ენით, რომ თანამონაწილე არ ჰყავდა.

საკანში ორ ალბანელთან ერთად ჩასვეს, ისინიც თავიანთ პროცესს ელოდებოდნენ. ბლაგოვესტს ნუგეშად ისღა დარჩენოდა, რომ თავისი მეგობარი შივკო მაინც ტკბებოდა სიცოცხლით. სამწუხაროდ, შივკოს ამასობაში ჩხუბი მოუხდა ერთ სერბთან, რომელიც ასევე სამყაროს თანასწორობისთვის იბრძოდა და თავისი მათხოვრებისათვის მეტ ადგილს მოითხოვდა. კამათისას მან გაზის პისტოლეტი დააძრო, შივკოს პირში ჩაუდო და ჩახმახს გამოკრა ხელი. შივკოს ისე დაეწვა ენა, რომ ამის შემდეგ მის ცხოვრებას გვარიანად დაეკარგა გემო.

მაგრამ ეს ყველაფერი ბლაგოვესტმა არ იცოდა. საკანში იჯდა, იყურებოდა გისოსებიანი ფანჯრიდან და განაგრძობდა დუმილს. საკნის მეგობრები უკვე შეგუებული იყვნენ აზრს, რომ ყრუ-მუნჯთან უნდა გაელიათ დარჩენილი დრო. და აი, ერთ დღეს ბლაგოვესტი ფანჯარასთან მივიდა, ფეხის წვერებზე აიწია და თქვა:

„ნახე, ღრუბლები! მხოლოდ გაზაფხულზე არიან ასეთი, კაცს მათი ჩაკბეჩა რომ მოგინდება“.

ორივე ალბანელმა გაოცებით შეხედა, ისინი თავიანთი ნარებიდან წამოხტდნენ და ფანჯარასთან მივარდნენ. ჯერ გარეთ გაიხედეს, შემდეგ ბლაგოვესტს შეხედეს და რაკი ის ბევრად ახლოს იყო, ვიდრე სამყაროს ყველა ღრუბელი, მოეხვივნენ.

და რადგანაც არ იცოდნენ, რა ეთქვათ კაცისათვის, რომელმაც მთელი სეზონი სიტყვის უთქმელად გაძლო, სიცილი აუტყდათ.

ახალი ფეხსაცმელები

ცხრამეტისა იყო, პირველი ფეხსაცმელი რომ ეღირსა. მანამდე ფეხშიშველი დადიოდა, ან უფროსი და-ძმის ტუფლებს ცვეთდა ბოლომდე. ხან მტვერი ეკვროდა ფეხებზე, ხან ოჯახის ოფლი. ექვსი და-ძმა ჰყავდა, ოთხი ძმა და ორი და. კარგა ხანს უწევდა ხოლმე მოცდა. და აი! - ახალი ფეხსაცმელები ჰქონდა. „მოგწონს?“ ჰკითხა მამამ. უბრალო ხაბაზი გახლდათ, სათნო ადამიანი. ფული კი სულ აკლდა, მაგრამ რწმენა - არა. სამ ქალიშვილს თუ გაათხოვებდა, მამას ზეციურ სამოთხეში ადგილი გარანტირებული ჰქონდა. ასე ეწერა წმინდა წიგნში. მეპურესაც სამი ქალიშვილი ჰყავდა, ორი უკვე გათხოვილი. ჰოდა, ახლა ზეცას უმიზნებდა. უბრალო მეპურეებსაც სურთ ზეცად ამაღლება. უმცროსიც, ახლა უკვე ფეხშემოსილი, ალბათ ვინმეს მოძებნიდა ქმრად.

კაცზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ფეხსაცმელი მოეწონა გოგონას. მისი მზერა მხოლოდ პატარა, ღარიბული ეზოს წვდებოდა, სადაც დედამისის ჯიუტ ოცნებებსაც კი მტვერი დაედო, გაჰყურებდა მაღალ გალავანს, რომლის თიხის კრამიტებზე უამრავი ჭიანჭველა აუსრულებელი ლოცვებივით შავად მიცოცავდა, გალავნის თავზე ცის პატარა ნაჭერი ჩანდა - ხმიადზე ოდნავ დიდი. ცდილობდა წარმედგინა, რამდენი ქალი გაუბედურდა ამ ცის ქვეშ აქამდე, რამდენიც ჭიანჭველაა, იმდენი, თუ მეტი. „მე არ ვარ ჭიანჭველა, მე უნდა გავეცალო აქაურობას“, უთხრა მან ალის, თავის ბიძაშვილს, რომელსაც ენდობოდა. ალის ფული არ გააჩნდა, მაგრამ გაბედული კი იყო.

ღამით გაიქცნენ. ცა დანახშირებული პურივით შავად მოქუფრულიყო. აქა-იქ თითო-ოროლა ვარსკვლავი კიაფობდა. მაინც კმაროდა მათი შუქი საიმისოდ, ალის მეგობრებისთვის რომ მიეგნოთ. ვერც სახეები დაიმახსოვრა მათი და ვერც სახელები, მხოლოდ მათი დაღ-

ლილი ქშენა ჩაებეჭდა გონებაში. სწორედ ეს ხმა უმსუბუქებდა ნაბიჯებს, უმშვიდებდა გულს და ის დაეხმარა ორივეს საზღვარზე გადასვლაში. შემდეგ მეგობრები უკან დაბრუნდნენ. ალი კი თავისი გამბედაობის ამარა დარჩა. მიაბიჯებდნენ ქვეყანაში, ასე რომ ჰგავდა თავიანთ ქვეყანას. გოგონა, თავისი ახალი ფეხსაცმელით, ბიჭი - შარვლის ჯიბეში დედისეული საქორწილო ყელსაბამით. ერთ კვირის შემდეგ სტამბულს მიაღწიეს. ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ თვალებაცრემლებულმა ალიმ ოქროს ყელსაბამი ერთ ვაჭარს მიყიდა. სანაცვლოდ ნესტისგან აშმორებული ათასი დოლარი მიიღო. მაგრამ ტრეფიკინგის უიაფესი ტრანსპორტიორები ორიათას დოლარს ითხოვდნენ კაცზე. „ვიშოვი ფულს“ შეპირდა ალი, იქირავა ოთახი, ფულის ნახევარი გოგონას მისცა და თხოვა, დამელოდეო. ისიც ელოდა. ხან სასეირნოდ გადიოდა, ზოგჯერ საყიდლებზეც, ყველაზე ძალიან კი თავისი ახალი ფეხსაცმელების გაპრიალება სიამოვნებდა. საღამოობით მეზობელი ოთახიდან ხშირად წყვილების გახშირებული სუნთქვა-ხვნეშა ესმოდა. „ისე ქოშინებენ, თითქოს გარბიანო... იქნებ მათაც სხვა სამყაროში სურთ გაქცევა“, ფიქრობდა ის და ცდილობდა ეს სამყაროები წარმოედგინა.

ზოგჯერ ეს გამოსდიოდა კიდეც, მაგრამ უფრო ხშირად კი, მაინც მშობლიური სახლის პატარა, ღარიბი ეზო ედგა თვალწინ, ცის პატარა ნაჭერს გალავნის თავზე და ჭიანჭველებს, კრამიტებზე რომ მიცოცავდნენ, კრამიტებზე, რომლებიც ბედნიერებასავით მსხვრევადი იყო. ამ დროს, ძილგამფრთხალი, თვალს მიაყოლებდა ერთ-ერთ მათგანს და ის ჭიანჭველა მიაცილებდა ხოლმე ძილის გზაზე. ორი კვირის შემდეგ ალი კვლავ გამოჩნდა. სხეული გალეოდა, შავი თვალები ახლა თითქოს შიგნით ჩაჰკეცოდა ჭიანჭველის ზურგებივით. „მარტო წასვლა მოგიწევს“ - უთხრა მან. ერთი თირკმელი გაეყიდა, თუმცა ფული მხოლოდ ერთი ადამიანისათვის კმაროდა. „ცალი თირკმელითაც მიმიღებენ ზეცაში“ გაიხუმრა მან, გოგონას ხელი ჩასჭიდა და ასე გაიარეს ერთმანეთზე გადაბმული ჩიხების მთელი ლაბირინთი, ისეთივე ვიწრო და ერთფეროვანი, როგორც თავად სიღარიბე. აქეთ-იქიდან ადამიანების ხმები ესმოდა, ხვრინავდნენ, იგინებოდნენ, ან ძილში ბოდავდნენ. ქუსლქვეშ ასფალტის აგორგლილი კენჭები ყველაზე გაბედულ ნაბიჯსაც კი არასაიმედოს ხდიდა. იქაურობა შარდისა და ჩამპალი ოცნებების სუნად ყარდა. სრიალა იატაკიან, თუნუქით შეჭედილ მოსაცდელში გაჩერდნენ. ვიღაც მამაკაცი უზარმაზარ ავზზე შემომჯდარიყო და გოგრის თესლს აკნაწუნებდა. საულვაშეზე დაჟანგული ნალივით ეკიდა ულვაში.

„შეჭამ? იმას უხდება“ შესთავაზა ალის გოგრის მარცვლები. „თუ ამ გოგოს შეეხები, მაგას მოგაჭრი“ - შეუღრინა ალიმ. კაცმა გაიღიმა. სიტყვა აღარ ამოცდენია, გოგრის თესლიან თასში კიდევ უფრო ჩარგო თავი. გოგონამ თანხა გადაიხადა და ბრეზენტგადაფარებულ სატვირთო მანქანაზე ავიდა. საბურავებით იყო დატვირთული. ერთი კვირა იყვნენ გზაში. მანქანიდან ჩამოსვლა ეკრძალებოდა. როდის თენდებოდა და როდის ღამდებოდა, ვერ იგებდა. რაღაც წითელ ვედროში შარდავდა და ხელში სანთებელა ეჭირა. ერთხელ უფლება მიეცა დაეცალა ვედრო, რომელი ქვეყანა იყო, არ იცოდა. ერთა-დერთი, რასაც ხედავდა, საბურავები იყო. ასობით შავი, ერთმანეთზე დაწყობილი მთვარე. ჩამქრალი სამყაროების ნარჩენები... მათ გვერ-დით ეძინა, მათ გვერდით იღვიძებდა, მათ გვერდით ოცნებობდა. მანქანიდან ჩამოსვლის ნება როცა მიეცა, ვენაში იყო. ყველა მისი სანთებელა დაცლილიყო, სამაგიეროდ, მასზე უკეთ ვერავინ მო-გითხრობდათ მზის შესახებ.

გერმანულიდან თარგმნა ლალი ბერიძემ

წყარო: Dinev, Dimitré (2005). Die neuen Schuhe. In Dinev, Dimitré. Ein Licht über dem Kopf. Erzählungen. Wien: Deuticke. S. 153–156.

იოანის ბულიასი – საბერძნეთი, ათენი

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘ — ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ, ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ

თანამედროვე სამეცნიერო კვლევები საშუალებას იძლევა, გავიგოთ ტექსტის მრავალი საიდუმლო, თუ მას გამოვიკვლევთ მათემატიკური ხერხებით. მეთოდები შემდეგნაირია: პირველ რიგში, უნდა გამოვითვალოთ, რამდენი ასოა ტექსტში გამოყენებული, კერძოდ, გამოვყოფთ ხმოვნებსა და თანხმოვნებს, მივიღებთ შედეგს: ხმოვნებისა და თანხმოვნების შეფარდებას. შემდეგ გამოვიკვლევთ რამდენი მარცვალია, რამდენი სიტყვა, ფრაზა და სხვა წვრილმანებს, რაც ტექსტშია. მეცნიერებს აქვთ განსაკუთრებული, საკმაოდ ცვალებადი მათემატიკური ფორმულა. ამ ფორმულაში ყოველი ცვლილება განთავსდება ასოთა რიცხვებზე, მარცვლებზე, ფრაზებზე და ტექსტის სხვა ნაწილებზე. ინდექსი, ესე იგი საბოლოო შედეგი, რომელიც ექნება მათემატიკურ ფორმულას, არის ზედმიწევნით ზუსტი და გვიჩვენებს ადამიანის აზროვნების ხერხს. აქედან გამომდინარე, მისი ტვინის ფუნქციონირებას. ეს ციფრი არის ერთადერთი და უნიკალური ყოველი ავტორისთვის, ისევე როგორც არის თითის ანაბეჭდი ერთადერთი და დნმ-ის ანალიზი ინდივიდუალური ყოველი ადამიანისათვის. ისეა, თითქოს ვამბობდეთ, რომ ყველა ავტორს აქვს თავის პირადი სახელი, პასპორტი და თავისი ბეჭედი, რომელსაც ხელს აწერს და ამით ადასტურებს თავისივე ტექსტს. მაშასადამე, ტექსტის ასეთი მათემატიკური კვლევა-ანალიზით, ფილოლოგებსა და მათემატიკოსებს შეუძლიათ გახდნენ დეტექტივები და აღმოაჩინონ დაფარული ჭეშმარიტება.

მკვლევარმა ფილოლოგებმა გამოიკვლიეს ძველი ბერძენი მწერლის ანტიპონტეს 8 ტექსტი. ზოგიერთ მათგანს მათემატიკური შინაარსი ჰქონდა, ზოგს კი - ორატორული.

ასე გაჩნდა კითხვა - ეს ეხებოდა ერთ მწერალს, ანტიფონტას თუ ორ მწერალზეა საუბარი (ერთი - მათემატიკოსი, მეორე - ორატორი) ერთი და იგივე სახელით. ეს იყო „ანტიფონტული პრობლემა“.

საიდუმლო ახსნა ამ 8 ტექსტის მათემატიკურმა ანალიზმა, რომელმაც აჩვენა, რომ ანტიფონტე იყო ერთი, ესეიგი, ერთიდაიგივე

ადამიანი, რადგან მათემატიკური ანალიზის შედეგი (ინდექსი) ტექსტებში ზუსტად იგივე იყო.

ეს მეთოდი დაინერგა უავტორო ტექსტის და შეტყობინების (მუქარის და სხვა...) ავტორებისთვის, ტერორისტული ორგანიზაციების, დასავლეთ ევროპის მაფიისთვის, რომ პოლიციამ ადვილად გაიგოს რომელმა ორგანიზაციამ, თუ ადამიანმა შექმნა პროკლამაციები, განცხადებები თუ შეტყობინებები.

რამდენიმე ათწლეულის წინ რამდენიმე მკვლევარმა, რომელთა შორისაც იყვნენ რუსები, ასეთი მათემატიკური კვლევა-ანალიზის დროს გამოიტანეს დასკვნა, რომ მცირეოდენი კავშირი აღმოჩნდა ჰომეროსოს ეპოსსა (ჩვ.წ. აღ-მდე მე-VIII-VII საუკუნე) და ბ ხაზოვან დამწერლობას (ჩვ. წ.აღ-მდე მეორე ათასწლეული) შორის. ამ პატარა ნიშანმა დატოვა შტაბეჭდილება, რომ ჰომეროსის ეპოსი შესაძლოა დაწერილი იყოს უფრო ადრე, ვიდრე გვეგონა. ესაა თეორია, რომელიც არის რევოლუციური აღმოჩენა ფილოლოგიისთვის, ისტორიისთვის და არქეოლოგიისთვის. გამოდის, რომ ჰომეროსმა შესაძლოა დაწერა ბ ხაზოვანი დამწერლობით ჩვ. წ. აღ.-მდე მეორე ათასწლეულში და რომ უფრო გვიან (ჩვ. წ. აღ.-მდე მე-VIII-VII სს.) გადაწერილ იქნა ეპოქის სხვა ფილოლოგების მიერ. ეს ყველა მეცნიერმა უარყო, განსაკუთრებით, გერმანელებმა, რომლებმაც დაადანაშაულეს პიონერი მათემატიკოსები (დიდი ფანტაზიის უნარის გამო) წარმოსახვაში, გრაფიკაში და ა.შ.

მომავალი ბევრ საიდუმლოს და ემოციას მალავს, როგორც უძველესი ცივილიზაციის ბერძნებისთვის, ასევე ქართველებისთვის (რადგან საქართველოშიც არის აღმოჩენილი უძველესი ცივილიზაციის უცნობი ელემენტები). და ამით შეიძლება ევროპის ისტორია შეიცვალოს...

ბერძნულიდან თარგმნა მაია ქუქჩიშვილმა

თინა იველაშვილი

ქართველი ებრაელების სახლის მფარველი მეზუზა

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა საცხოვრებელი კომპლექსი ძირითადად ქართული ეროვნული საცხოვრებლის ტრადიციებს ემყარებოდა, მასში მაინც ცალკეული დეტალები, რომლებიც გარკვეულწილად ებრაელი ხალხის სულიერი კულტურისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სპეციფიკურობას ამჟღავნებდა.

ყოველი ებრაელის სახლს ჰყავდა თავისი მფარველი, მშვიდობისა და დოვლათიანობის მცველი, რომელსაც მეზუზა ჰქვია. მეზუზა ოთხკუთხა, თავდახურული თხელი ყუთია, რომელშიც ჩაბძანებულია სოფერის (წმიდა ტექსტის გადამწერის) მიერ პერგამენტის ქაღალდზე ნაწერი „მეორე სჯულის» ფრაგმენტი თორიდან და მიმაგრებულია შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს.

სიტყვა მეზუზა პირდაპირი მნიშვნელობით კარების ზღურბლს ნიშნავს.[1] მთხრობელთა გადმოცემით, მეზუზა წარმოადგენდა მოსეს ხუთწიგნეულიდან, კერძოდ მეორე სჯულის“ პერგამენტზე გადაწერილ მოკლე ფრეგმენტს, რომელიც მოგრძო (დაახლოებით 9-10 სანტიმეტრის სიგრძის) ლითონის ოთხკუთხა ყუთში იყო ჩაბძანებული და ამ ყუთით სახლის შესასვლელის კაცის სიმაღლეზე მარჯვენა მხარის გვერდით ამყოლზე (შესასვლელი კარის გვერდითი ჩარჩოები) იყო მიმაგრებული.[2] დღესდღეობითაც ოჯახის ყველა წევრი სახლიდან გასვლისას და დაბრუნებისას გარკვეულ რიტუალს ასრულებს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს.

არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში, არამედ მთელ საქართველოში ყველა იმ სახლს, სადაც ქართველი ებრაელი ცხოვრობდა, ჰყავდა ოჯახის მფარველი მცველი, რომელიც მეზუზას სახელითაა ცნობილი. მეზუზა ოთხკუთხა, თავდახურული თხელი ყუთია, რომელშიც ჩაბძანებულია სოფერის (წმიდა ტექსტის გადამწერის) მიერ პერგამენტის

[1] ე. მამისთვალაშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 315.

[2] თ. იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, გვიხმობს მამული მამა-პაპათა, თბ., 1995, გვ. 22.

ქაღალდზე ნაწერი „მეორე სჯულის“ ფრაგმენტი თორიდან და მიმაგრებულია შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს.

ქართველი ებრაელი სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, მის სახლს დღესაც ამშვენებს ოჯახის მფარველი მეზუზა. დღესაც კი ოჯახის ყველა წევრი სახლიდან გასვლისას და დაბრუნებისას გარკვეულ რიტუალს ასრულებს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს. იგი დღესაც ყოველი ებრაელისათვის ფიცია, ოჯახისათვის დოვლათიანობის, მშვიდობისა და სიკეთის მფარველი.

მეზუზას კოლოფის ფორმები

ყველა ებრაელისათვის აუცილებელია, რომ სახლის კარებზე მეზუზა ჰყავდეს. ის ძირითადად პერგამენტზე ხუთწიგნეულიდან ამოწერილი ლოცვებია, რომელიც დახვეულია წვრილად და ლითონის ვიწრო ყუთშია მოთავსებული, რომელიც შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს ამყოლზე მყარადაა მიმაგრებული. „სახლიდან გასული ოჯახის ყველა წევრი გასული ზღურბლზე გადაბიჯებისას მარჯვენა ხელისგულს მეზუზას დაადებდა, სამჯერ იტყოდა: ღმერთო, შენი ბრძანების ქვეშ ვარ, ხელს შუბლზე დაიდებდა და მიდიოდა. სახლში მობრუნებული მეზუზას კვლავ ხელს დაადებდა და მადლობას უხდიდა შინ მშვიდობით დაბრუნებისათვის.“[3] დღესდღეობითაც ოჯახის ყველა წევრი სახლიდან გასვლისას და დაბრუნებისას გარკვეულ

[3] თ. იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, გვიხმობს მამული მამაპაპათა.. გვ. 22.

რიტუალს ასრულებს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს. იგი დღესაც ყოველი ებრაელისათვის ფიცია, ოჯახისათვის დოვლათიანობის, მშვიდობისა და სიკეთის მფარველი.

ისრაელსა და მთელ მსოფლიოში მცხოვრები ებრაელები, გარდა საცხობრებელი კარის ზღურბლისა, მეზუზას სინაგოგებისა და სხვა დანიშნულების შენობების კარებზეც ათავსებენ. მას, როგორც იუდაიზმის სიმბოლოსა და როგორც ბედნიერების მომტან თილისმას გულზე დაკიდებულს ატარებენ.[4]

მეზუზა ებრაელის სახლის ის ნიშანია, რომელიც მას პატარა სალოცავად აქცევს. აქედან გამომდინარე, იგი ქართველი ებრაელებისათვის ერთ-ერთ მთავარ რელიგიურ ღირებულებას განეკუთვნება. ამავე დროს, სახლისა და მასში მაცხოვრებელი ებრაელის დამცველიცაა. იგი მუდმივად შეახსენებს ებრაელს, რომ ამ სახლის ყველა საქმე და რაც მის კედლებს შიგნით ხდება, უფალს უნდა ემსახურებოდეს. ის ღმერთისა და ებრაელი ხალხის ურთიერთერთგულების სიმბოლოა. ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლისას ებრაელს უფალი მუდმივად შეახსენებს თავისი ვალდებულებების დაცვას.

როცა ებრაელი სახლს ყიდის ან სხვაგან გადადის, მეზუზაც თან უნდა წაიყვანოს იქ, სადაც გადადის. ებრაელის სახლს თუ ებრაელი ყიდულობს, მაშინ ძველი პატრონი მეზუზას არ ახსნის, იმას მყიდველ ებრაელს უტოვებს, თვითონ კი ახალ სახლზე ახალ მეზუზას აკეთებს. არაებრაელ მყიდველს მეზუზას არ დაუტოვებს, ეს არ შეიძლება, ახსნის და თან მიჰყავს. წინათ ებრაელი არაებრაელზე იშვიათად გაჰყიდდა სახლს, ახლა ყველაფერი ხდება, მაგრამ მეზუზა მაინც თან მიჰყავს.[5]

ოჯახის გაყრის (ძმები მშობლების სახლს გამოეყოფოდნენ) დროს მეზუზა მამის სახლში რჩებოდა, გამოყოფილი ოჯახები კი თავიანთი ახალი საცხოვრებლისათვის რაბინს ახალ მეზუზას აწერინებდნენ. მისი დაბძანება ახალი სახლის კარზე გარკვეული რიტუალის შესრულებით ხდებოდა.[6]

---

[4] ბაბალიკაშვილი ნ. ებრაული ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოში. თბ. 1971; ბათოშვილი ა. ებრაელი ხალხის ისტორიიდან. თბილისი. 1991; ლ. წიწუაშვილი, დასახ ნაშრომი.

[5] თ. იველაშვილი, 1989 წლის სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

[6] თ. იველაშვილი, თ. ცაგარეიშვილი, გვიხმობს მამული მამა-პაპათა, თბ., გვ. 22.

ქართველი ებრაელი ყველაფერს მიატოვებდა სახლსაც, ქონებასაც, მაგრამ მეზუზას არ მიატოვებდა, საცხოვრებლად სადაც მიდიოდა, მეზუზაც თან მიჰყავდა. ებრაელი თუ სახლს გაყიდდა ან სამუდამოდ ტოვებდა, მეზუზას მოხსნიდა და გაიყოლებდა და ახალი საცხოვრებლის შესასვლელის მარჯვენა მხარეს გარკვეული წესისა და რიტულის შესრულებით დააბძანებდა - დაამაგრებდა.

სამცხე-ჯავახეთში ებრაელების გვერდით მაცხოვრებელმა ყველა ქართველმა, ბერძენმა თუ სომეხმა კარგად იცოდა ებრაელთა ოჯახის მფარველი და ბარაქიანობის მცველი მეზუზას არსებობა, მაგრამ არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა მათი მხრიდან მისი შეურაცხყოფის ან დამცირების. პირიქით, მუდამ ცდილობდნენ მორიდებოდნენ, რათა რელიგიურ ნიადაგზე მეზობლებთან უსიამოვნება არ მოსვლოდათ, რაც სხვა მშვიდობიანი რელიგიური უმცირესობის მიმართ შემწყნარებლობისა და პატივისცემის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [WFR17-89]

გამოხმაურება დალი თურქაძის მეთოდოლოგიურ ნაშრომებზე

პედაგოგიური აზროვნება მოითხოვს მეცნიერული კვლევის შემდგომ გაღრმავებას, სწავლებისა და სწავლის არეალის მეთოდოლოგიურ გაფართოებას, მასწავლებლისა და მოსწავლის შემოქმედებითი ურთიერთობების სრულყოფას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქარელის პირველი საჯარო სკოლის მასწავლებლის მეთოდოლოგიური ნაშრომი: „მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარება „ვეფხსიტყაოსნის“ პროლოგის სწავლებისას“.

ავტორის პროფესიონალიზმი თემის შერჩევით იწყება. გენიალური პოემის პროლოგი ყოველთვის იქცევდა რუსთველოლოგთა განსაკუთრებულ ყურადღებას.

ეს არის დიდი მგოსნის მხატვრული ლოგო, შემოქმედებითი აზროვნების სიმბოლო, რომელსაც თავისი „ავტონომიური“ სიუჟეტი და სტრუქტურა გააჩნია.

ავტორი-მკვლევარი არა მარტო იზიარებს კოგნიტური თეორიის საფუძვლებს, არამედ პროფესიულად ავითარებს ადამიანის მიერ ინფორმაციის გადამუშავების, შემოქმედებითობის საწყისებს, ხელს უწყობს შინაგან და გარეგან ფაქტორებს.

ამ სარეცენზიო მოსაზრებას ეთანხმება ნაშრომის ავტორი შესავლის დასკვნით ნაწილში: პროლოგი, ნათლად გამოხატავს „ვეფხისტყაოსნის“ როლს, მის იდეურ-მხატვრულ სიდიადეს, ის პოემის ნამდვილი მშვენება და ქართული პოეტური კულტურის სნორუპოვარი შედევრია.

მთელი პოემისა და კონკრეტულად - პროლოგის შესწავლის პროცესში, ავტორის აზრით, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. ამ კუთხით, ეფექტურად მიაჩნია: როლური თამაშების, ესეს, გონებრივი იერიშის აქტივობების გამოყენება. გონებრივი იერიშის (ამ ჯგუფური მუშაობის მეთოდის) გამოყენებით, მოსწავლეებს ეძლევათ შანსი - იპოვონ პრობლემის გადაჭრის სწორი გზა, მაქსიმალური რაოდენობის ახალი იდეა. ხოლო როლური თამაშების ერთი და იგივე პრობლემის სხვადასხვა კუთხით დანახვის საინტერესო სტრატეგია. ასეთი მუშაობა

ხელს შეუწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

რა დროს, რა გზით ხდება მიზნის მიღწევა ცოდნის კოგნიტურ, აფექტურ და მოტორულ სფეროში? ნაშრომის ავტორს მიაჩნია, რომ მასწავლებელმა უნდა ითანამშრომლოს მოსწავლეებთან, ერთად შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები;

ეს გაზრდის მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობას, მიდრეკილებას თვითრეალიზაციისაკენ, შეიქმნება კომფორტული გარემო განსხვავებული აზრის გამოხატვის, თავისუფლების, კრეატიული უნარების წარმოჩენის თვალსაზრისით.

პროლოგის შესწავლას ავტორი უთმობს ორ გაკვეთილს: პირველი გაკვეთილზე მუშაობისათვის განკუთვნილია 14 სტროფი პროლოგისა. გაკვეთილზე გამოიყენება სოკრატული, დედუქციური და კომენტირებული კითხვის მეთოდები. ინდივიდუალური მუშაობისათვის მოსწავლეებს ეძლევათ საორიენტაციო კითხვები და დავალებები, რომლებიც ხელს უწყობენ დამოუკიდებელ აზროვნებას. კომენტირებული კითხვის საშუალებით ხდება ტექსტის პერიფრაზირება, ძირითადი საკითხების გამოყოფა, დასკვნის გაკეთება. მიმდინარეობს მუშაობა წყვილებში, პრეზენტაცია, დგება შეფასების და თვითშეფასების დრო. გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეთა აქტივობას, ქცევას, ჩართულობას, პასუხებს. შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ საშინაო დავალება: საზეპირო სტროფები. კარგი იქნება - ავტორმა გამორჩეული საზეპირო სტროფები ნაშრომში ტექსტობრივად მიუთითოს.

როგორც ნაშრომიდან ირკვევა ავტორს დაკვირვებით, თანმიმდევრობით, სიღრმისეულად აქვს შესწავლილი პროლოგის პოეტური სტრუქტურა, ემოციური და მხატვრული ასპექტები. ამ გზით დამაჯერებლად ვუახლოვდებით კვლევის შემდეგ, მნიშვნელოვან ნაწილს: ახალ მასალზე მუშაობა, ასე მივდივართ მეორე გაკვეთილამდე, რაც ითვალისწინებს პროლოგის ბოლომდე შესწავლას.

გაკვეთილი იწყება საბაზისო ცოდნის გახსენებით. მოსწავლეები კითხულობენ სტროფებს ზეპირად, აკეთებენ კომენტარს, ამოწმებენ საშინაო წერით დავალებას, აფასებენ ნაწერს.

ახალ მასალაზე მუშაობის პროცესში, რომელიც „მიჯნურობით“ იწყება, ავტორი იყენებს აქტივობებს: ტექსტის კომენტირებული კითხვა; ლექსიკაზე დაკვირვება; პერიფრაზირება; ძირითადი საკითხების გამოკვეთა-ჩამოწერა. მკვლევარი მიუთითებს, რომ: ტექსტის

სირთულიდან გამომდინარე, სასურველია კლასში მთლიანად დამუშავდეს სტროფები, ყურადღება გამახვილდეს: მიჯნურთა რუსთაველური ზნეობის არგუმენტირებასა და უშუალობაზე; ავტორისეული აზრის გადმოცემის პოეტურ ოსტატობაზე.

შემოქმედებითი აზროვნების განვითარების მიზნით ნაშრომის ავტორი ოსტატურად იყენებს საორიენტაციო კითხვებს. მკვლევარი პედაგოგი მსჯელობის ლოგიკური განვითარებით, მეთოდური აზროვნების მოტივირებით, საკითხების ახლებური გააზრებით, კვალიფიციური ცოდნის დემონსტრირებით მიდის მთავარ სათქმელამდე: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი მთავარი მხატვრული ნიშანსვეტია მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისა და სრულყოფის გზებზე.

ავტორის მიღწევად, მეთოდურ აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელი, ჯგუფური მუშაობის როლი შემოქმედებითი კვლევის პროცესში. ამ აზრს საუკეთესოდ გამოხატავს ავტორის ფინალური დასკვნა: ვიწყებთ დამოუკიდებელ, ჯგუფურ მუშაობას. კლასს ვყოფთ ჯგუფებად და თითოეულ მათგანს ვაძლევთ ბარათებს. ვარჩევთ ლიდერს, პრეზენტატორს. ვაწესებთ მუშაობის დროს. ლიდერი აკეთებს პრეზენტაციას, ხდება ნამუშევართა შეფასება, რომელშიც ყველა მოსწავლე მონაწილეობს. კიდევ ერთხელ, მოსწავლეთა ძალებით ვაკეთებთ დასკვნას სამუშაო თემის ირგვლივ.

ჩვენი სარეცენზიო დასკვნაც ასეთია:

პედაგოგ დალი თურქაძის მეთოდოლოგიური ნაშრომი „მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარება „ვეფხსიტყაოსნის“ პროლოგის სწავლებისას“ - არის ახალი, ნოვაციური სიტყვა მეთოდოლოგიური კვლევის სფეროში. იგი დიდ დახმარებას გაუწევს შოთა რუსთაველის პოემით დაინტერესებულ მკვლევარებს, სტუდენტებს გენიალური პოემის ღრმად შესწავლასა და მხატვრული ღირებულებების სრულყოფილად გააზრებაში.

დალი თურქაძის ახალი მეთოდოლოგიური ნაშრომი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ შემოქმედებაზე („ცისა ფერს“) თვისობრივად ახალი სიტყვაა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, გაბედული, თამამი პროფესიული შეფასებაა უჩვეულო ლირიკული გმირისა, რომლის „ცხოვრება მკაცრ ბედთან დაუსრულებელი ბრძოლა“ იყო. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ნაშრომის ავტორი, თავის მოსწავლეებთან ერთად, ახალ გზებს ეძებს თვალსაჩინო რომანტიკოსი შემოქმედის იდეური სამყაროს, თემებისა და მოტივების, ლექსის ახალი ფორმისა და შინაარსის გადმოსაცემად. შემთხვევითი

არ არის, რომ დიდი შემოქმედის პოეზიის მკვლევარს ლიტერატურული შეფასების ორიენტირად ქართული პოეტური აზროვნების შედევრი „ცისა ფერს“ შეურჩევია. ნაშრომის ამ მოტივს თავად ავტორი განმარტავს: „პოეტმა გააფართოვა ქართული პოეზიის იდეების სამყარო, სიახლე და თავისუფლება მისცა პოეტურ თემებს და მოტივებს, ლექსის ფორმას: იგი ახალი ტიპის პოეტად გვევლინება. ბარათაშვილმა ქართულ პოეზიას მისცა მსოფლიო რეზონანსი“. ამით, „რომანტიზმმა მის შემოქმედებაში კულმინაციას მიაღწია“. ამ სიტყვების ჭეშმარიტებას მეთოდური ნაშრომის ავტორი პროფესიულად, კვალიფიციურად ადასტურებს. „მოსწავლეებს მოკლედ ვესაუბრები, რომ პოეტი თავის შემოქმედებაში წარმოგვიდგენს რომანტიზმის არსებით ნიშანს - განსაკუთრებულ მისწრაფებას ცისფერისადმი. ცნობილია, რომ ცისფერი რომანტიკოსებმა გადააქციეს სიმბოლოდ ბედნიერებისა, სილამაზის და ჭეშმარიტების ძიებისად. პოეტი სიყრმიდანვე ეტრფოდა ცისფერს, ლურჯს, არაამქვეყნიურ ფერს. ბარათაშვილმა, როგორც ტიპიურმა რომანტიკოსმა შეიყვარა ცისფერი და ის გახადა თავისი იდეალის სიმბოლოდ“.

მოსწავლეებთან მუდმივი შემოქმედებითი ურთიერთობა, სასწავლო-მეთოდური კონტაქტები მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს საკვლევი ნაშრომის მაღალ იდეურ-ლიტერატურულ ხარისხს. „მოსწავლეებს ვახსენებ ქართული რომანტიზმის თავისებურებას: ბუნებისა და სიყვარულის განცდას“. მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს პოეტის პოპულალურ ლექსებს: „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, სადაც იგი გვევლინება ადამიანის ბედზე ფილოსოფიურად დაფიქრებულ პოეტად. იგი შვებას ბუნებაში ეძებს, მასზე გადააქვს თავისი მეოცნებე სული. თავისებურ ემოციებს იწვევს „ღამე“, „მდელო“, „მოდუდუნე მტკვარი“, „მოწყენილი არემარე“, და, რა თქმა უნდა, ცისფერი.

ნაშრომის ავტორის მეთოდურ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მისი ანალიტიკურ-მხატვრული აზროვნება. საინტერესოა, რომ ლირიკული შედევრი „ცისა ფერს“ განხილული და გააზრებულია ბარათაშვილის პოეზიასთან, სხვა ლექსებთან მჭიდრო, ორგანულ და სიმბოლურ კავშირშო. მასწავლებლის რჩევას აქტიურად ეხმაურებიან მოსწავლეები და წინასწარ ეცნობიან პოეტის რამდენიმე ლექსს: „საყურე“, „როს ბედნიერი ვარ“, „ნა...ფორტეპიანოზე მომღერალი“, „ჩემს ვარსკვლავს“. ვფიქრობთ, აქ განსაკუთრებულია იშვიათი ლირიკული სახე პატარა ლექსისა „საყურე“ საერთოდ ავტორი სწორად შენიშნავს, რომ „ცისა ფერთან“ ერთად, ეს არის სიყვარულის თავისებური

განცდა; ასეთივეა ნახჭევანიდან მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილი „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“. სწორედ ასეა: ქალის თვალებშიც ცისფერს ეტრფოდა დიდი პოეტი: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, და არა ამქვეყნიურს, სიყრმიდან ვეტრფოდი“. ამავე აზრს გამოხატავენ მოსწავლეებიც.

მეთოდური ნაშრომის განსაკუთრებული სასწავლო-მეცნიერული ღირებულებაა: შესავალი მუშაობა სოკრატიული მეთოდის მიხედვით. მოსწავლეები აქტიურობენ მეცადინეობის პროცესში-პასუხობენ კითხვებს, იხსენებენ შესაბამის ადგილებს პოეტის შემოქმედებიდან.

სამაგალითო, ნოვაციური სიახლეა მეცადინეობაზე, გაკვეთილზე, ლექსის ხმამაღლა, გამომეტყველებით კითხვა!

ლექსის ტექსტის გასაცნობად - მასწავლებელთან ერთად ხმამაღლა კითხვაში მონაწილეობენ მოსწავლეებიც. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პედაგოგის შეკითხვა: რა ემოციური ზეგავლენა მოახდინა ლექსმა მოსწავლეებზე, როგორია პირველი წაკითხვით მიღებული შთაბეჭდილება. პედაგოგი სამართლიანად მიუთითებს: ასეთი კითხვის დასმა მიმაჩნია საჭიროდ, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ მოსმენა და განცდა. ამის შემდეგ იწყება წაკითხული ლექსის იდეურ-მხატვრული ანალიზი. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ლექსი მოსასმენად სასიამოვნოა, დამაჯერებელია; ტონი, ბგერათა ჰარმონია საინტერესოს ხდის მის მუსიკალობას.

საერთოდ, ნაშრომის ავტორი პროფესიულად ფლობს მასალის სტრუქტურულად აგების, წერისა და გადმოცემის კულტურას. მსჯელობა არგუმენტირებული, დამარწმუნებელია და მკითხველის, დაინტერესებული სპეციალისტების ინტერესს იწვევს. დასკვნით ნაწილში ავტორი ეფექტურად იყენებს კითხვა-პასუხის მეთოდს ლექსის დამუშავებისას-სტროფებში დასმული საკითხების მიხედვით. პედაგოგის მიერ სანიმუშოდ შედგენილ და მეცნიერულად გააზრებულ კითხვარს მოსდევს მოსწავლეთა მიერ მოფიქრებული, დადასტურებული პასუხები. მოსწავლეები საუბრობენ პოეტის პირად და საზოგადოებრივი ცხოვრებით გამოწვეულ ტკივილზე; პოეტის, როგორც მამულიშვილის, ღრმა, ადამიანური განცდების მქონე ლირიკულ გმირზე, მის სურვილებსა და მისწრაფებებზე; საუბრობენ პოეტის ფიქრებზე, პარალელს ავლებენ განხილულ მასალასთან მოსწავლეები მიდიან ლოგიკურ დასკვნამდე - რომანტიკოსი პოეტი იყენებს დამახასიათებელ სიმბოლიკას - ცისა ფერს, ლურჯ ფერს - პიროვნების დაუკმაყოფილებელი მისწრაფებების, აუხდენელი ოცნებებისა და უმაღლესი იდეალებისადმი ლტოლვის გადმოსაცემად.

ცისფერი, ლაჟვარდი ცა უწყობს ხელს ლირიკულ გმირ პოეტს - იფიქროს, ცოდვა - ბრალიან“ წუთისოფელზე და გააკეთოს საფუძვლიანი დასკვნა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“

მეთოდური ნაშრომის ფინალისკენ ძალაში შემოდის ინდუქციის მეთოდი. მოსწავლეები აკეთებენ დასკვნას: პოეტის მიზანი იყო, დაეფიქრებინა მომავალი თაობა მის მძიმე ხვედრზე, რომ ტანჯვა იყო პოეტის ცხოვრება. სად უნდა ეგრძნო პოეტს შვება? - მხოლოდ ბუნება, სიამის, ტკბილი ოცნებების მომტანი; „დამამშვიდებელი“ ფერი — ცისფერი „პირველად ქმნილი ფერი“...

ამ აზრის არიან ახლა კლასში ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები, მათი ლიდერები და მათი მადლიერი პედაგოგი, რომელიც შემაჯამებელი სიტყვით მიმართავს მათ, კარნახობს საშინაო დავალებას: ზეპირად ისწავლონ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ცისა ფერს“, დაწერონ ესე ამ თემაზე, შემდეგ ერთად გაყვებიან „მერანის“ ქროლვას, ერთად შეხედავენ ლურჯ ცას, ერთად „დაისვენებენ“ „საყურის“ ჩრდილში და ერთად წარმოთქვამენ რომანტიკოსი პოეტის სიტყვებს: „ვფიცავ, არ ვეტრფო აროდეს ფერსა სხვასა!...“

ვასილ მამულაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

სარჩევი

პროზა

ვასილ ბერიძე *3*

გენერლოგაზე მეოცნეგე

თანდილა ემიგრაციაში

საკუთარი ძროხეგი

საკუთარი სახლი და კახური ღვინო

თანდილა, ჭლაყო და გიზნესი

„პრავა“

ასრულეგული ოცნეგა

ჩემი და თანდილას ამგავი

ესე

ივდო ოტობარი *43*

ადამიანური სევდა ოთარ ჭილაძის „მარტის მამლის“ მიხედვით

ინტერვიუ

ომარ გოგიაშვილი *51*

პროფესორი ომარ გოგიაშვილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

„ილია დღეს“ – ხუთტომეულის პრეზენტაციაზე გამომსვლელთა სიტყვეგი

ლელა გელაშვილი *62*

რომან გოგოლაური *65*

მალხაზ ლომსაძე *70*

პოეზია

გიორგი მელიქიძე *75*

ემიგრანტული პოეზია

ნინია ბერიძე - იტალია, ბარი *78*

2018 წლის ტრაგედია საგერძნეთში

ღმერთო, გააღე სამოთხის კარეგი, გავშვეგი მოდიან სათამაშოდ!

ლია პეტრიაშვილი *84*

რუსუდან ჯანელიძე *86*

ზაირა კელოშვილი *88*

მარინა ყიფიანი *89*

იზოლდა ბერიანიძე *90*

სვეტა მჟავანაძე *90*

ემიგრანტული პოეზია
როი სოხუმელი — იტალია, რომი *92*

ინტერვიუ
ზაზა ვარდიძე *105*
ჩვენი თანამემამულე თურქეთის რესპუბლიკაში

თარგმანი
იარომირ მრჰალი *111*
მომთაბარე ხმები – დიმიტრი დევინის ცხოვრება
და შემოქმედება

დიმიტრი დინევი *125*
დუმილი ოქრო
ახალი ფეხსაცმელები

თარგმანი
იოანის ბულიასი — საბერძნეთი, ათენი *132*
პოლიციელები — მათემატიკოსები, ფილოლოგები

ეთნოლოგია
თინა იველაშვილი *134*
ქართველი ებრაელების სახლის მფარველი მეზუზა

რეცენზია
ვასილ მამულაშვილი *138*
გამოხმაურება დალი თურქაძის მეთოდოლოგიურ
ნაშრომებზე

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com